ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ჯაბა ჯიშკარიანი, ირაკლი კორძაია და დაჩი ცაგურია დააკავეს



„მოძრაობა 7 ნოემბრის“ ლიდერების ირაკლი კორძაიას, დაჩი ცაგურიას და ჯაბა ჯიშკარიანის დაკავებას თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გეგეჭკორი ადასტურებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი გეგეჭკორმა განუცხადა, ჯიშკარიანმა, ცაგურიამ და კორძაიამ მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი დაარღვიეს, როდესაც პარლამენტის წინ აქციას მართავდნენ.

„ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, ცაგურია, ჯიშკარიანი და კორძაია რუსთაველის გამზირზე მაშინ დააკავეს, როდესაც პარლამენტის წინ ბუტა რობაქიძის პლაკატებით ხელში პროტესტის გამოსახატად მიდიოდნენ. გუშინ რობაქიძის მკვლელობიდან 5 წელი შესრულდა. მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონის დარღვევა ჯარიმას ან 90 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.

ინტერპრესნიუსი

სამშაბათი, 24 ნოემბერი, 2009 №303 (5044) ფასი: 30 თეთრი

# უგულავა პრეზიდენტობას უმიზნებს

## დროა ოპოზიციამ არჩევნებისთვის მზადება დაიწყოს



მერი, როგორც წესი, პოლიტიკური ფიგურაა. არაერთი შემთხვევაა, რომ მერი პრეზიდენტი გამხდარა. მაგალითად, საფრანგეთში ჟაკ შირაკი გახდა, ავტორიტარულ ქვეყანაში, ირანში კი — ახმედი ნეჟადი.

გვ.2



## სააკაშვილს ჩემს პრეზიდენტად არ ვცნობ

გვ.3

## ცხინვალის რეჟიმი დაკავებულების „ყველა ყველაზე“ გაცვლის ინიციატივით გამოდის

გვ.4



## აფხაზები ზუგდიდში თხილის ქარხნის გახსნას გვთხოვდნენ

გვ.5

ბუთბას ოფისის აფეთქება მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება



გვ.6

## რატომ არ უტარდება სამედიცინო ექსპერტიზა ცოტნე გამსახურდიას

## ოპოზიცია უაზროდ არ უნდა გაერთიანდეს

გვ.2



საქართველო პატარა საბჭოთა კავშირად გადაიქცა

## როგორ მიიღებენ დახმარებას ომში დაღუპულთა ახლობლები

გვ.5

## ხელისუფლებას კიდევ ბევრი რამე უნდა დავათმობინოთ

კანდიდატების სიმრავლე ცუდი არ არის



გვ.3



გვ.4

## კონსტანტინე გამსახურდია ვიცე-სპიკერი გახდება?

პარლამენტში ოპოზიციონერთა რიცხვი გაიზრდება

**7** აფხაზეთს არც ერთი ნორმალური ქვეყანა არ აღიარებს

**8** მორიგი ქართული რეკორდი გინესის წიგნში

**7** ქართველების უმეტესობა დღესაც რუსულად საუბრობს

**8** ფილმების დაარქივება პრიორიტეტული ხდება

# ოპოზიცია უაზროდ არ უნდა გაერთიანდეს

## საქართველო პატარა საბჭოთა კავშირად გადაიქცა

**23 ნოემბერს საქართველოს ხელისუფლებამ ვარდების რევოლუციის 6 წლისთავი აღნიშნა. საზოგადოების დიდი ნაწილისაგან განსხვავებით დღევანდელი მთავრობა მიიჩნევს, რომ საქართველოში დემოკრატია ყვავის. თუ რა მოიტანა ვარდების რევოლუციამ, რა შეიცვალა ამ 6 წლის განმავლობაში, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ექსპერტს, კონფლიქტოლოგს — პაატა ზაქარეიშვილს ესაუბრა:**

ნონა ცაბა ე

***— ბატონო პაატა, როგორ შეაფასებდით ვარდების რევულუციას 6 წლის შემდეგ, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა მას? ხელისუფლება ყოველთვის სიამაყით აღნიშნავს ამ დღეს...***

— ავტორიტარული ხელისუფლება ყოველთვის აღნიშნავს ხოლმე ასეთ დღესასწაულებს, საბჭოთა კავშირის დროსაც იყო ლაპარაკი დემოკრატიაზე, თავისუფლებაზე, პროგრესზე, მსოფლიოში საუკეთესო წარმატებებზე, თუმცა, ეს იმპერია მაინც დაიშალა. ხელისუფლების ქცევები, რომ შევაფასოთ, უნდა ვთქვათ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ბრწყინვალედ გადააქცია დიდი რუსული საბჭოთა კავშირი პატარა ქართულ საბჭოთა კავშირად. ანუ დარჩა იგივე მოდელი მმართველობის სისტემისა, ერთპარტიული მმართველობითი სისტემა, სადაც ვითომ არსებობს ფსევდო ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებაში და ვითომ მათთან თანამშრომლობენ, ასე ხდებოდა კომუნისტური რეჟიმის დროსაც. არის სრული კრახი დემოკრატიული ინსტიტუტებისა, არ არსებობს პარლამენტი, არ არსებობს პრეზიდენტობის ინსტიტუტი, არ არსებობს სასამართლო, არ არსებობს თვითმმართველობითი ორგანოები. ყველაფერი თავმოყრილია ე.წ. პოლიტბიუროში, რომელშიც 4-5 კაცი შედის და ისინი წყვეტენ ყველაფერს. ეს არის არაკონსტიტუციური და ფორმალური მმართველობა. ასევე ფეხქვეშ არის გათელილი ადამიანის უფლებები, სიტყვის თავისუფლება, გამოხატულების თავისუფლება, ადამიანს თუ განსხვავებული აზრი აქვს, ის მოღალატეა, რუსეთის აგენტია. სამწუხაროდ, ქართველმა ხალხმა ვერ გაითავისა, საითკენ მიდის ეს ყველაფერი და მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ინფრასტრუქტურული ცვლილებებია მთავარი — გზები და ფასადები. ზოგი თვლის, რომ ეს არის მთავარი და ეს არის სახელმწიფო. სახელმწიფო ეს არ არის, ეს ყველაფერი საბჭოთა კავშირის დროსაც იყო — შუქიც იყო, გაზიც და გზებიც, მაგრამ ქართველებისთვის მიუღებელი იყო ასეთი ყოფა, სჭირდებოდათ დამოუკიდებლობა და არა ის, რომ ერთ კონკრეტულ ძალას ეპარპაშა დამოუკიდებლად ქვეყანაში. დღეს ქვეყანაში ადამიანები თავისუფლები არ არიან. მოქალაქე ვერ წყვეტს, რა და როგორ თქვას, მის მაგივრად ამ გადაწყვეტილებას ღებულობს ხელისუფლება. ისინი გეუბნებიან, როგორ უნდა იაზროვნო, თუ სხვანაირად აზროვნებ, მოღალატე ხარ. დარჩა ისევ ძველებური ფორმა, ადამიანები ჩუმად ლაპარაკობენ, ეშინიათ ხელისუფლების, არჩევნებში მონაწილეობის ეშინიათ, ჰგონიათ, რომ უთვალთვალებენ, უსმენენ და ამ ყველაფერს ხელს უწყობს ხელისუფლება. მათ აწყობთ, რომ საზოგადოებაში იყოს შიში, ეგონოთ, რომ უთვალთვალებენ. შეუძლებელია ყველას უთვალთვალო, პრაქტიკულად შეუძლებელია ხომ? ქვეყანაში შეიძლება უთვალთვალებდნენ მაქსიმუმ 5-6 ათას კაცს, მაგრამ ისეთი განწყობაა, რომ თითქოს ყველას უთვალთვალებენ. ხელისუფლებას კი აწყობს საზოგადოების ასეთი განწყობა.

***— იმის თქმა გინდათ, რომ შეშინებულია დღეს საზოგადოება?***

— ძალიან შეშინებულია, არადა, ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს, საზოგადოება გაცილებით ძლიერია, ვიდრე ხელისუფლება. ხელისუფლებამ მოახერხა უბრალოდ ძველი საბჭოთა მენტალობის შენარჩუნება. თუ რამით ჰგავს დღევანდელი ხელისუფლება საბჭოთა რეჟიმს, ჰგავს იმით, რომ შექმნა პოლიციური სახელმწიფო. მაღალი ხელფასები — პოლიციელებს, პრაქტიკულად პოლიცია იქცა უშიშროების სამსახურად. დღეს შს



სამინისტრო არ არსებობს, უბრალოდ არსებობს უშიშროების სამინისტრო და მას შს სამინისტრო ჰქვია. ამ ყველაფერს ემატება ის კრახიც, რომ ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიები, რუსეთმა შეძლო იმ ტერიტორიების აღიარება, რომელსაც აქამდე ვერ ახერხებდა. ამ ხელისუფლების ერთადერთი წარმატება არის იმ პრობლემის მოგვარება, რასაც ასლან აბაშიძე ჰქვია, ამის მოგვარება შევარდნაძემ ვერ შეძლო. ასლან აბაშიძის საკითხის გარდა ამ ხელისუფლებას არც ერთი პოლიტიკური საკითხი არ მოუგვარებია. პრობლემები კიდევ უფრო გააღრმავა, გაამუქა და კიდევ უფრო დიდ პრობლემად უქცია ქვეყანას, მაშინ, როცა ხელისუფლება ვალდებულია პრობლემები მოაგვაროს, გადაწყვიტოს და არა უფრო მეტი პრობლემა შექმნას.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ვარდების რევოლუციას ქვეყნისთვის არაფერი სასიკეთო და დადებითი არ მოუტანია?***

— მხოლოდ კრახი, კრახი და კრახი. შევარდნაძის რეჟიმი ყოვლად მიუღებელი იყო, ეს რეჯიმი კიდევ უფრო მიუღებელია შევარდნაძის რეჟიმთან შედარებით. ამ რეჟიმმა კიდევ უფრო უკან დახია საქართველო, ვიდრე შევარდნაძის დროს იყო და კიდევ უფრო გაამყარა ტოტალიტარული აზროვნება და ავტორიტარული მმართველობის რეჟიმი.

***— ბატონო პაატა, საზოგადოების ნაწილი და მათ შორის ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბოლო ზეიმია ამ ხელისუფლებისთვის, რომ სააკაშვილი ასრულებს თავის მოღვაწეობას...***

— ეს ყველაფერი ქართველ ხალხზეა დამოკიდებული, არც ოპოზიციაზე და არც ხელისუფლებაზე, ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ მათი ენერგია გამოყენებული უნდა იქნეს ეფექტურად, მაშინ ოპოზიციაც ივარგებს და ხელისუფლებაც ადეკვატური იქნება. თუ ხალხს მკაფიოდ არ ეცოდინება, რა უნდა, თუ მხოლოდ ერთი ბელადის შეცვლა უნდა მეორით, ამით არაფერი გამოვა. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ხელისუფლება მათ ხელშია და არა ოპოზიციის ან სააკაშვილის და მმართველობითი სისტემა არის მათი მოსამსახურე. ამას დღემდე ვერ მივაღწიეთ. მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიჟინებს ოპოზიციას, რომ მათ სჭირდებათ ახალი ბელადი და ამიტომ უნდა გაერთიანდნენ. საქართველოს უშველის მხოლოდ დემოკრატია, ანუ მრავალპარტიული, ძლიერი სისტემა, როგორც ევროპაშია.

***— თქვენ ოპოზიციის გაერთიანებას ეწინააღმდეგებით?***

— უაზრო გაერთიანებებს ვეწინააღმდეგები. გაერთიანება რისთვის, იმისთვის, რომ სააკაშვილი ჩამოვაგდოთ?! ეს არ არის პასუხი იმაზე, მერე რა იქნება. მე ვეთანხმები ოპოზიციაში მყოფი პარტიების გაერთიანებას რაღაცისთვის და არა რაღაცის წინააღმდეგ. ხალხმა უნდა აირჩიოს სახელმწიფოს მოწყობის გზა. მე წინააღმდეგი ვარ ძალისმიერი გაერთიანებებისა, სადაც ადამიანები ერთიანდებიან არა ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ იმიტომ, რომ ვიღაცა ჩამოაგდონ. ის ადამიანი ჩამოსაგდებია, მაგრამ ამით საქმე არ კეთდება. სააკაშვილმა ჩამოაგდო შევარდნაძე, მაგრამ რა შეიცვალა, რით აღმოჩნდა სიტუაცია უკეთესი? შევარდნაძემაც ჩამოაგდო გამსახურდია, მაგრამ რა მერე...? ამ ჩამოგდებებმა და ერთმა ლიდერმა არ მოიტანა შედეგი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა გვინდა და როგორ გვინდა.

***— დღეს ოპოზიცია აქტიურად ემზადება ადგილობრივი არჩევნებისთვის, ამ პირობებში რამდენად აქვს აზრი არჩევნებში მონაწილეობას და საერთოდ ჩატარდება ეს არჩევნები?***

— არჩევნები უნდა ჩატარდეს აუცილებლად. მე ყოველთვის მომხრე ვარ არჩევნების ჩატარების. არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა იყოს კითხვის ნიშანი პოლიტიკური პარტიისათვის. არჩევნებში არმონაწილეობაზე გადაწყვეტილება პოლიტიკურმა პარტიამ შეიძლება მიიღოს არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, როცა დანიშნულია არჩევნები, როცა ცნობილია, როგორი კანონით მივდივართ არჩევნებზე. მანამ, სანამ კანონი ჩამოყალიბებული არ არის, მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თარიღი დათქმული არ არის, ამ დროს პოლიტიკურმა პარტიამ თქვას, არ მივიღებ მონაწილეობას არჩევნებშიო, ეს არის ანტიპოლიტიკური აზროვნება, არჩევნებში არმონაწილეობა უნდა იყოს გამონაკლისი და ძალიან იშვიათი შემთხვევა.

***— თქვენ როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია უნდა წარდგეს მერობის ერთიანი კანდიდატით?***

— გააჩნია, როგორი კანონმდებლობა იქნება. ყველაზე კარგი ვარიანტი იქნებოდა, ხალხიგამოსულიყო ქუჩაში და საზოგადოებას მოეთხოვა არა სააკაშვილის გადადგომა, არამედ 50%-იანი ბარიერი. სს იქნებოდა ძალიან ეფექტური. მსოფლიო მიხვდებოდა, რომ ხალხი მოითხოვს არა სისხლს და ვიღაცების თავის კვეთას, არამედ მოითხოვს დემოკრატიულ ინსტიტუტს, ანუ 50% უფრო დემოკრატიულია, ვიდრე 30%. ამ მოლაპარაკებებში ხალხიც უნდა იყოს ჩართული, კულუარულად კი არ უნდა იკრიბებოდნენ, ეს ხალხის გადასაწყვეტია.

მე მგონია, რომ რამდენიმესაათიანი ასი ათასკაციანი მიტინგი კარგი იქნებოდა იმისთვის, რომ დემოკრატიულ სამყაროს დაენახა ხალხის ნება, მსოფლიოს დაენახა, თორემ სააკაშვილს ხალხი ბოდიში და ფეხებზე ჰკიდია.

***— ფიქრობთ, რომ ხალხი უნდა გამოვიდეს ქუჩაში?***

— რა თქმა უნდა. ოღონდ ამას კარგი მობილიზაცია სჭირდება, მე მგონი 50%-ის გულისთვის ნამდვილად ღირს ქუჩაში გამოსვლა. მე მაინც მგონია, თუ ხალხი ჩაერთვება ამ პროცესში, ეს სერიოზული შეტყობინება იქნებოდა დასავლეთისთვის, რომ ქართველი ხალხი მოითხოვს დემოკრატიას და არა მაინცდამაინც სააკაშვილის გადაგდებას.

***— ფიქრობთ, რომ მაინც ხალხის ძალა წყვეტს ყველაფერს?***

— ამაში დარწმუნებული ვარ და ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი. ხალხს ძალიან ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

# უგულავამ თუ მერის არჩევნები მოიგო, პრეზიდენტიც გახდება

## დროა ოპოზიციამ არჩევნებისთვის მზადება დაიწყოს

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების შანსი სახელისუფლო კანდიდატისკენ იხრება. ის ამბობს, რომ სახელისუფლო კანდიდატს გამარჯვების შემთხვევაში პრეზიდენტობისკენ მიმავალი ჰორიზონტი ეხსნება. ცინცაძე არ გამორიცხავს, რომ მიხეილ სააკაშვილის მემკვიდრე სწორედ გიგი უგულავა იყოს.**



ცინცაძე ამბობს, რომ საარჩევნო ბარიერი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც თუ ვინ იქნება ცესკოს თავმჯდომარე. ოპოზიციამ სწორედ ამაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება, ამბობს ცინცაძე.

ცინცაძის თქმით, ადგილობრივი არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, სერიოზულად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და ამის წინაპირობები არსებობს.

„ახალ თაობას“ **სოსო ცინცაძე** ესაუბრა.

***— ბატონო სოსო, ხელისუფლება და ოპოზიცია საარჩევნო ბარიერზე ვერ თანხმდება. ხელისუფლებამ მოლაპარაკების მაგიდაც კი მიატოვა. რას იტყვით ამ პროცესზე?***

— მსოფილოში ბარიერის ერთი სტანდარტი არ არსებობს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ბარიერია. არსებობს იდეალური, პრაგმატული და ამა თუ იმ ქვეყნისთვის შესაფერი საარჩევნო ბარიერი. ცოტა უცნაურად მეჩვენება დავა, 30 პროცენტი უნდა იყოს თუ 50 პროცენტი. ამბობენ, რომ 30 პროცენტით არჩეული მერი ვერ იქნება მთელი ქალაქის მერიო, მაგრამ ხომ შეიძლება 60 პროცენტმა მისცეს ხმა, 60 პროცენტი დააგროვოს. არა მგონია, რომ პროცენტების გამო უნდა ჩაიშალოს მნიშვნელოვანი დიალოგი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალ საარჩევნო კოდექსში, ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე შეთანხმება. საარჩევნო კოდექსის ახალი ვარიანტი და თარხნიშვილის შემცვლელზე შეთანხმება უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვიდრე პროცენტებზე შუბების მსხვრევა.

***— ანუ თარხნიშვილმა არ უნდა ჩაატაროს ეს არჩევნები...***

— მგონი, ის არც იქნება. არ გამოვრიცხავ, რომ ქართველი საზოგადოება უსამართლოა თარხნიშვილის მიმართ, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. როდესაც საზოგადოების ნახევარზე მეტი არ ენდობა პოლიტიკოსს, მასში მოთამაშე ფიგურას, ის მიდის პოლიტიკიდან, ასეთი დაუნდობელია პოლიტია. ცესკოს თავმჯდომარე პოლიტიკური ფიგურაა. რაც არ უნდა ამტკიცო, რომ ნეიტრალურია, პროფესიული ნიშნითაა, ის მაინც პოლიტიკური ფიგურაა. ცესკოს თავმჯდომარეს ელექტორატის 20 პროცენტიც, რომ არ ენდობოდეს და ასეთი ღია დაპირისპირება იყოს, ის უნდა გადადგეს. რამდენადაც ვიცი, თარხნიშვილი მიდის. თუმცა, ვთვლი, რომ ეს დაგვიანებულია.

***— უფრო ადრე უნდა გადამდგარიყო?***

— რასაკვირველია. ღირსების მომენტიც არის. არ მესმის, როდესაც თაღლითს გიწოდებენ, დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, გმადლობთ, გმადლობთ იძახო. ძველად ამისგამო დუელში იწვევდნენ ერთმანეთს.

***— როგორ უნდა შეირჩეს ცესკოს თავმჯდომარე?***

— დღეს ცესკოს თავმჯდომარე მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. ყველასთვის მისაღები ჩინოვნიკი მსოფლიოში არ არსებობს. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც შეხება აქვს არჩევნების ბედთან, ის ნაწილისთვის მისაღებია, ნაწილისთვის მიუღებელი. ნდობის გარკვეული მასშტაბი უნდა იყოს. თარხნიშვილის ნდობის მასშტაბი ძალიან დაბალია მთელ ოპოზიციაში. თარხნიშვილმა ვერ გამოძებნა საერთო ენა ოპოზიციასთან.

***— ასეთი მოსაზრებაც იყო, რომ გაეროს ჩაეტარებინა, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ არჩევნებს. თქვენ რას იტყვით?***

— არა მგონია, რომ ეს სწორი იყოს. გაერომ რომ ჩაატაროს ეს არჩევნები, მაშინ გამოდის, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ სომალის დონეზე ვართ, სადაც არა გარდამავალი, ახალგაზრდა დემოკრატიაა, არამედ საერთოდ ჩანასახშიც არ არის. თუ გაერო ჩაატარებს საქართველოში

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლებას კიდევ ბევრი რამე უნდა დავათმობინოთ

## კანდიდატების სიმრავლე ცუდი არ არის

შორენა კოწოწაშვილი

**ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადების პროცესში ჩართული ხელისუფლება ეკონომიკური ინიციატივებით ცდილობს საზოგადოებისა და ბიზნესწრეების გულის მოგებას. თუმცა, როგორც „ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე აცხადებს, ეს ეკონომიკური ინიციატივები ქვეყნის გარეთ გასაყიდად კეთდება, რეალურად კი ქვეყანა ეკონომიკურად სულს ღაფავს, ადგილობრივი ბიზნესი კი სულთმობრძავია.**

მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე გთავაზობთ ინტერვიუს „ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთ ლიდერ **მამუკა კაციტაძესთან.**

***— ბატონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოდის სახელისუფლო გუნდი 45-50%-იან ბარიერზე თბილისის მერის არჩევნებში?***

— ხელისუფლების ხელწერა ახალი არ არის. სხვათა შორის, არა მხოლოდ ამ ხელისუფლების. საქართველოს უკანასკნელი პერიოდის ხელისუფლებები საარჩევნო კანონმდებლობას, საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო ადმინისტრაციას ყოველთვის ცდილობდნენ და ახერხებდნენ კიდეც, რომ მოერგოთ საკუთარ თავზე. ამჯერადაც ამ ხელისუფლებამ არაერთხელ მოირგო საარჩევნო კანონმდებლობა საკუთარ თავზე ჯერ კიდევ 2006 წელს, გახსოვთ, თბილისის საკრებულოს არჩევნების სისტემა — ე.წ. მოგებულს მიაქვს ყველაფერი, ეს იყო წარმოუდგენელი სისტემა ადგილობრივი არჩევნებისთვის, ისეთი მრავალპარტიული ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. მაგრამ იმისათვის, რომ მათ უკეთეს შედეგს უქადდა ეს სისტემა, მათ ეს სისტემა დაამკვიდრეს. არაერთხელ მოხდა საქართველოს კონსტიტუციის ცვლილება საკუთარი გემოვნების მიხედვით და ერთ-ერთი ამის მადემონსტრირებელი იყო 75-75-ზე 2008 წლის გაზაფხულზე მიღებული გადაწყვეტილება. ამჯერადაც ხელისუფლების წინააღმდეგობა განპირობებულია იმით, რომ მას უნდა საკუთარ რეიტინგს მოარგოს კანონმდებლობა. ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ 50%-იანი ბარიერის, თუნდაც 40-45%-იანი ბარიერის გადამლახავი არ არის არც გიგი უგულავა და არც ნაციონალური მოძრაობა. მან იცის, რომ სერიოზული პრობლემა იქნება მათთვის, შედეგის თვალსაზრისით, ის სამართლიანი პრინციპი, რასაც ჰქვია უმრავლესობა ირჩევს მერს ანუ თბილისის აქტიური მოსახლეობის უმრავლესობა ირჩევს მერს. ეს არის მარტივი მოთხოვნა და გასაგები მესიჯი ჩვენი მხრიდან. მათ იციან, რომ ეს პოზიცია მათ სასურველ შედეგზე არ გაიყვანს. ამიტომ სურვილი აქვთ, მორიგი მცდელობა მოახდინონ კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგებისა და იმ რეიტინგით, რაც ხელისუფლებას გააჩნია, დავუშვათ, სადღაც 30-33% თავისი ადმინისტრაციული რესურსით, გაყალბებით გარკვეულ ფარგლებში, სერიოზული ფინანსების ხარჯვით მოახდინონ ხმების ამ რაოდენობის აკუმულირება საკუთარ ხაზინაში, საკუთარი კანდიდატებისა და პარტიის სასარგებლოდ და ამით დაასრულონ პროცესი. მივიღებთ იმას, რომ თბილისს ეყოლება 30-33%-იანი მერი, რაც ნიშნავს თბილისელი მოსახლეობის 30-32%-ის ნდობას. ვფიქრობ. ეს არ გამოდგება შექმნილი კრიზისული პოლიტიკური სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანის საშუალებად, რისთვისაც იმთავითვე იყო ჩაფიქრებული ადგილობრივი არჩევნების მაისში ჩატარება. გახსოვთ, სააკაშვილის ეს ინიციატივა თუ შემოთავაზება მოჰყვა ბაიდენის იმ გზავნილს, როცა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად თქვა, რომ პროცესები პარლამენტში არ მიმდინარეობს? პროცესები არის ქუჩაში; საჭიროა, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა, რომელიც ქუჩიდან პროცესებს შეიყვანს კვლავ დარბაზებში. ამის შემდგომ სააკაშვილმა ადგილობრივი არჩევნები გამოიმეტა და გააკეთა შეთავაზება, როგორც შექმნილი პოლიტიკური კრიზისული სიტუაციის განმუხტვის საშუალება. მაგრამ, როგორც ჩანს, სამართლიანობის განხორციელება ხელისუფლებას არც ხელისუფლების ამ ნაწილში უნდა. ამიტომ ადგას იმ გზას, რომელსაც ადგას.

***— ფაქტია, სააკაშვილი ხვდება 30%-ის მხარდაჭერით მოსული მერი პოლიტიკურ პროცესს ვერ ჩააქრობს და მოსახლეობის უკმაყოფილება ქუჩებში დაფიქსირდება. შეგნებულად მიდის პრეზიდენტი პოლიტიკური პროცესების დაძაბვაზე?***

— არა. ვერ ვიტყვი, რომ შეგნებულად მიდის პოლიტიკური პროცესის დაძაბვაზე. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში მისთვის პრიორიტეტი არ გახლავთ დაძაბოს ან განმუხტოს სიტუაცია. ხელისუფლების პრიორიტეტი არის ის, რომ მან არ დათმოს ძალაუფლება. თუ ეს ყდველაფერი გადაგორებადი იქნა ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში, ბუნებრივია, მას აწყობს ისეთი სისტემა შექმნას, რომელიც კვლავ შეუნარჩუნებს ხელისუფლებას. ბუნებრივია იტყვის, რა გავაკეთო, ვერ იგებს ეს ოპოზიცია, მე კი ყველა შემთხვევაში ვიგებო. ამიტომ, ჩვენი მხრიდან, თუ წაყრუება იქნება ამ ტიპის ინიციატივებზე, რასაც ჰქვია 30% და კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგება; თუ ამას თვალი დაუხუჭა საერთაშორისო საზოგადოებამ და ქართველმა საზოგადოებამ, მაშინ სააკაშვილი ამას მოახერხებს. მეტსაც გეტყვით, არ არის ერთმნიშვნელოვნად გუნდური თბილი და ტკბილი დამოკიდებულება სახელისუფლებო გუნდში. იქ რამდენიმე განშტოება არსებობს, რომელიც ხელისუფლებისთვის იბრძვის. სააკაშვილის ამ თვალსაზრისით არ აქვს ძალიან მშვიდი მდგომარეობა. სააკაშვილმა ერთ დღეს რომც თქვას, სამართლიანია 50% ბარიერი? რომ თბილისის მერი მართლაც უმრავლესობამ უნდა აირჩიოსო, პირდაპირ გეტყვით, მას დიდი ალბათობით „აუყირავდება" ნაციონალური მოძრაობის ერთი ფრთა, რომელიც უგულავას ზურგს წარმოადგენს. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც არ არის მთლად დამშვიდებული მდგომარეობა ნაციონალურ მოძრაობაში. მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი განმსაზღვრელი ყველაფრისა, არის ქართველი საზოგადოება, პოლიტიკური ოპოზიცია და საერთაშორისო საზოგადოება. იმის გამო, რომ ჩვენ მორჩილად არ წავყევით ნაციონალური მოძრაობის ხუშტურს, რომ 30%-იანი მერით ფონს გასულიყო, ბუნებრივია, ამან გამოიწვია თავისებური გამოხმაურება ქართველ საზოგადოებაში.

***— თუ არ ვცდები, „რედისონში" გამართულ შეხვედრაზე ორი დღის წინ ექსპერტთა კლუბმა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა საკმაოდ გაგაკრიტიკეს 50%-იანი ბარიერის დათმობის გამო. ასეა?***



— ძალიან საინტერესო შეხვედრა იყო ექსპერტთა ჯგუფებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან. მინდა გითხრათ, რომ აღმოვჩნდით საკმაოდ რთულ მდგომარეობაში. იმიტომ, რომ მათ სერიოზულად გაგვაკრიტიკეს, რატომ დავთმეთ პრინციპი — უმრავლესობა ირჩევს მერს, როდესაც 50%-იანი ბარიერი 45%-ზე ჩამოვწიეთ. ისინი ითხოვდნენ, რომ ეს სამართლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს. ჩვენ გვაქვს შეხვედრები სხვა ინტერესჯგუფებთანაც. გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ამ სამი დღის წინ ენდეაის ოფისში ენდეაის კოორდინატორობით გამართული კოდექსის ჯგუფის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# უგულავამ თუ მერის არჩევნები მოიგო, პრეზიდენტიც გახდება

დასაწყისი მე-2 გვერდზე

არჩევნებს, მაშინ ჩვენ სწორედ ამ ვერდიქტს მოვაწერთ ხელს. ამით ათეული წლებით გადავწევთ ნატოში გაწევრიანებას, ევროკავშირში გაწევრიანებას და, საერთოდ, ცივილიზებული სახელმწიფოს სტატუსის მოპოვებას. გაეროს ჩატარებული არჩევნები სულაც არ არის პანაცეა დარღვევებისგან. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გაერო ვერ შეძლებს, რომ არჩევნები სტერილურად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე ჩაატაროს. მე ვიტყოდი, ეს ცოტა ეგზოტიკური წინადადებაა, ისევე როგორც პრაიმერი ოპოზიციაში მერის კანდიდატის გამოსავლენად.

***— თუ ადგილობრივი არჩევნები გაყალბდა, რა სურათი შეიძლება მივიღოთ? ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს არჩევნები იმ პოლიტიკური პროცესების განეიტრალებაა, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ქუჩაში იყო...***

— დიახ. თუმცა უნდა ვთქვა, ისეთი შინაგანი რწენა მაქვს, რომ ეს არჩევნები, წინა არჩევნებთან შედარებით, გაცილებით პატიოსნად ჩატარდება. არ ვამბობ, რომ ეს იქნება იდეალური არჩევნები. იდეალური არჩევნების ჩატარება ძალიან რთულია თვით ევროპულ ქვეყნებშიც კი, სადაც 300 წლიანი ისტორია აქვს დემოკრატიას, არჩევნებს.

***— ბატონო სოსო, თუმცა, ალბათ მხოლოდ შინაგან რწმენაზე არ უნდა იყოს დაფუძნებული პატიოსანი არჩევნების ჩატარება...***

— რასაკვირველია. არსებობს მრავალი ფაქტორი (ახლა ნუ ვისაუბრებთ), რომელიც იმის გარანტიას იძლევა, რომ წინა არჩევნებისგან ეს არჩევნები მკვეთრად განსხვავებული იქნება. რასაკვირველია, უკმაყოფილონი იქნებიან; რასაკვირველია, იქნებიან ისეთები, რომლებიც იტყვიან, რომ ჩვენ გაგვიყალბეს, მაგრამ ეს არჩევნები, ვიმეორებ, წინა არჩევნებთან შედარებით სერიოზულად წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამიტომ მიმაჩნია, რომ დღეს ოპოზიცია ოქროს წუთებს კარგავს.

***— ანუ?***

— არჩევნებისთვის არ ემზადებიან.

***— ერთი კანდიდატი უნდა ჰყავდეს ოპოზიციას?***

— რასაკვირველია. ოპოზიცია კი ერთ თვეზე მეტია კამათობს ისეთ პრაქტიკულად განუხორციელებელ იდეაზე, როგორიც პრაიმერით ერთი კანდიდატის შერჩევაა.

***— როგორ უნდა მოხდეს ერთი კანდიდატის შერჩევა ოპოზიცაში?***

— არავითარი პრაიმერი. ერთი კანდიდატის შერჩევას ოპოზიციაში ლიდერთა სერიოზული მოლაპარაკებები უნდა უძღოდეს. მოლაპარაკებები დახურული უნდა იყოს და არა თოქ-შოუში განხილული.

***— ერთი კანდიდატის შემთხვევაში ოპოზიციას რა შანსი აქვს?***

— შანსი აქვთ, გარანტია არა. ჩემი აზრით, ისე მიდის ყველაფერი და იმდენად ცოტა დრო რჩება არჩევნებამდე, რომ არ მინდა ნოსტრადამუსობა დავიბრალო, მაგრამ სახელისუფლო კანდიდატს გაცილებით მეტი სასტარტო პოზიცია აქვს. ხელისუფლების კანდიდატის წინ იშლება დიდი ჰორიზონტი, რომელიც პრეზიდენტობისკენ მიდის. როდესაც ქალაქის მერი უგულავა გახდა, მაშინ მე პირველმა ვთქვი, რომ ეს მომავალ პრეზიდენტს ჰგავს-მეთქი.

***— უგულავას პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებთ?***

— თუ ისევ მერი გახდა, კი, მაგრამ მანამდე ბევრი რამ არის გასაკეთებელი, რაც სულაც არ არის თანხებთან და პოლიტიკურ ნებასთან დაკავშირებული. მე მაწანწალა ძაღლებისგან ქალაქის გაწმენდაზე ვსაუბრობ. რა პოლიტიკური ნება სჭირდება იმას, რომ როგორც მთელ ცივილიზებულ ქალაქებში, თბილისშიც ნაგავი დილის და ღამის საათებში გაიტანონ. ნაგვის მანქანები ღამე დადის ყველგან, ჩვენთან კი პიკის საათებში, რომელიც მანქანების საცობებს ქმნის. სუპერმარკეტებში შუა დღეზე შეაქვთ სურსათი და უზარმაზარი მანქანები პროსპექტებს კეტავენ. ეს სფერო მოსაგვარებელია.

***— მერი მხოლოდ მეურნე უნდა იყოს და არა პოლიტიკური ფიგურა?***

— მერი, როგორც წესი, პოლიტიკური ფიგურაა. არაერთი შემთხვევაა, რომ მერი პრეზიდენტი გამხდარა, ისეთი დემოკრატიულ ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, ჟაკ შირაკის მაგალითია, ავტორიტარულ ქვეყანაში — ირანში კი ახმედი ნეჯადი გახდა. დედაქალაქში, მით უმეტეს, ისეთი ქვეყნის, როგორიც საქართველოა, აქ მერი ნომერ პირველი ფიგურაა. აქ მერობა გაცილებით რთულია, ვიდრე სხვაგან. თბილისში ერთდროულად უნდა იყო პოლიტიკური მოღვაწე და მეურნე. ჟაკ შირაკს, როდესაც ის პარიზის მერი გახდა, სულ არ სჭირდებოდა, რომ მაწანწალა ძაღლებისთვის ებრძოლა. საქართველოში მერი პოლიტიკოსიც უნდა იყოს და მეურნეც.

# სააკაშვილს ჩემს პრეზიდენტად არ ვცნობ

შორენა კოწოწაშვილი

— უკანონო, მემკვიდრეობითი გადატრიალების გზით, ხალხის მოტყუებით ჩაიგდეს ხელში ე.წ. რევოლუციონერებმა ძალაუფლება. ვარდების რევოლუციიდან გადავიდნენ ჯერ სკამების რევოლუციაზე, შემდეგ კი — ტერორიზმზე. მივმართავთ მსოფლიო საზოგადოებას, არ ცნოს ტერორისტული ხუნტა და გაწყვიტოს მასთან დიპლომატიური კავშირი, — ამ შინაარსის განცხადებებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ვარდების რევოლუციის პირველ დღეებში აკეთებდა და ფაქტია, რომ შალვა ნათელაშვილს პოზიცია დღემდე არ შეუცვლია.

— მიხეილ სააკაშვილს არ ვცნობ ჩემს პრეზიდენტად, რადგან ის ხელისუფლებაში აბობღდა უსამართლობის და უსინდისობის ყველა მეთოდის გამოყენებით, რასაც თან ახლდა ანტიადამიანური და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები. ამ კაცს შეუძლია ჩვენს სახელმწიფოებრობას, საქართველოს დამოუკიდებლობას წერტილი დაუსვას, — მიაჩნდა და მიაჩნია შალვა ნათელაშვილს, რომელიც ზემოაღნიშნულთან ერთად სააკაშვილის გაპრეზიდენტების პირველ წელსვე აცხადებდა: „ქვეყანაში იწყება სააკოვიზმის ტირანია, იწყება პერიოდი, როცა გაგვიყიდიან ყველაფერს, რაც გასაყიდი დარჩა; შეგვიბილწავენ რწმენას, მართლმადიდებლობას. ქვეყანაში იწყება პერიოდი, რომლის მიზანი იქნება ახალი ადამიანების გამოჩეკა. ამიტომ აუცილებელია იმ უსამართლობას, რაც ქვეყანაში ხდება წერტილი დაესვას. ქვეყანაში უნდა დაიწყოს დიდი ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა".

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა გუშინ, ვარდების რევოლუციის 6 წლის მანძილზე ტრადიციას არ უღალატა



და დაზოგადოებას შეახსენა ის მძიმე რეალობა, რომელშიც ქვეყანა მოქმედი პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში აღმოჩნდა. ამასთან, ნათელაშვილმა გაიხსენა, რომ ის იყო პირველი, რომელმაც განაცხადა:

ქვეყანაში მყარდება შავი, ანტიეროვნული პოლიტიკა — ტირანია, რომლის მიზანია მოსპოს ქართული სახელმწიფოებრობა, მოახდინოს ქვეყნის ჯუჯა სახელმწიფოებად დანაწევრება.

— ექვსი წლის წინ მიხეილ სააკაშვილმა სახელისუფლო კორემპირებული ძალების და უცხოური ცენტრების დახმარებით მასობრივი ფსიქოზისა და წმიდა გიორგობის ამაღლებული დღესასწაულის ანტიქრისტიანული გამოყენებით მოახდინა ძალადობრივი ანტიკონსტიტუციური სახელმწიფო გადატრიალება, მიითვისა ძალაუფლება, რომელსაც დღემდე ასევე უკანონოდ ინარჩუნებს დიქტატის, ძალადობის, რეპრესიების უსასტიკესი მეთოდებით, აგრეთვე არჩევნების მასობრივი ფალსიფიცირებით, ბიზნესისა და მასმედიის დატყვევება-დაკაბალებით, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შალვა ნათელაშვილმა. მისი თქმით, დანაშაულებრივი პოლიტიკით ცრუ არალეგიტიმურმა პრეზიდენტმა ერთიანი ქართული სახელმწიფო დე იურე, დე ფაქტო უკვე დაშალა სამ ნაწილად, ხოლო დარჩენილი ტერიტორია გადააქცია კოლონიად.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის განცხადებით, რეჟიმის შეცვლა ჩვენი ხალხის საპროტესტო მოძრაობასთან ერთად გარდაუვლად მოითხოვს სააკაშვილის დანაშაულებრივი ჯგუფის საერთაშორისო პოლიტიკურ, სამართლებრივ და დიპლომატიურ იზოლაციას.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ სააკაშვილის და ნაციონალური მოძრაობის მთავარი კონკურენტი და მთავარი პოლიტიკური მესაფლავე არის ლეიბორისტული პარტია. ნათელაშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილს არ ცნობს თავის პრეზიდენტად და მისი ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას გააგრძელებს.

შრომის პარტიის ლიდერი მიიჩნევს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლის პარალელურად სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილებაზე უნდა იზრუნოს მსოფლიო თანამეგობრობამაც, რომელმაც კარგად დაინახა, რამდენად მძიმე შედეგების მომტანია საქართველოს ხელისუფლების სათავეში გაუწონასწორებელი პრეზიდენტის ყოფნა.

— მოვუწოდებთ მსოფლიო თანამეგობრობას, გააძლიეროს ჩამოთვლილი ზეწოლის ბერკეტები, რათა სააკაშვილის რეჟიმმა სისხლისღვრის გარეშე დათმოს უზურპირებული ძალაუფლება, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

# კონსტანტინე გამსახურდია ვიცე-სპიკერი გახდება?

## პარლამენტში ოპოზიციონერთა რიცხვი გაიზრდება

ნანა მიშელაშვილი

**კონსტანტინე გამსახურდიამ შესაძლოა, პარლამენტში ახალი თანამდებობა დაიკავოს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც პარლამენტის დროებით კომისიას ვადა ამოეწურება. კულუარული ინფორმაციით, კონსტანტინე გამსახურდია ვიცე-სპიკერის ან ფრაქციის თავმჯდომარის პოსტს დაიკავებს. სანამ გამსახურდია ახალ თანამდებობას დაიკავებს, ჯერ პარლამენტში ფრაქციის შესაქმნელად საჭირო რესურსი უნდა გაჩნდეს.**

ამ პარლამენტში ოპოზიციური რესურსი რომ ჭირს, ეს ცხადია. პარლამენტის შეკრებიდან დღემდე 2 ოპოზიციური ფრაქციაა და ეს რიცხვი აქამდე არ გაზრდილა. პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნის შანსი მას შემდეგ გაჩნდება, რაც გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად სამ რაიონში მაჟორიტარული არჩევნები ჩატარდება.

გურჯაანში, ჩუღურეთსა და ოზურგეთში ოპოზიციური პარტიების კანდიდატების გამარჯვების შემდეგ საკანონმდებლო ორგანოში ახალი ფრაქციის შექმნის შანსი ჩნდება.

ოპოზიცია ერთგვაროვანი არ არის. ყველა თავის სატელიტი ფრაქციის შექმნას ცდილობს, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ სამივე რაიონში მანდატების მოპოვების შემთხვევაშიც კი, ოპოზიციამ ახალი ფრაქციის შექმნა ვერ შეძლოს. განსხვავებული აზრის მქონე ოპოზიციონერებს ერთად ყოფნა უჭირთ და ამიტომ მათი ერთ ფრაქციაში შესვლა წარმოუდგენელი იქნება.

კონსტანტინე გამსახურდიას ახალი ფრაქციის შესაქმნელად ჯერ საჭირო რესურსი არა აქვს. ამ ეტაპზე მხოლოდ ორი ადამიანია, რომლებიც ახალ ფრაქციაში შეიძლება მოვიაზროთ. ეს არის თავად კონსტანტინე გამსახურდია და ჯონდი ბაღათურია. ამის მიუხედავად, საპარლამენტო კულუარებში ხმები დადის, რომ ახალი ფრაქციის შექმნის შანსი არსებობს.

ჯონდი ბაღათურია პარლამენტში არა მარტო ახალი ფრაქციის შექმნას ვარაუდობს, არამედ ახალი უმცირესობის კონფიგურაციაზეც საუბრობს. ეს ყველაფერი ამ ეტაპზე მხოლოდ ვარაუდია, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში განხორციელდება თუ პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვი გაიზრდება.

პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვის გაზრდის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არსებობს. გაერთიანებული ოპოზიციის იმ წევრებს, რომლებმაც სადეპუტატო მანდატებზე უარი თქვეს, 1 იანვრამდე დრო აქვთ, რათა მანდატი აღიდგინონ.

ჯერჯერობით ამ უფლებით მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიამ ისარგებლა. ანუ 12 ოპოზიციონერიდან, ვინც სადეპუტატო უფლებამოსილება შეიწყვიტა, მხოლოდ გამსახურდიამ



მოინდომა პარლამენტში დაბრუნება.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, პარლამენტში დაბრუნებაზე კიდევ ორი ოპოზიციონერი ფიქრობს, თუმცა, ამ გადაწყვეტილებას ჯერ ვერ იღებენ. როგორც ჩანს, ამ ოპოზიციონერებს დანარჩენების რისხვის ეშინიათ.

პარლამენტში შესვლის მსურველთა ვინაობა არ ხმაურდება. თითქმის ყველა ოპოზიციონერი ირწმუნება, რომ პარლამენტში შესვლას არ აპირებს. არადა, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ზოგიერთი პარლამენტის მანდატზეც ფიქრობს, დიპლომატიურ პასპორტზეც, კაბინეტზეც, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეობაზეც და მაღალ ხელფასზეც.

თუ ვინმე შემთხვევით მოიფიქრებს და პარლამენტში შესვლას გადაწყვეტს, ამისთვის ვადა 1 იანვრამდე აქვს. ამის შემდეგ ვერც ერთი უფლებაშეწყვეტილი ოპოზიციონერი საკანონმდებლო ორგანოს ვეღარ დაუბრუნდება. ამ ერთი თვის მანძილზე გაირკვევა, რომელი ოპოზიციონერი ლიდერი დაიკავებს დეპუტატის სავარძელს.

გარე ოპოზიციიდან პარლამენტში თუ ვინმე შევა, მაშინ ოპოზიციონერების რიცხვი გაიზრდება და ახალი ფრაქციის შექმნა შესაძლებელი იქნება. ახალ ფრაქციას სპიკერატში ადგილი ექნება. ამჟერად, ორივე ოპოზიციურ ფრაქციას ვიცე-სპიკერი ჰყავს. მესამე ოპოზიციური ფრაქციის შექმნის შემთხვევაში, ახალ ფრაქციასაც ეყოლება ვიცე-სპიკერი.

პარლამენტში უკვე საუბრობენ, რომ კონსტანტინე გამსახურდია ვიცე-სპიკერის პოსტს დაიკავებს. ეს მას შემდეგ მოხდება, რაც კომისიის უფლებამოსილების ვადა ამოიწურება. ამჟერად კონსტანტინე გამსახურდია პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარეა.

დროებითი კომისია 3 თვის ვადით არის შექმნილი. სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ პარლამენტს კიდევ სამი თვით უფლებამოსილების გაგრძელება შეუძლია. ანუ 6 თვის შემდეგ კომისია მუშაობას შეწყვეტს. სწორედ ამ დროისთვის ვარაუდობენ, რომ კონსტანტინე გამსახურდია ან ვიცე-სპიკერი გახდება, ან ფრაქციის თავმჯდომარე.

პარლამენტში შესვლის შემდეგ კონსტანტინე გამსახურდიას პარტიამ ცესკოში და საოლქო კომისიებშიც მოითხოვა წარმომადგენლის წარდგენა. ამჟერად ამ პარტიას საარჩევნო კომისიებში წევრი არა ჰყავს.

რამდენიმე დღის წინ კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტის თავმჯდომარეს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. ამბობენ, რომ სწორედ ამ შეხვედრაზე მოითხოვა კონსტანტინე გამსახურდიამ საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლის შეყვანა.

როგორც ცნობილია, ცესკო-ში წევრი ჰყავს პაატა დავითაიას პარტიას „ჩვენ თვითონ“. ამ პარტიამ მას შემდეგ წარადგინა წარმომადგენელი, რაც გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების დიდმა ნაწილმა პარლამენტში შესვლა არ მოისურვა.

პარტია „ჩვენ თვითონ“ ბლოკში პარტია „თავისუფლების“ შემდეგ იყო. თავიდან კონსტანტინე გამსახურდიას პარტიამ უარი თქმა პარლამენტში შესვლაზე, ხოლო დავითაიას პარტიამ ცესკოში და საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლები წარადგინა. კონსტანტინე გამსახურდიას პარლამენტში დაბრუნების შემდეგ პარტია „თავისუფლებამ“ კომისიებში თავისი წარმომადგენლების წარდგენა მოითხოვა.

როგორ გადაწყდება ეს საკითხი და მივა თუ არა ცესკოსა და საოლქო კომისიებში ადგილებისთვის ბრძოლა ორი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დაპირისპირებამდე, ეს უახლოეს ხანში გაირკვევა.

საარჩევნო კომისიებში პარტიის წარმომადგენლის შეყვანა თითქმის ყველა პარტიას სურს. ასეთ დროს პარტია მთელი საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ასეულ ადამიანს ასაქმებს. გარდა ამისა, არჩევნების დროს საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლის ყოლა საკმაოდ კარგ პოზიციაში გაყენებს.

რაც შეეხება ცესკოს, მისი დაკომპლექტების საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ასევე არ არის გადაწყვეტილი, თუ ვინ იქნება ცესკოს თავმჯდომარე.

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში განიხილება საკითხი, რომ ცესკოს თავმჯდომარის სამი კანდიდატურა პრეზიდენტმა წარადგინოს, საიდანაც ერთს ოპოზიცია აირჩევს. როგორი წესით იქნება ცენტრალური საარჩევნო კომისია დაკომპლექტებული და რომელ სუბიექტებს ეყოლება წევრი, ეს სამუშაო ჯგუფში გადაწყდება.

ამ ეტაპზე ჯერ ისიც გასარკვევია, როდის შეიკრიბება სამუშაო ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კოდექსზე მუშაობს. არადა, ამ ჯგუფის მუშაობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუნდაც ის, თუ როგორი კოდექსით ჩატარდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული საარჩევნო კოდექსი რეკომენდაციებისთვის ვენეციის კომისიას უნდა გადაეგზავნოს. მას შემდეგ, რაც ვენეციის კომისია თავის შენიშვნებსა და რეკომენდაციებს საქართველოში გამოაგზავნის, პარლამენტში მსჯელობა დაიწყება.

საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფს რამდენიმე დღის წინ უმრავლესობა შემოსწყრა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენელმა პროტესტის ნიშნად რაიმე ჯგუფი დატოვა. აქამდე ბოიკოტს ყოველთვის ოპოზიცია მიმართავდა და არა ნაციონალური მოძრაობა.

ოპოზიციის ნაწილი გარკვეულ საშიშროებაზეც საუბრობს. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ჯგუფში შეთანხმება არ მოხდება, შესაძლოა ადგილობრივი არჩევნები ისევ ძველი კოდექსით ჩატარდეს. ასეთი რამ კი ოპოზიციას არ აწყობს.

საარჩევნო კოდექსი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია, რომელიც ყველა პარტიას აწუხებს. არჩევნების წინ, ყველაზე საკამათო სწორედ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებებია. ქართული პოლიტიკის მუდმივად ამოუხსნელი თავსატეხია ცესკოს დაკომპლექტების საკითხიც.

პოლიტიკურმა სუბიექტებმა ცესკოს დაკომპლექტების იმდენი ვარიანტი მოიფიქრეს, რამდენი პარტიაც არსებობს. საარჩევნო კოდექსის მორგება ყველას საკუთარ პარტიაზე სურს. არადა, ისეთ ორგანულ კანონს ვერავინ დაწერს, რომ ყველა დარეგისტრირებული პარტიის ინტერესი გაითვალისწინოს.

სანამ ახალი საარჩევნო კოდექსი დაიწერება და მასზე პარლამენტში მსჯელობა დაიწყება, პარტიები საკუთარი რეიტინგების გაზომვით არიან დაკავებული.

ერთ-ერთი ორგანიზაცია პოლიტიკური პარტიების რეიტინგებს დეკემბერში გამოაქვეყნებს. ამ რეიტინგების ნახვის შემდეგ ზოგიერთს იმედი გაუცრუვდება. არიან ისეთი პარტიებიც, რომლებიც არც ერთ სოციოლოგიურ კვლევას არ ეთანხმებიან და მხოლოდ საკუთარი პარტიის პირველობაზე საუბრობენ.

მთელი ზამთრის განმავლობაში ქვეყანაში საარჩევნო კამპანია იქნება წარმოებული, შედეგებს კი გაზაფხულზე დაითვლიან.

# ხელისუფლებას კიდევ ბევრი რამე უნდა დავათმობინოთ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

შეხვედრის დასრულების შემდგომ, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენელმა ფაქტობრივად კარი გაიჯახუნა და დატოვა ეს ფორმატი, რამდენად მწვავე რეაქცია მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ხელისუფლების ამ ტიპის ქმედებას. ანუ საერთაშორისო საზოგადოება ვერ დარჩება ამ პროცესებისადმი გულგრილი და ვერ იქნება ინდეფერენტული და გვერდზე გამდგარი.

***— იძულებული გახდება საერთაშორისო ორგანიზაციების უკმაყოფილებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ კანონმდებლობა დემოკრატიულ ჩარჩოებში მოაქციოს?***

— ეს ყველაფერი, თავისთავად, ისევე აიძულებს ხელისუფლებას ნაბიჯები გადადგას დემოკრატიის შემხვედრი მიმართულებით, როგორც გადადგა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში. ალბათ ვერავინ დაიჩემებს იმას, რომ სააკაშვილისა და ხელისუფლების ლმობიერების, დემოკრატიულობის ან გულჩვილობის ბრალია ის, რაც მან გააკეთა ბოლო პერიოდის განმავლობაში. ეს არის ხალხის ბრძოლის შედეგად იძულებით გადადგმული ნაბიჯების, რაც აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

***— საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა 50%-იანი ბარიერი?***

— საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნა არის პოლიტიკურმა სპექტრმა ფართო მსჯელობის შემდგომ ურთიერთკომპრომისებით მიაღწიოს კონსენსუსს და არავითარ შემთხვევაში არ გაიჯახუნოს კარი. ჩვენ ვთქვით, სამართლიანი 45% იმდენად, რამდენადაც უმრავლესობამ უნდა აირჩიოს მერი. მაგრამ კომპრომისზე მივდივართ სწორედ იმის გამო, რომ შედგეს კონსენსუსი. და ვთქვით უარი 45%-იან ბარიერზე. იქვე დავძინეთ, ჩვენ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით კვლავ ვართ მზად საუბრისთვის და კომპრომისისთვის, იმისათვის, რომ კონსენსუსს მივაღწიოთ. ჩვენ არ გვითქვამს, გაგებუტეთ, წავედი, რესურსი ამოწურულია და ინდივიდუალურ რეჟიმში ვიწყებ მუშაობას. ამასთან დაკავშირებით არის ძალიან მწვავე საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება. ფაქტობრივად, ამ სამი დღის წინ ნაციონალურმა მოძრაობამ მოახდინა საკუთარი პოლიტიკური ნების ლუსტრირება; რომ მას უნდა საკუთარ თავზე კანონის მორგებით და დემოკრატიის გათამაშებით ერთი ნამცეციც კი არ დათმოს ხელისუფლებისა. ხელისუფლებისა, რომელიც მას არასწორად აქვს მითვისებული. თუ სწორად აქვს მითვისებული, მაშინ სამართლიანი პრინციპი — უმრავლესობა ირჩევს მერს — ხელისუფლებას უნდა აწყობდეს. პრობლემა სწორედ ის არის, რომ ეს ყველაფერი არ შეესაბამება საზოგადოებაში არსებულ პოლიტიკურ განწყობებს და მას ისევე უნდა მოახდინოს ხელისუფლების უზურპირება, როგორც ეს 2006-2008 წლებში გააკეთა.

***— ხომ არ ხდება „ალიანსი საქართველოსთვის“ მხრიდან არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხის გადახედვა?***

— მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება, სერიოზული ანალიზის შედეგად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ჩვენ მივიღეთ ეს პოლიტიკური ბრძოლა, ეს გამოწვევა. ჩავერთეთ საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებისთვის კოდექსის ჯგუფში და დავასახელეთ ჩვენი კანდიდატურები. ჩვენ არ აგვიღია ვალდებულება, რომ ყველა შემთხვევაში მივიღებთ მონაწილეობას არჩევნებში. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენ გვინდა გარკვეულწილად მაინც მოვახერხოთ საარჩევნო გარემოს გაჯანსაღება სწორედ ამიტომ ვართ ჩართული აგერ უკვე ორი თვეა კოდექსის ჯგუფის მუშაობაში. ჩვენ ვამბობთ ოდნავ მაინც თუ იქნა შესაძლებელი ობიექტური გარემოს დაჭერა წინასაარჩევნო პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, ეს გამოწვევა ჩვენი მხრიდან არ შეიცვლება და შესაბამისად, არჩევნებში ჩვენ მიერ წარმოდგენილი ტანდემით — ალასანიასებრი მივიღებთ მონაწილეობას. ერთი სიტყვით, თუ რაიმე ზეთავხედური არ მოხდა ხელისუფლების მხრიდან, ჩვენ ჩვენს გადაწყვეტილებას არ გადავხედავთ. ვერც იმას ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ აპრიორი ვალდებულება გვაქვს აღებული ყველა შემთხვევაში არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

***— მერობის კანდიდატთა სიმრავლე ოპოზიციაში ხომ არ გამოიწვევს საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად ერთმანეთისთვის ხმების წართმევას და ამით ოპოზიცია დაზარალდება?***

— საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რაც მეტი იყო საპრეზიდენტო კანდიდატი 50%-იანი ბარიერის დროს, მით მეტი იყო საზოგადოების აქტივობა არჩევნებში და მით რთული იყო გადალახვა პირველ ტურში დაწესებული ბარიერისა, რაც სააკაშვილმა მოპარვით გადალახა. სააკაშვილს რომ არ ექურდა მრავალკანდიდატიან საპრეზიდენტო არჩევნებში, უცილობლად იქნებოდა მეორე ტური. ხოლო მეორე ტური რას იზამდა, არავინ იცის. ანუ მაღალი ბარიერის შემთხვევაში ბევრი კანდიდატი არავითარ შემთხვევაში არ არის ხმების გაყოფისა და ამით არჩევნების წაგების გარკვეული დამაზიანებელი ფაქტორი. ამიტომ საარჩევნო სისტემას ცოტა სიღრმისეულად უნდა მივუდგეთ. დამერწმუნეთ, კანდიდატთა სიმრავლე ყოველთვის არ არის ცუდი თუ გნებავთ პრაგმატული მოსაზრებების გამო. რაც შეეხება ოპოზიციის მხრიდან კანდიდატთა სიმრავლეს, მე ეს დადებითად მიმაჩნია. კარგია, რაც უფრო ადრე ჩამოყალიბდებიან პოლიტიკური სუბიექტები, ვინ იღებს არჩევნებში მონაწილეობას და შესაბამისად, ვის ჰყავს საკუთარი კანდიდატი მერის თანამდებობაზე. ამ კუთხით მივესალმები კონსერვატორების გადაწყვეტილებას, რომელიც ორი დღის წინ გაჟღერდა. რაც შეეხება იმას, რომ იქნება მოხერხდეს ოპოზიციიდან მხრიდან ერთ კანდიდატზე შეთანხმება, ამისათვის არსებობს სხვადასხვა საშუალება, იგივე პრაიმერი. ამიტომ თავისთავად ჩამოყალიბება ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით და კანდიდატთა დასახელება ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური მოვლენაა. მეორე მხრივ, არსებობს მეორე ეტაპი, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს ოპოზიციური პოლიტიკური ძალების გარკვეული შემოკრება კონკრეტული კანდიდატის გარშემო, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ტრაგედიებს ამ თვალსაზრისით ნამდვილად ვერ ვხედავ. არც სხვას ვუსურვებდი ამგვარი პროცესი შეაფასოს, როგორც პოლიტიკური პროცესისთვის ნეგატიური განვითარება ოპოზიციის კუთხით.

## ცხინვალის რეჟიმი დაკავებულების „ყველა ყველაზე“ გაცვლის ინიციატივით გამოდის

ცხინვალის რეჟიმი დაკავებულების გაცვლის ინიციატივით გამოდის. ამის შესახებ პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში ე.წ. პრეზიდენტის წარმომადგენელმა ბორის ჩოჩიევმა გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას“ განუცხადა.

— შექმნილი რეალიების გათვალისწინებით სამხრეთ ოსეთის დელეგაციამ ჟენევის მერვე რაუნდზე დაკავებულების პრობლემის გადაჭრის შემდეგი ვარიანტი წარმოადგინა - გავცვალოთ ყველა ყველაზე და ამით დავსვათ ამ საკითხში წერტილი, — განაცხადა ჩოჩიევმა.

მისივე მტკიცებით, ჟენევის კონსულტაციებზე დაკავებულების ეროვნული ნიშნით გარჩევა-დაყოფა შეინიშნება.

— გამოდის, რომ ოსების დაკავება და მოკვლა შეიძლება. ამ ყველაფერთან დაკავშირებით დისკუსიებზე ჩვენმა დელეგაციამ გაავრცელა განცხადება იმის თაობაზე, რომ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექნიზმის შეხვედრებში არ მიიღებს მონაწილეობას იმ დრომდე, ვიდრე ჩვენი დაკავებული მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას არ მოგვაწვდიან, - განაცხადა ჩოჩიევმა.

**ინტერპრესნიუსი**

# აფხაზები ზუგდიდში თხილის ქარხნის გახსნას გვთხოვდნენ

## ბუთბას ოფისის აფეთქება მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება

**აფხაზეთში პოლიტიკური ტემპერატურა სულ უფრო მატულობს. წინა კვირას პრეზიდენტობის კანდიდატის ბესლან ბუთბას წინააღმდეგ ორი აფეთქება განხორციელდა. ბუთბას ფანები თუ ვინმე ხართ, გაიხარეთ. თქვენს რჩეულს თავიდან თმაც კი არ ჩამოვარდნია.**

თეა მარხვაია

ეს ორი აფეთქება ყველამ მოახლოებულ არჩევნებს დაუკავშირა. როგორც ამბობენ, ბუთბას რეიტინგი საკმაოდ გაიზარდა და ეს ვიღაცას ძალიან უშლის ხელს. არც იმას გამორიცხავენ, რომ ეს აფეთქება კრიმინალური გარჩევა იყოს. ბუთბას ბევრი ფული აქვს და, შესაბამისად, მტერიც ბევრი ჰყავს. ამ ვერსიას კატეგორიულად არ ეთანხმება ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე, რომელსაც ბუთბასთან რამდენიმეწლიანი ნაცნობობა აკავშირებს.

**ალეკო შალამბერიძე:**

— ეს აფეთქება პირდაპირ კავშირშია საპრეზიდენტო არჩევნებთან. კანდიდატები პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. პირველ რიგში, იმიტომ, რომ აფხაზეთში პრეზიდენტის პოსტი არის ძალაუფლების წყარო. იქ კლანური მეთოდები ისევ მოქმედებს.

***— ბესლან ბუთბა არის ოლიგარქი. როგორც ამბობენ, მას საეჭვო კავშირებიც აქვს. იქნება მისი ოფისის აფეთქება მის საქმიანობას უკავშირდება?***

— არა მგონია, რომ ეს ჩვეულებრივი კრიმინალი იყოს. ისე, ბუთბას მართლა ძალიან ბევრი ფული და რუსეთში ძალიან სერიოზული ბიზნესი აქვს. ბიზნესს ეწევა ის აფხაზეთშიც. მას ოჩამჩირეში აგროსამრეწველო კომპლექსი „არადუ" აქვს. ის ფლობს რამდენიმე გაზეთს და არის ტელეკომპანია „აბაზას" დამფუძნებელი. მოკლედ, სერიოზული ბიზნესმენია. მას ფულის გარდა გავლენაც დიდი აქვს. აფხაზეთში პატივისცემით სარგებლობს. არჩევნებზე ხმებს სერიოზული რაოდენობით აიღებს. ამიტომაც მგონია, რომ ეს აფეთქება პირდაპირ უკავშირდება არჩევნებს.

***— თქვენ თქვით, რომ ბუთბა აფხაზეთში გავლენით სარგებლობსო. რამდენად საკმარისია ეს არჩევნების მოსაგებად. ყველა შეგუებულია იმ აზრს, რომ არჩევნებს ის კანდიდატი მოიგებს, ვისაც მხარს რუსეთი დაუჭერს.***

— ბუთბა რუსეთში სერიოზულ ბიზნესს ეწეოდა. ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე იქ ამის გაკეთება შეუძლებელია. მას იქ ბევრი გავლენიანი ნაცნობი ჰყავს. ალბათ მათმა მხარდაჭერამ გადააწყვეტინა არჩევნებში მონაწილეობა. საკმაოდ ჭკვიანი კაცია და გარანტიების უქონლობის შემთხვევაში ის არჩევნებში მონაწილეობას არ დათანხმდებოდა. მთელი აქცენტი სერგეი ბაღაფშსა და რაულ ხაჯიმბაზე არის გადატანილი. არადა, ბუთბა ერთ-ერთი ძლიერი კანდიდატია. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, ის ახლახან მოსკოვში იმყოფებოდა. სადაც ალბათ მიიღებდა მითითებებს.

***— გინდათ თქვათ, რომ მას გამარჯვების შანსი აქვს?***

— პრეზიდენტობის არჩევნების მოსაგებად მას სერიოზული შანსი აქვს.

***— თქვენ იცნობთ ბესლან ბუთბას. შეიძლება თუ არა მასთან მოლაპარაკებების წარმოება, რა თქმა უნდა, თუ პრეზიდენტი გახდება.***

— ბუთბას ვიცნობ. მან ჩემზე ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა მასთან მოლაპარაკებები, ამაზე ვერ გიპასუხებთ. ამაზე საუბარი ჯერ ძალიან ნაადრევია.

***— პრეზიდენტობის კანდიდატი ბუთბა სად გაიცანით?***

— რამდენიმე წლის წინ თურქეთში გაიმართა შეხვედრა. ეს შეხვედრა ინგლისელების მიერ იყო ორგანიზებული. მასში ქართველი დეპუტატების გარდა აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრას ესწრებოდნენ დევნილობაში მყოფი აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს იყო ჩვენი დაახლოების მცდელობა. უცხოელები ცდილობდნენ, რომ ის გაუცხოება, რაც ჩვენში ომმა წარმოშვა, ნელ-ნელა დაძლეულიყო. საომარმა მოქმედებებმა აფხაზები და ქართველები ერთმანეთთან ძალიან დაგვაშორა. დროთა განმავლობაში ჩვენ შორის მართლაც იყო გაუცხოება, მაგრამ მერე ხალხმა ერთმანეთთან ისევ დაიწყო საერთო ენის გამონახვა. ეს ძნელი არ იყო, რადგანაც აფხაზები ჩვენ ძალიან გვგვანან. მათაც ჩვენნაირი ხასიათი აქვთ. ამიტომ მათთან საერთო ენის გამონახვა ძნელი არ არის. მათთან დალაპარაკება შესაძლებელია.

***— თუ შესაძლებელებია, რატომ ვერ ვახერხებთ?***

— დღეს საქართველოს ამისთვის არ სცალია. დღეს ჩვენთან არის კრიზისი; ამ კრიზისის დაძლევის გარეშე აფხაზებთან დალაპარაკება ეფექტური არ იქნება.

***— მოდით, ისევ ბუთბას მივუბრუნდით. რაზე საუბრობდით? ასეთ შეხვედ-***



***რებზე, როგორც წესი, აფხაზები ქართველებს სულ ომის დაწყების ამბავს გვახსენებენ.***

— ამ შემთხვევაშიც ასე იყო. აფხაზებმა დაიწყეს, აი, რატომ შემოხვედით ომით და ა.შ. ის ომი ჩვენი დაწყებული იყო და არ გაგვიპროტესტებია. მე აფხაზებს ვუთხარი, რომ მაშინაც და დღესაც ომის დაწყება შეცდომად მიმაჩნდა. ამასთან ვუთხარი, რომ ეს იყო ცალკეული პოლიტიკოსების მიერ დაშვებული შეცდომა. ეს შეცდომა დაუშვა შევარდნაძემ და ამას მე ჩემს თავზე ვერ ავიღებდი. იმ შეხვედრაზე თავიდან აფხაზებთან საერთო ენის გამონახვა გაგვიჭირდა. ერთმანეთს არ ვიცნობდით. ერთმანეთი რომ გავიცანით, მერე უკვე კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ზღვაზე საბანაოდაც კი ერთად წავედით.

***— ზღვაზე საბანაოდ წასვლაც პროგრამაში შედიოდა?***

— არა, ეს ქართველების ინიციატივა იყო. რამდენიმე დღის შემდეგ ერთ-ერთ შეკრებაზე ხელი ავწიე. ყველას ეგონა, რომ რაღაც კითხვას დავსვამდი. მე ვთქვი, რომ აქედან 25 კილომეტრის დაშორებით ზღვაა და წამოდი, ვიბანაოთ-თქო. ამ ინიციატივამ ბრიტანელები გააკვირვა. აფხაზები კი დიდი ენთუზიაზმით დაგვთანხმდნენ. ზღვიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენ უკვე კარგად ვუგებდით ერთმანეთს. მე იმ შეხვედრიდან გამოვიტანე ასეთი დასკვნა, რომ აფხაზებს ჩვენ ძალიან ვჭირდებით.

***— რაში უნდა ვჭირდებოდეთ აფხაზებს?***

— ძალიან ბევრ რამეში. ჩვენ აფხაზებს ვჭირდებით თუნდაც იმ პრობლემის მოსაგვარებლად, რასაც სამურზაყანო ჰქვია. მართალია, გალში დღეს ჩვენი იურისდიქცია აღარ ვრცელდება, მაგრამ აფხაზები იქაურობას ბოლომდე მაინც ვერ აკონტროლებენ. არადა, მათთვის გალი ძალიან მნიშვნელოვანია. პირველ რიგში, ეკონომიკური თვალსაზრისით. გალი ყოველთვის აფხაზეთის ბეღლად ითვლებოდა; სოხუმს გალში მოწეული პროდუქციის გარეშე არსებობა არ შეუძლია. ასე იყო ადრე და ასე არის დღესაც. იგივე შეიძლება ითქვას ზუგდიდზეც. სოხუმისა არ იყოს, ზუგდიდიც გალში მოწეული მოსავლით მარაგდებოდა. აგვისტოს ომის შემდეგ რუსებმა გალსა და ზუგდიდს შორის საოკუპაციო ჯარები ჩააყენეს. მიმოსვლაც აკრძალეს, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ მოსპეს. საბჭოთა კავშირის დროს უცხოური სიგარეტის და საღეჭი რეზინის შემოტანა აკრძალული იყო. აკრძალული იყო, მაგრამ მაინც შემოდიოდა. ასევე იქნება გალის შემთხვევაშიც. რუსების აღმართული კედელი ამას ვერ აკრძალავს. ჩვენს დაახლოებაში მომავალში ეს ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

***— მიგაჩნიათ, რომ აფხაზებთან საერთო ენას ეკონომიკური კავშირები გვაპოვნინებს?***

— რა თქმა უნდა. ეკონომიკა არის ძალიან სერიოზული პოლიტიკა. ეკონომიკურ ურთიერთობებს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. კარგად მახსოვს, სამი წლის წინ გვეხვეწებოდნენ, ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელი ქარხანა გაგვახსნევინეთო.

***— ამას ვინ გვეხვეწებოდა?***

— ვინ და აფხაზები.

***— მერე რატომ არ დავთანხმდით?***

— ჩვენმა ხელისუფლებამ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

***— რატომ?***

— ჩაითვალა, რომ იმ ქარხნით გამომუშავებული ფული სეპარატისტულ რეჟიმს მოხმარდებოდა. ჩემი აზრით, ეს არასწორი პოზიცია იყო.

***— რატომ იყო არასწორი?***

— სეპარატისტული რეჟიმის გაძლიერებას რუსული ფული ხმარდება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ აფხაზებმა არა რუსეთისკენ, არამედ ჩვენსკენ დაიწყონ ყურება. მათთან რაც შეიძლება მეტი კავშირები უნდა დავამყაროთ. ზუგდიდში თხილის გადამამუშავებელი ქარხნის გახსნა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ამას სხვა ურთიერთობებიც მოჰყვებოდა. რაც აფხაზების დაბრუნებაში მოგვეხმარებოდა.

***— ვინ იყო ის აფხაზი, ვინც ზუგდიდში თხილის ქარხნის გახსნას აპირებდა?***

— სახელი და გვარი არ მახსოვს. ცნობილი ტიპი არ იყო. ერთი ჩვეულებრივი ბიზნესმენი გახლდათ, რომელსაც ქართველებთან ერთად სურდა ბიზნესის გაკეთება; ჩვენმა ხელისუფლებამ კი მას ამის საშუალება არ მისცა.

***— სამაგიეროდ, ჩვენებურებმა ძალიან იაქტიურეს 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ჩვენი ხელისუფლება ისე აქტიურად უჭერდა ბაღაფშს მხარს, იმასაც აღარ ამბობდნენ, რომ უკანონო არჩევნებიაო.***

— ესეც შეცდომა იყო. ბაღაფშისთვის ასეთი ღია მხარდაჭერის გამოხატვა არ შეიძლებოდა.

***— ამ არჩევნებთან დაკავშირებით ჩვენი ხელისუფლება ძალიან პასიურობს. მწარე გამოცდილების გამო იქცევიან ასე?***

— ალბათ. კარგია, როცა ადამიანი თავის შეცდომებზე სწავლობს. ეტყობა, ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა ის შეცდომა, რაც მან 2004 წელს დაუშვა. ჩვენ ბაღაფშისთვის ასე აქტიურად არ უნდა დაგვეჭირა მხარი. ჩვენი ასეთი მხარდაჭერა რომ არა, ბაღაფში ასე არ მოიქცეოდა.

***— ასე მოქცევაში რას გულისხმობთ?***

— ჩვენი აქტიური მხარდაჭერის გამო ბაღაფში პროქართული ორიენტაციის პოლიტიკოსად აღიქვეს. ბაღაფშს საქართველოსთან ბევრი კარგი მოგონება აკავშირებს; ვიცი, რომ ქართველებსაც ძალიან დიდ პატივს სცემს. თუმცა, გაპრეზიდენტების შემდეგ ის იძულებული გახდა, ქართველების წინააღმდეგ ემოქმედა. ამით ის ცდილობდა აფხაზებისთვის და რუსებისთვის დაემტკიცებინა, რომ ის პროქართული არ არის. ჩვენ თავის დროზე ზედმეტად ჩავერიეთ და ბაღაფში ვაიძულეთ თავის გადასარჩენად ქართველების საწინააღმდეგოდ ემოქმედა. კარგია, რომ ახლა საქართველოს ხელისუფლება აღარ ერევა. იმედია, მომავალშიც ასევე გაგრძელდება. აფხაზეთში ხანდახან საბედნიეროდ არჩევნები ტარდება.

***— საბედნიეროდ, რატომ?***

— მე არ ვამბობ, რომ ეს არჩევნები არის ლეგიტიმური. საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე იქ ჩატარებული არჩევნები სულ უკანონო იქნება. მე პირადად ამ არჩევნებს, როგორც თვითმმართველობის არჩევნებს, ისე ვუყურებ. მართალია, ეს არჩევნები უკანონოა, მაგრამ აფხაზებმა ის მაინც უნდა ჩაატარონ. თუნდაც იმიტომ, რომ თავად აირჩიონ თავიანთი მმართველი. დღეს აფხაზეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, არადემოკრატიული სისტემაა. ყველაფერი ერთ კაცზეა დამოკიდებული. აფხაზები არ აღიარებენ, თორემ ბევრ რამეში ჩვენ გვიყურებენ. ჩვენ მათ უნდა დავანახოთ, როგორია ნამდვილი დემოკრატიული ქვეყნის აშენება. ჩვენ ისეთი ქვეყანა უნდა ავაშენოთ, რომ მათ თავად გაუჩნდეთ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების სურვილი. ჩვენ მათთვის მიმზიდველები მხოლოდ მაშინ გავხდებით, როცა დემოკრატიული ვიქნებით. ჩვენ დემოკრატიით უნდა ვაჯობოთ. აი, ამ შემთხვევაში ამჯობინებენ ისინი რუსეთს საქართველოს.

***— ისევ ბაღაფშის მხარდაჭერას დავუბრუნდეთ. როცა ხელისუფლება მას დითირამბებს უმღერდა, თქვენც ნაციონალებში იყავით, მაინც რატომ მიიჩნიეთ ბაღაფში მისაღებ კანდიდატურად, რადგან ცოლად შონიას გვარის ქალი ჰყავდა?***

— ბაღაფში ჩვენი სიძეა. მას ქართველების მიმართ კარგი განწყობა ჰქონდა. მისთვის ასე ღიად რომ არ დაგვეჭირა მხარი, ბაღაფშიც ასეთი აგრესიული აღარ გახდებოდა.

# როგორ მიიღებენ დახმარებას ომში დაღუპულთა ახლობლები

**ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტში 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულების რეგისტრაცია დაიწყო. დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის, ჯანდრი უბირიას განცხადებით, დეპარტამენტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მათი აღრიცხვიანობა მოკლე ხანში დამთავრდეს, მისივე თქმით, ომში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახის წევრები კანონით დადგენილი შეღავათებით ისარგებლებენ.**

შორენა გონგლაძე

***— ბატონო ჯანდრი, როდიდან დაიწყო ეს რეგისტრაცია?***

— ვინც აგვისტოს ომში დაიღუპა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა შესახებ კანონით, ანუ მოქმედი კანონმდებლობით არის განსაზღვრული აფხაზეთი და შიდა ქართლი. ვინც აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ყველა მიიღებს შესაბამის სტატუსს, ანუ ომში დაღუპულის ოჯახის წევრს, ბავშვები, მშობლები, მეუღლეები, ანუ კანონით ვინც არის მოსარგებლე ამ შეღავათის. ამის გარდა ჩვენ დავიწყეთ ეს პროცესი, რამოდენიმე ადამიანს უკვე აქვს მიღებული შესაბამისი სტატუსი, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ თვითონ დაღუპულის ოჯახის წევრებს აქვთ კიდევ სხვა მოთხოვნებიც.

***— რა მოთხოვნები?***

— კონკრეტულად ეს ეხება შრომის უუნარობას, რომელიც არის ერთადერთი შემაფერხებელი იმ სტატუსის მიღების დროს, ანუ ადამიანი, რომელიც არ არის შრომის უუნარო, ის ამ სტატუსით ვერ ისარგებლებს, აქ არ არის ლაპარაკი 1 წლამდე ბავშვებზე, ანუ კანონით რაც არსებობს და მათ შორის ინვალიდები და ომის მონაწილეები. ლაპარაკია მხოლოდ შიდა ქართლზე და ცხინვალის რეგიონზე, ჩვენ ამასთან დაკავშრებული არაერთი პროექტი გადავაგზავნეთ ჯანდაცვის სამინისტროში, რომელიც შესაბამისი წინადადებით უნდა შევიდეს პარლამენტში და არის სხვადასხვა მონახაზი, ასევე პარლამენტში არის შექმნილი სამუშაო კომისია, ბატონი თოიძის ხელმძღვანელობით, იქ არის თითქმის ყველა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელი, ვინც ამ კუთხით მუშაობს. ამასთანავე, ამ პროცესში ჩართული არიან არასამთავრობო ორგანიზაციები. ძირითადი ომის ვეტერანთან, ომში დაღუპულის ოჯახის წევრებთან, ინვალიდებთან დაკავშირებით ჩვენი პროექტი არის გასული.

***— ამ პროექტში რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?***

— ყველაზე მნიშვნელოვანი პირველ რიგში არის ის, რომ შრომის უუნარობა, რომელიც ზღუდავს სტატუსის მიღებას, ამის ამოღება, შესაბამისად არის პენსიის გადაანგარიშება, კომპენსაციის გადაანგარიშება, არის სტატუსის განსაზღვრა, თვითონ პერიოდის განსაზღვრა, არა მარტო 2008 წელი, არამედ 1993 წლის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში რა კონფლიქტებიც იყო, პატარ-პატარა შეტაკებები, იცით თქვენ, რომ სეპარატისტული მხარე ყოველთვის აკეთებს დივერსიას და სამწუხაროდ, დღესაც იღუპებიან ადამიანები. ასევე უნდა განისაზღვროს ე.წ. გალის მოვლენები, 2004 წლის ცხინვალის მოვლენები და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეები, ომში დაღუპულის ოჯახის წევრები.

***— თქვეენ ახსენეთ კანონის მოთხოვნები და იქნებ უფრო დავაკონკრეტოთ?***

— მშობლები უნდა იყვნენ შრომის უუნაროები, ანუ ადამიანი უნდა იყოს ან ინვალიდი, ან საპენსიო ასაკის, რომელიც პრაქტიკულად ითვალისწინებს შრომის უუნარობას, ეს არის აუცილებელი მოთხოვნა, რაც კანონში არის, მაგრამ ამ კუთხით მიდის მუშაობა და ჩვენთვის როგორც ცნობილია, თვითონ ჯანდაცვის კომიტეტში არის სხვადასხვა პროექტი, წინადადებები, განხილვის სტადიაშია შრომისუუნარობის კანონიდან ამოღება, რომ ეს შეზღუდვა აღარ იყოს, მეორე, ვისაც ჰყავს დაღუპული ორი ან მეტი შვილი, რომ მიიღოს ორივე შვილის შესაბამისი კომპენსაცია ყოველთვიურად 55 ლარის ოდენობით, ასევე 18 წლამდე ბავშვები სარგებლობდნენ სტატუსით და შეღავათით, შესაბამისად ღებულობენ კომპენსაციას 55-დან 46 ლარამდე, რომ ეს ასაკი გაიზარდოს 22 წლამდე, ანუ მიუხედავად იმისა, ეს ხალხი სწავლობს თუ არა უმაღლეს სასწავლებლებში თუ არა, ასევე მარტოხელა, შრომისუუნარო მშობლებს რომ მიეცეს უფლება, მიიღონ როგორც კომპენსაცია შვილის დაღუპვის გამო 55 ლარი, ასევე თავისი ასაკის პენსია, ეს არის ძირითადი, რაც დღეს არის განხილვაში, კომიტეტში.

***— ეს პროექტი ხომ არ ითვალისწინებს 55-ლარიანი კომპენსაციის გაზრდას?***

— ჩვენ წარვადგინეთ რამდენიმე ვარიანტი, ეს

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# რატომ არ უტარდება სამედიცინო ექსპერტიზა ცოტნე გამსახურდიას

**მე-8 საპყრობილეში მყოფი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი — ცოტნე გამსახურდია უკვე 28-ე დღეა შიმშილობს. რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მისი მდგომარეობა დამძიმდა. ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, რომ ცოტნე გამსახურდიას მიმართ წაყენებული ბრალდების შესაბამისი არანაირი მტკიცებულება, არც ნივთიერი და არც დოკუმენტური, საქმეში არ მოიპოვება.**

გულიკო ბალაძე

ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების მოთხოვნით გერმანიაში არსებული ქართველთა სათვისტომო და არასამთავრობო ორგანიზაციები, აქციებს მართავენ. უკვე ათასობით ხელმოწერაა შეგროვებული. „ეს ხელმოწერები, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, საქართველოს ხელისუფლებას გადმოეგზავნა. ასევე გადაგზავნილია ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარიატებში. გარდა ამისა, ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლების მოთხოვნა სტრასბურგის ბიუროშია შეტანილი. ჩვენ მათგან ველოდებით იქიდან პასუხს. ასევე საქმეში აქტიურადაა ჩართული სახალხო დამცველი, რომელიც დაინტერესებულია დადგინდეს ობიექტური ჭეშმარიტება ცოტნე გამსახურდიას საქმეზე, რასაც მივესალმებით, — აცხადებს ქეთი ბექაური.

ცოტნე გამსახურდიას გამოძიება ბრალად სდებს დავით ბაჯელიძისთვის ცეცხლსასროლი იარაღით სხეულის დაზიანების მიყენებას. შემთხვევას ადგილი ჰქონდა მიდინარე წლის 27 ოქტომბერს.

ადვოკატი **ქეთი ბექაური** ცოტნე გამსახურდიას უკანონო პატიმრად აცხადებს. მისი თქმით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია შიმშილობს და მისი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობას კი იგნორირება უკეთდება. ამაზე არავინ ზრუნავს.

***— ქალბატონო ქეთი, რა მტკიცებულებები არსებობს ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ საქმეში?***

— ცოტნე გამსახურდია მტკიცებულებების გარეშე იმყოფება საპყრობილეში. არ არის ამოღებული იარაღი. დღემდე არ იკითხება დაზარალებული დავით ბაჯელიძე. თუმცა, ის ჯანმრთელად არის თავის საცხოვრებელ მისამართზეა. არაერთხელ მივმართეთ საგამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც გახლავთ როგორც ძველი თბილისის პროკურატურა, ასევე ქალაქ თბილისის პროკურატურა, რომელსაც შეუძლია სავალდებულო მითითება მისცეს ქვემდგომ ორგანოს, რომ ცოტნე გამსახურდიას სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდეს ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება.

***— თუ არის გამოძიებული, ვინ მიაყენა სხეულის დაზიანება თვითონ ცოტნე გამსახურდიას? იქნებ ცოტნე გამსახურდიასაც და ბაჯელიძესაც სხვა პირი დაესხა თავს?***

— ცოტნე გამსახურდიას სხეულის დაზიანება მსუბუქი არ გახლავთ. ზეპირი განცხადება რომ არ გამომივიდეს, წარმოგიდგენთ სამედიცინო დოკუმენტაციას. ჩვენ გვაქვს ამონაწერი საუნივერსიტეტო კლინიკიდან, რომლის მიხედვითაც კლინიკაში შეყვანისას ცოტნე გამსახურდიას აღენიშნებოდა თავის ტვინის შერყევა, ქალა ტვინის დახურული ტრავმა და მარცხენა კეფის არეში ნაფლეთ-ნაკვეთი ჭრილობები. ამ მდგომარეობაში მიიყვანეს ყიფშიძის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკურ საავადმყოფოში.

***— მაშინ რით სურს დაამტკიცოს გამოძიებას, რომ ბაჯელიძეს სხეულის დაზიანება ცოტნე გამსახურდიამ მიაყენა?***

— მათი ოქროს მტკიცებულება (რაც, სამწუხაროდ და სავალალოდ, გამოძიების არაკომპეტენტურობაზე, მიკერძოებასა და არაეფექტურობაზე საუბრობს) გახლავთ, ცოტნე გამსახურდიასა და, საერთოდ, გამსახურდიების ოჯახის მიმართ კონფრონტაციულად განწყობილი პიროვნების, ხანდაზმული ქალბატონის, ვინმე რაისა საიდოვას ირიბი ჩვენება. ის ერთადერთ დეტალზე მიუთითებს, რომ მან შემთხვევით ნახა კოლხური კოშკიდან გამომავალი ცოტნე გამსახურდია. თითქოს მან სხვების გადმოცემით გაიგო, რომ ცოტნე გამსახურდიას ბაჯელიძეების სახლის მიმართულებით წავიდა, რაც არავის არ გადაუმოწმებით. მეორე „ოქროს მტკიცებულება" გახლავთ სახელმწიფო ექსპერტიზის ბიუროში ჩატარებული ქიმიური ექსპერტის დასკვნა, რომ ცოტნე გამსახურდიას ხელებზე აღმოჩენილ იქნა დენთის მცირე კვალი. სწორედ ამიტომ ჩვენ გადავამოწმეთ, კვლევის მეთოდიკიდან გამომდინარე, რამდენად ობიექტური იყო სახელმწიფო ექსპერტიზის მიერ გაცემული დასკვნა და მოვიპოვეთ დამოუკიდებელი ექსპერტიზის წერილობითი მოსაზრება, რომელიც ადგენს, რომ მარტოდენ აზოტმჟავას აღმოჩენა ცოტნე გამსახურდიას ხელებზე, ისიც მცირე კვალის სახით, არ არის საკმარისი, უტყუარად იქნეს დადგენილი, ჰქონდა თუ არა პირს ცეცხლსასროლი იარაღი და ასევე მოახდინა თუ არა გასროლა პირმა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ცოტნე გამსახურდიამ ცეცხლსასროლი იარაღიდან. ე.ი. მხოლოდ აზოტმჟავას მცირე ოდენობით გამოვლინება არ არის საკმარისი დამნაშავე პირის იდენტიფიკაციისთვის. ეს დადგენილია მეცნიერული კვლევის შედეგად. ამიტომ არ ხდება დაზარალებულის დაკითხვა. როგორც ექსპერტი განმარტავს, გარდა აზოტმჟავისა, უნდა იყოს დენთის წვის პროდუქტებში შემავალი სხვა ნივთიერებები, მეტალები, სტიდიუმისა და ბარიუმის შემადგენლობა, რაც არ



არის მითითებული სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნაში. ამდენად, მარტოოდენ აზოტმჟავის აღმოჩენა არ არის საკმარისი იმისათვის, ცოტნე გამსახურდიას დავაბრალოთ, რომ მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი და ამ ცეცხლსასროლი იარაღით გასროლა მოახდინა. ე.ი. საჭიროა აგრეთვე წვის პროდუქტების — სტიდიუმისა და ბარიუმის აღმოჩენა. ასევე ვაცხადებთ, რომ ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებამ გასცა, არის არაობიექტური, არ ემყარება დადგენილი კვლევის მეთოდებს, რაც ყველა ექსპერტმა უნდა გამოიყენოს, რადგან არ არის განსაზღვრული სტიდიუმის, აზოტმჟავის რაოდენობრიობა. ამაზეც არის დამოუკიდებელი ექსპერტის წერილობითი მოსაზრება, რომ რაოდენობრიობა ისაზღვრება აუცილებლად მილიგრამებში. გამოძიების ვერსიით თითქოს ცოტნე გამსახურდიას მარჯვენა ხელში ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი. დამოუკიდებელი ექსპერტი კი თავის წერილობით მოსაზრებაში აყალიბებს, რომ რომ ამ სიტუაციაში დენთის კვალი უფრო დიდი ოდენობით ამოდის მარჯვენა ხელზე და მცირე ოდენობით ამოდის მარცხენა ხელზე. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახურის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა გვეუბნება, რომ ცოტნე გამსახურდიას ორივე ხელზე (მარცხენაზეც და მარჯვენაზეც) ნანახია მცირე ოდენობით დენთის კვალი.

***— იარაღი, როგორც ნივთმტკიცება, ამოღებულია?***

— საქმეც ისაა, რომ გამოძიების დაწყებიდან 27 დღის განმავლობაში, მაშინ, როცა ცოტნე გამსახურდიას წარდგენილი აქვს უმძიმესი ბრალდება, პირისთვის განზრახ სიცოცხლის მოსპობის მცდელობა, სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლი, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა და ამ ფონზე ჯერ კიდევ არ არის ამოღებული დანაშაულის იარაღი. საქმეს არ ერთვის არანაირი გამოძიების მიერ ბრალის დადგენილებაში მითითებული ე.წ. პსმ-ის სისტემის პისტოლეტი, რომელიც თითქოსდა ჰქონდა ცოტნე გამსახურდიას და რომლითაც თითქოსდა მან მოახდინა გასროლა დაზარალებულ ბაჯელიძის მიმართ, რითაც მიაყენა მას სხეულის დაზიანება.

***— იარაღი თუ არ ამოუღიათ, როგორ დაადგინეს, რომ ამ ტიპის იარაღი იყო, სხვა მტკიცებულება არსებობს?***

— მათ შემთხვევის ადგილიდან აიღეს ერთი ცალი ტყვია და ერთი ცალი მასრა. აქაც ძალიან საორჭოფო დასკვნაა გაცემული. მაგრამ ეს არის დაცვის მტკიცებულება, რადგან ბალისტიკური ექსპერტი, რომელმაც შემთხვევის ადგილიდან აღებული მასრა და ტყვია გამოიკვლია, წერს, რომ ბალისტიკური ექსპერტიზის მიერ კვლევის შედეგად ვერ დგინდება შემთხვევის ადგილიდან აღებული ტყვიისა და მასრის იდენტურობა. აღნიშნულის თაობაზეც ჩვენ კითხვა დავუსვით დამოუკიდებელ ექსპერტ-კრიმინალისტს ბატონ გიორგი გოგიას. მინდა პირდაპირ ციტირება მოვახდინო, რადგან ამ საქმეზე საბოლოოდ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ექსპერტი გიორგი გოგია წერს: „ტყვიისა და მასრის ერთი მთლიანობის დაუდგენლობა არ გამორიცხავს მათ სხვადასხვა კალიბრისა და კონსტრუქციის შესაბამისი იარაღებიდან გასროლას". ანუ კიდევ უფრო შორს მიდის გამოძიების ფანტაზია და ჩვენი ეჭვები უფრო ღრმავდება, რადგან ამ დასკვნის თანახმად უკვე ლაპარაკია იმაზე, რომ როცა მოხდა დავით ბაჯელიძის სხეულის დაზიანება, გამოყენებული იყო არა ერთი ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ ორი სხვადასხვა კონსტრუქციის ცეცხლსასროლი იარაღი. მაშინ, როდესაც საქმეში მხოლოდ ერთი იარაღი ფიგურირებს. ანუ ესეც არის გამოძიების დაუსაბუთებელი ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა პსმ-ის სისტემის იარაღიდან გასროლას, მაშინ, როცა ექსპერტი გვეუბნება, რომ ორი სხვადასხვა კონსტრუქციის იარაღზე მიანიშნებს, ვინაიდან ტყვიისა და მასრის იდენტურობა და ერთი მთლიანობა არ დგინდება. ცოტნე გამსახურდიას ბრალად ედება კიდევ ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, შენახვა, ტარება, რომელი იარაღიც ამოღებული არ არის. ე.ი. პირს ედავებიან, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას, იარაღი კი ბუნებაში არ არსებობს. ჩვენ მივმართავთ პროკურატურის ორგანოს, რომ დაუყოვნებლივ რეაგირება მოახდინოს აღნიშნულზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მის მიმართ ყველაზე ძირეული სიცოცხლის უფლება არის შებღალული, კონსტიტუციით გათვალისწინებული და საერთაშორისო ნორმებით აღიარებული ყველაზე უზენაესი უფლება ადამიანისა კაცობრიობის ისტორიაში. 16 ნოემბერს, მე-8 საპყრობილიდან ავიღეთ ექიმის ცნობა, რომლის მიხედვითაც ცოტნე გამსახურდია იმყოფება მედპერსონალის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, ვინაიდან (23 ნოემბერს 27-ე დღე შესრულდა, რაც ცოტნე გამსახურდია შიმშილობს). ჩვენ მივიღეთ პასუხი საგამოძიებო ორგანოდან, რომელიც გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ 28 ოქტომბერს არის დანიშნული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. თითქმის 26 დღეა გასული, რაც ექსპერტიზაა დანიშნული ფურცელზე და დღემდე არ არის ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ცოტნე გამსახურდიას სხეულზე არსებული დაზიანებების ხასიათის, ხარისხის და ხანდაზმულობის დადგენის მიზნით. ასევე მასთან არ შეჰყავთ სამედიცინო კომისია და სამედიცინო ექსპერტები, რათა შემოწმდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.

***— ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება არ არის შესაძლებელი?***

— მიუხედავად იმისა, რომ მხარეს გვაქვს უფლება, ჩავატაროთ ალტერნატიული ექსპერტიზა, ამის საშუალება საგამოძიებო ორგანომ მოგვისპო. მათ არ აიღეს საკმარისი ნიმუშის კვლები ცოტნე გამსახურდიას ხელებიდან. უნდა ყოფილიყო აღებული 9 ნიმუში. მათ აიღეს მხოლოდ ორი ნიმუში. ეს ნიმუშიც გაიხმარეს, როდესაც კვლევა ჩატარდა დენთის კვლების დადგენის მიზნით. ამდენად, ვინაიდან ჩვენ აღარ გვქონდა საშუალება, ჩაგვეტარებინა ალტერნატიული ექსპერტიზა, გარკვეული რევიზია ჩავატარეთ და მივმართეთ დამოუკიდებელ საექსპერტო ბიუროს. მათ შეადგინეს წერილობითი მოსაზრება, სადაც შეაფასეს სახელმწიფო ექსპერტიზის მიერ ჩატარებული ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა. აღმოჩნდა, რომ ორი ნიმუშის მაგივრად 9 ნიმუში უნდა ყოფილიყო. სწორედ მათი პასუხია, რომ ის ყბადაღებული მცირე ოდენობის დენთის კვალი, რომელიც თურმე ნუ იტყვით და თანაბარი ოდენობით არის ორივე ხელზე აღმოჩენილი, არ არის საკმარისი დამნაშავის იდენთიფიკაციისათვის, ვინაიდან გარდა აზოტმჟავისა, აქ დასადგენია წვის პროდუქტების მეტალების სტიდიუმის, ბარიუმის შემადგენლობა. ასევე უნდა იყოს მარჯვენა და მარცხენა ხელზე დენთის კვალის მეტ-ნაკლებობა. ეს ყველაფერი ისეთი ნიუანსებია, რომელიც უნდა გაეთვალისწინებინა ქიმიური ექსპერტიზის ჩამტარებელს. ამას პლუს ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც თავდაყირა აყენებს ცოტნე გამსახურდიას ბრალდების საქმეს, რადგან შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის და მასრის იდენტურობა ვერ დადგინდა ბალისტიკური ესქპერტიზის მიერ.

***— მიზეზი თუ არის დადგენილი საქმეში, რატომ უნდა მიეყენებინა ცოტნე გამსახურდიას დავით ბაჯელიძისთვის დაზიანება?***

— არანაირი მიზეზობრივი კავშირი და საფუძველი გამოძიებას არ დაუდგენია მოცემულ ეტაპამდე. ამის საპირისპიროდ, საქმის მასალების მიხედვით, თვითონ დავით ბაჯელიძის ძმა გახლავთ დაკითხული და მეზობლების უამრავი ხელმოწერაა წარდგენილი საგამოძიებო ორგანოში და უტყუარად არის დადგენილი ის ფაქტი, რომ ცოტნე გამსახურდია და დავით ბაჯელიძე არიან ბავშვობის მეგობრები, მეზობლები და ერთმანეთში ყოველთვის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. საქმეც ისაა, რომ მოტივაცია არ არის დადგენილი. ბრალის დადგენილებაში არის ზოგადი ფრაზირება, რომ შემთხვევა მოხდა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, მაგრამ ვინ დაიწყო ჩხუბი, მართლა მოხდა თუ არა ჩხუბი, სად არიან თვითმხილველები, არ წერია.

***— რას ეხებოდა ეს შელაპარაკება, დადგენილია?***

— არც ეგ არის დადგენილი. არანაირი მოტივაცია არ არის ცოტნე გამსახურდიას საქმეში. უკანონო იყო, როგორც მისი დაკავების, ასევე მისი დაპატიმრების აქტი.

# როგორ მიიღებენ დახმარებას ომში დაღუპულთა ახლობლები

დასაწყისი მე-5 გვერდზე

არ ეხება მხოლოდ კომპენსაციას და არ ეხება მარტო ომში დაღუპული ოჯახის წევრებს, ეს ეხება ინვალიდებსაც და შესაბამისად ემატება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ინვალიდები პირველი და მეორე ჯგუფი, მათ გაეზარდოთ პენსია და დაენიშნოთ 129 ლარი, როგორც ეს არის დღეს მეორე მსოფლიო ომის ინვალიდებისთვის, მესამე ჯგუფისთვის არის 80 ლარი, შესაბამისად სხვა ტერიტორიის ომის მონაწილეები, ავღანეთი, უნგრეთი მათთვისაც 129 ლარი და 80 ლარი ესეც შედის ამ პროექტში, ხოლო კონკრეტულად რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ამას ვერ გეტყვით. ყველა იმ საკითხს, რაც შეეხება პენსიის მომატებას, კომპენსაციის მომატებას, შესაბამისი გაანგრიშებით, რომ თანაფარდობაში იყოს დღევანდელ ხელფასებთან დაკავშირებით, საყოფაცხოვრებო სუბსიდიები, ანუ ადრე რომ იყო შეღავათები, გაკეთდა მონეტიზაცია და დღეს შეღავათების სანაცვლოდ ადამიანები კატეგორიების მიხედვით იღებენ სხვადასხვა თანხის დანამატს. თვითონ პენსიის მიღება არ ნიშნავს ამ დანამატის მიღებას, მაგრამ განცხადების დაწერისთანავე მაშინვე ენიშნებათ ეს სუბსიდია 44 ან 22 ლარი. 22 ლარი მონაწილეებს, 44 ლარი ინვალიდებს და ომში დაღუპულის ოჯახის წევრებს. შესაბამისად ამ თანხის გაზრდის ინიციატივით ჩვენც გამოვედით, მივაწოდეთ ყველა ეს ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს.

***— ამ ეტაპზე რამდენი არის აყვანილი აღრიცხვაზე?***

— უკვე ჩვენთან აღრიცხვაზე აყვანილი არის 6 ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყველას დავუგზავნეთ წერილები, თითოეულ ოჯახს მივაწოდეთ ინფორმაცია თუ რა საბუთები უნდა წარმოადგინონ, რომ მიიღონ შესაბამისი სტატუსი. სულ არის 181 ადამიანი.

***— რაც შეეხება მონაწილის სტატუსის განსაზღვრას, ეს როგორ მოხდება?***

— არსებული კანონმდებლობით პირდაპირ არის მითითებული, რომ უნდა წარმოადგინონ შესაბამისი საბუთი, გარდაცვალების შემთხვევაში უნდა იყოს მითითებული ტერიტორია და მდგომარეობა, რა მდგომარეობაში დაიღუპა ეს ადამიანი, აქედან გამომდინარე თუ დააკმაყოფილებს კანონის მოთხოვნას, მიიღებს შესაბამისად ომში დაღუპული სტატუსს, თუ დაჭრილია, უნდა წარმოადგინოს ის დოკუმენტაცია, სად დაიჭრა, რა პერიოდში და ეს ჭრილობა არის თუ არა დაკავშირებული საბრძოლო მოქმედებებთან, რაც შეეხება მონაწილეებს, აქაც იგივე სიტუაციაა.

***— ამ შემთხვევაშიც კანონში ცვლილებების აუცილებლობამდე მივდივართ...***

— რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ პერიოდი უნდა განისაზღვროს, ტერიტორია უნდა განისაზღვროს და როცა ეს ყველაფერი განისაზღვრება, მაშინ შეიძლება მთლიანი მასის აყვანა, მანამდე კი დაღუპული ოჯახის წევრებთან არანაირი პროლემა აღარ არის, იმიტომ, რომ პერიოდიც განსაზღვრულია, დანარჩენი, სამწუხაროდ, კანონზეა დამოკიდებული.

***— მონეტიზაციით რამდენად არიან ვეტერანები კმაყოფილნი?***

— მონეტიზაციის მთავარი მიზანი იყო ის, რომ დიდი ქალაქების გარდა ბევრგან არ იყო ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი, არ იხდიდნენ დასუფთავების თანხას, ანუ ძირითადი შეღავათებით, რაც იყო 2005 წლამდე, სარგებლობდნენ მხოლოდ დიდი ქალაქები — თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ასე შემდეგ. მონეტიზაციის მიღების შედეგად არა მარტო თბილისში მაცხოვრებელმა ვეტერანებმა მიიღეს ეს შეღავათი, არამედ მთელს საქართველოში მაცხოვრებელმა ვეტერანებმა, არ აქვს მნიშვნელობა, იქ არის თუ არა ბუნებრივი აირი და სხვა. დღეს ბუნებრივია არის სხვადასხვა მოთხოვნები, იმიტომ, რომ თვითონ როგორც გაზის, ისევე ელექტროენერგიის გადასახადი არის მომატებული, თვითღირებულებიდან გამომდინარე და ბუნებრივია, ითხოვენ უფრო მეტს.

# აფხაზეთს არცერთი ნორმალური ქვეყანა არ აღიარებს

გერა მამულაშვილი

**თემურ იაკობაშვილი აცხადებს, რომ ბელორუსის წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან სერიოზული ზეწოლა ხორციელდება, რათა ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ ერთეულებად აღიარონ. თუმცა, მისივე თქმით, ბელორუსი ცდილობს, რომ დიპლომატიურ მანევრებს მიმართოს, რათა მძიმე გადაწყვეტილების მიღება არ მოუწიოს. იაკობაშვილის თქმით, ერთი მხრივ, რუსეთის ზეწოლაა, ხოლო მეორე მხრივ, ცივილიზებული სამყარო. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბელორუსი ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობების დალაგებას და აწყობას ცდილობს. იაკობაშვილი მიიჩნევს, რომ ოკუპირებული ტერიტორიის აღიარება ამ პროცესს ნამდვილად ხელს არ შეუწყობს, რაც ევროკავშირის მხრიდანაც ცალსახად ითქვა.**

## ლუკაშენკო სარფიანად ვაჭრობს

— ამდენად, მიგვაჩნია, რომ ბელორუსული დელეგაციის ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა რეალობა ენახათ, პირველი პირებისგან მოესმინათ, კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე და რა საფრთხეს ატარებს რუსეთის ამგვარი ქცევები. ვფიქრობ, ასეთი ვიზიტი სასარგებლო იყო, — აცხადებს იაკობაშვილი.

ბელორუსი დეპუტატები იმავე დღეებში სეპარატისტულ აფხაზეთსაც სტუმრობდნენ. მათ სოხუმის პირველ პირებთან შეხვედრები გამართეს; მათ შორის სერგეი ბაღაფშთანაც გამართეს აუდიენცია. ბელორუსული დელეგაცია აფხაზეთის უნივერსიტეტსაც ეწვია, ასევე შეხვდნენ აფხაზური ეკლესიის ე.წ. წინამძღოლს, ბესარიონ აპლიას. დაათვალიერეს ახალი ათონი. დელეგაციამ აფხაზეთი 20 ნოემბერს დატოვა.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქართულ-აფხაზური ურთიერთობების სპეციალისტი გია ანჩაბაძე აცხადებს, რომ ლუკაშენკო მოსკოვსა და დასავლეთს შორის თამაშით მაქსიმალური პოლიტიკური სარგებლის მიღებას ცდილობს. მისივე თქმით, სოხუმში მოელიან, რომ მათი „მაღიარებლების“ რიცხვი გაიზრდება. ანჩაბაძე აცხადებს, რომ ევროკავშირის არაღიარების პოლიტიკა მეტად მნიშვნელოვანია, რადგან ის რუსეთთან და ამერიკასთან ერთად მესამე ძლიერი მოთამაშეა, რომელსაც უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია.

*— რა შედეგებს უნდა ველოდოთ ბელორუსული დელეგაციის საქართველოში ვიზიტისგან?*

— მგონია, რომ ამ შემთხვევაში ოფიციალური მინსკი ორ ძალას შორის თამაშობს, მოსკოვსა და დასავლეთს შორის. ისე რომ, საბოლოოდ ორივე მხრიდან მაქსიმალური მოგების მიღებისკენ ისწრაფვის. ამ მხრივ საქართველოს ტერიტორიების, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება ერთ-ერთი სათამაშო მომენტია. რუსეთს პირდება, რომ მისი მხრიდან ეს აღიარება თითქოსდა შეიძლება მოხდეს და მეორე მხრივ, დასავლეთს გარკვეულ დათმობებს სთხოვს, რომ ეს აღიარება რეალურად არ განახორციელოს. ასე რომ, პირველ რიგში, მათი ინტერესია რაღაცეების მოგება ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის. ამ შემთხვევაში სოხუმის და ცხინვალის საკითხი მათთვის მხოლოდ კარგი სათამაშოა, მეტი არაფერი.

*— თქვენი პროგნოზით, საით გადასწონის საბოლოოდ ეს თამაში, რუსეთისკენ თუ დასავლეთისკენ?*

— მგონია, რომ დღეს ამის თქმა შეუძლებელია. თითქოსდა ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ უნდოდათ აღიარება, მაგრამ მაშინ ეს შეჩერდა. ეტყობა, მაშინ დასავლეთის გავლენა გაძლიერდა. ახლა, როგორც ჩანს, ისევ სურთ დასავლეთი შეაშფოთონ ან მოსკოვის გული მოინადირონ. ისევ ლაპარაკია იმაზე, რომ მინსკის მხრიდან აღიარება მოხდება. ამიტომ ეს ჩვენთვის რაღაც ობიექტურ საკითხებზე არ არის დამოკიდებული და ძნელია თქმა იმისა, მოვლენები როგორ განვითარდება; როგორი იქნება დასავლეთის და რუსეთის გავლენის მორიგი შეჯახება და რომელი მხარე გაიმარჯვებს ბელორუსიაში, ამაზე იქნება სწორედ ბევრი რამ დამოკიდებული.

*— ერთ მომენტში ლუკაშენკომ განაცხადა, რომ მას საქართველოსა და ევროკავშირზე მეტად რუსეთთან ურთიერთობა უფრო*



*უღირს. ეს ერთგვარად ჩვენთვის უარესი სცენარისთვის შემზადებას ხომ არ ნიშნავდა?*

— ლუკაშენკო ასეთი ტიპის განცხადებებს მეორე მხარის სასიამოვნოდაც ასეთივე წარმატებით გააკეთებს. ფაქტია, ის უშუალოდ თავის ინტერესებზე მუშაობს. ასე რომ, ვფიქრობ, ლუკაშენკო ისეთი კაცი არ უნდა იყოს, რომელიც ერთხელ ნათქვამ სიტყვას არ გადათქვამს. ამიტომ, მის ასეთ განცხადებაში არაფერი უცნაური არც არის. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მან გააკეთოს ის, რასაც ლაპარაკობს, მაგრამ ასევე რომ შეცვალოს ადრე ნათქვამი, ესეც სავსებით დასაშვები მომენტია.

*— თქვენი ინფორმაციით, სოხუმში რას მოელიან მინსკისგან და საერთოდ ე.წ. აღიარების პროცესისგან?*

— ფიქრობენ, რომ უფრო მეტნი აღიარებენ. საერთოდ, ეს ლუკაშენკო ერთი პერიოდი იქ შედარებით პოპულარული პიროვნება იყო. თავის დროზე, როდესაც დსთ-ს ქვეყნების სამიტებზე აფხაზეთის საკითხზე ყოველწლიურად ბლოკირების გაგრძელება ხდებოდა, პირველი მაშინ ლუკაშენკო იყო, რომელმაც უარი თქვა ამ ბლოკადის გაგრძელებაზე. მართალია, აქ რეალურად რუსეთი აფორმებდა ბლოკადას და დანარჩენი იქ ათი თუ თორმეტი ქვეყნის წარმომადგენლები, პრეზიდენტები მხოლოდ ხელს აწერდნენ აფხაზეთის იზოლაციის დადგენილებას. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ლუკაშენკო პირველი იყო მაშინ, რომელმაც თქვა, რომ ეს არ არის სწორი და ამის გაკეთება არ შეიძლებაო.

*— რაც შეეხება მოსკოვის პოზიციას, რამდენად სჭირდება დღეს კრემლს სოხუმის და ცხინვალის აღიარების გაგრძელება სხვა ქვეყნების მხრიდან; თუ ის უკვე ღიად სრული ანექსიისკენ და ოკუპირებული მიწების მიერთებისკენ ისწრაფვის?*

— ეს არის რუსეთის პრესტიჟის საკითხი. მათ აღიარეს ეს რესპუბლიკები და მათთვის პრესტიჟია თუ მას ამ საქმეში სხვებიც მიბაძავენ. სხვათა შორის, ორი მომენტია აქ: დასავლეთის, აშშ-ს მიერ კოსოვოს აღიარება და აგერ ეს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთის მხრიდან აღიარება. ამით კარგად გამოჩნდა, რომ ამერიკის და დასავლეთის გუნდის გავლენა უფრო ძლიერია მსოფლიოში; რომ დაახლოებით ორმოცდაათმა ქვეყანამ აღიარა კოსოვო. მართალია, მთლიანი აღიარება არ მომხდარა, გაეროს წევრი 190 სახელმწიფოა დედამიწის ზურგზე, მაგრამ მათგან უკვე მეოთხედზე მეტმა აღიარა კოსოვო. თუმცა აფხაზეთის შესახებ ხომ ხედავთ, დსთ-შიც კი არ გამოჩნდა ჯერ ისეთი ქვეყანა, რომელიც ამ ტერიტორიებს აღიარებდა. თითქოს ერთი-ორი ქვეყანა მერყეობს როგორც ლუკაშენკო, მაგრამ რეალურად არავის არ გადაუდგია ეს ნაბიჯი. ეს მხოლოდ ორმა ქვეყანამ გააკეთა ლათინური ამერიკიდან და ესეც არ არის შემთხვევითი. იმიტომ, რომ ლათინურ ამერიკას შეერთებულ შტატებთან ძველი ანგარიშები აქვს და მათ ჯინაზე გაკეთების მომენტიც არის აქ.

ასე რომ, რუსეთისთვის პრესტიჟია რომ მეტი აღიარებები იყოს. ისე არ გამოჩნდეს, რომ აი, ამერიკამ აღიარა და მერე ათეულობით სახელმწიფო აყვა მას და რუსეთის გადაწყვეტილებას კიდევ თითქმის არავინ აყოლია. შედეგად დღეს რუსეთი მართლა ცდილობს, რომ გაიზარდოს მაღიარებელთა რიცხვი.

*— რამდენად მნიშვნელოვანია ამ მხრივ ევროკავშირის არაღიარების პოლიტიკის გაგრძელება?*

— რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანია. ევროკავშირი რუსეთთან და ამერიკასთან ერთად მესამე ძლიერი მოთამაშეა, რომელსაც უზარმაზარი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი აქვს. ამიტომ მათი პოლიტიკა ამერიკასთან ერთად არის სწორედ შედეგი იმისა, რომ ეს აღიარების პროცესი არ წავიდა. თორემ აქ შეიძლებოდა აღიარების ცოტა მეტი შემთხვევებიც ყოფილიყო. მაგრამ აქ არის სწორედ დასავლეთსა და რუსეთს შორის ბრძოლა. მათი ძალების მოსინჯვას აქვს ადგილი ჩვენს ხარჯზე, ასე რომ ვთქვათ. ამიტომ ფაქტობრივად რუსეთისთვის პრესტიჟული იქნება, თუკი მისი მომხრეები ამ საკითხში კიდევ აღმოჩნდებიან.

*— ევროკავშირი რაკი ვერ შედის უშუალოდ კონფლიქტურ ზონებში, ისინი იქ არსებულ მდგომარეობას სატელიტით დააკვირდებიან. ეს რამდენად შედეგიანი ნაბიჯი იქნება ადგილებზე გარკვეული კონტროლის განხორციელებისთვის?*

— კი ბატონო, რაღაცეებს ადევნონ თვალყური, მაგრამ ამით რა გამოვა, მე ესეც არ ვიცი. სატელიტით თვალყურის დევნება რეალურად რას იძლევა? ან თუნდაც დამკვირვებლები რას აკეთებენ? აგვისტომდე ისინი უშუალოდ ადგილებზე ხომ იყვნენ, რეალური რა გააკეთეს? ჩემი აზრით, მათ იქ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ.

*— ანუ საერთაშორისო დამკვირვებლების უშუალოდ კონფლიქტის ზონებში ყოფნასაც ხელშესახები შედეგები არ მოაქვს?*

— არ მოაქვს. არ ვსაუბრობ ზოგადად სამშვიდობო ოპერაციაზე. გაეროს მანდატით ეს ოპერაცია რომ შეწყდა, რა თქმა უნდა, ცუდი იყო. მაგრამ კარგი, შეუშვან იქით მხარეს დამკვირვებლები, რას გააკეთებენ? ან რა შეიცვლება იმით, რომ რაღაცას აღმოაჩენენ, ვთქვათ ზედმეტ ტანკს? რა იცვლება ამით? მათ ხომ რაიმე გადაწყვეტილების მიღების და შემდგომი მოქმედების საშუალება არ გააჩნიათ?

*— აფხაზური მხარისთვის რუსული სატელეფონო კოდების გადაცემა როგორ უნდა შეფასდეს?*

— აქამდე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც საქართველოს ხაზებით გადიოდა საზღვარგარეთ. ახლა რუსეთის ხაზებით გავლენ. პირველი იანვრიდან იქნება ეს. იქ რაღაც კოდები და ციფრები შეიცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ საქართველოს ხაზები მოქმედებს. პირველი იანვრის ღამეს უკვე საბოლოოდ აპირებენ ამის შეცვლას.

*— სოხუმში წინასაარჩევნო საპრეზიდენტო კამპანია მიმდინარეობს. რა ძირითადი ნიშნები იკვეთება იქ?*

— არჩევნებამდე ჯერ კიდევ ერთი თვეა დარჩენილი და დღეს ძნელია რაიმე კონკრეტულის თქმა. აფხაზეთში ერთ დღეში შეიძლება შეიცვალოს სიტუაცია. იქ სოციუმი, მოგეხსენებათ, პატარაა. იქ ისე არ შეიძლება ამომრჩევლების განწყობილებებით თამაში, როგორც ზოგჯერ ეს სხვაგან ხდება ხოლმე. იმიტომ, რომ იქ მაინც პატარა სოციუმია და ამასთანავე, მოსახლეობის განსხვავებული მენტალიტეტიც.

როგორც წინა არჩევნებზე მოხდა, როდესაც ფაქტობრივად ერთი დღის მანძილზე შეიცვალა მდგომარეობა რუსეთის უხეში ჩარევის გამო, ახლაც შეიძლება რაღაც მსგავსი მოვლენა მოხდეს. ასე რომ, სანამ ამომრჩევლები ურნასთან არ მივლენ, ძნელია რაიმე პროგნოზების კეთება.

*— და ბოლოს, რა შედეგები ჰქონდა მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის სოხუმში ვიზიტს?*

— ლუჟკოვის ვიზიტი უჩვენებს, რომ მოსკოვი ადგილობრივ ხელისუფლებას მხარს უჭერს. ეს მხოლოდ ცალკე პირის ვიზიტი არ არის და არც ცალკე კომერციული ინტერესებია, რომლებიც მოსკოვს იქ თავისთავად გააჩნია. გარდა ამისა, ეს ღია პოლიტიკური დატვირთვის ვიზიტიც იყო. არჩევნების წინ ეს კრემლის მხარდაჭერაა ზოგადად იქაური არჩევნებისადმი და ალბათ, მმართველი ხელისუფლებისადმიც.

# ქართველების უმეტესობა დღესაც რუსულად საუბრობს

გერა მამულაშვილი

**გასული წლის აგვისტოს ომის შემდგომ ავტორიტეტული დასავლური მედია საქართველოს კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობს. გამონაკლისი არც ბრიტანული პრესაა. „თბილისი: ომიდან ერთი წლის შემდეგ“, — სტატიას ასეთი სათაურით „ფაინეშნელ ტაიმსი“ აქვეყნებს.**

სტატიის ავტორი ჯონ ლოიდი საქართველოს თანამედროვე ყოფაზე საუბარს მცირე პრეისტორიით იწყებს. — 1991 წლის დეკემბრის ერთ-ერთ საღამოს, როდესაც საქართველო სრული სვლით სამოქალაქო ომისკენ მიექანებოდა, ხოლო მის დედაქალაქს დევნილები აწყდებოდნენ, მე თბილისის საოპერო თეატრის ერთ-ერთ ბოლო წარმოდგენაზე გავემართე — მავრიტანიული სტილის შენობა ქალაქის ცენტრში, რუსთაველის პროსპექტზეა განლაგებული. გლინკას ოპერა „რუსლანი და ლუდმილა“ იმართებოდა. ძალიან ციოდა. თეატრში განათება იყო, მაგრამ გათბობა არ მუშაობდა: ჩვენ — რამდენიმე ათეული მაყურებელი, პალტოებს და ხელთათმანებს არ ვიშორებდით. ასევე მოიქცა ბევრი ორკესტრანტიც. უბედური მსახიობები მსუბუქ კოსტიუმებში რომ გამთბარიყვნენ, სცენაზე იმდენად სწრაფად მოძრაობდნენ, რამდენადაც მათ ამის უფლებას მუსიკის ტემპი აძლევდა და ხანდახან მალვით ხელებსაც სუნთქვით ითბობდნენ. ზოგიერთმა მაყურებელმა მხოლოდ პირველ აქტს გაუძლო. მიუხედავად ამისა, სპექტაკლი თავისი სვლით მიდიოდა: დასრულების შემდეგ მომღერლები და მუსიკოსები აპლოდისმენტების წინაშე კრძალვით თავს ხრიდნენ, თითქოსდა თეატრში დიდი ანშლაგი ყოფილიყო.

ჯონ ლოიდი აცხადებს, რომ სწორად იქცევა, როდესაც საქართველოზე საკუთარ მონათხრობს სპექტაკლზე გახსენებით იწყებს: — თავად თბილისი თეატრალურ დეკორაციას გვახსენებს. ქალაქი მდინარე მტკვრის ორივე მხარეს არის გადაჭიმული. თბილისის მარცხენა მხარე წყალსა და კლდეებს შორის არის მოქცეული, რომელიც ნაპირიდან ერთ კილომეტრში ცაში არის ატყორცნილი. ქვემოთ ძველი თბილისის სახლები ერთმანეთზე არიან მიყრდნობილნი. მე-19 საუკუნის შენობებს იმპერიული ელეგანტურობის ნარჩენები ჯერაც არ დაუკარგავთ. თუმცა, მდინარესთან ახლოს განლაგებული კვარტალი უკვე აღდგენილია. ეს არის გრძელი ქუჩა ბევრი კაფეთი, რესტორნებით და სუვენირების მაღაზიებით, რომლებიც განკუთვნილია ტურისტებისთვის და ახალი ქართული ბურჟუაზიისათვის. კვირის იმ თბილ საღამოს, როდესაც მე აქ ვსეირნობდი, ქუჩა თითქმის გაუკაცრიელებული იყო. ერთ-ერთ კაფეში ჩაი, თაფლით და ნიგვზით ნამცხვარი შევუკვეთე — საუზმე უფრო რუსულია, ვიდრე ქართული. ოფიციანტთან ასევე რუსულად ვსაუბრობდი და დაწესებულებაშიც რუსული ჯაზი უკრავდა. ქართველების უმეტესობა დღესაც სიამოვნებით საუბრობს ამ ენაზე და ამტკიცებს, რომ ქვეყანაში დარჩენილი რუსები არანაირი დისკრიმინაციის ქვეშ არ იმყოფებიან.

ამის შემდეგ ბრიტანული გამოცემის ავტორი წერს ქალაქ გორზე და იქ მდგარი სტალინის ძეგლის გარშემო მიმდინარე პოლემიკაზე: — თბილისიდან დასავლეთით 75 კილომეტრში განლაგებულ ქალაქ გორში მდებარეობს სტალინის მუზეუმი-კომპლექსი, რომელიც იმ სახლსაც მოიცავს, სადაც „ბელადი დაიბადა“. ლოიდი შენიშნავს, რომ მუზეუმი დამთვალიერებლებისთვის კვლავაც გახსნილია.

— რუსეთთან გასული წლის აგვისტოს ომის შემდეგ მცირე დრო არ გასულა. გორის მოედანზე კვლავაც დგას ხალხთა ბელადის ძეგლი. ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორი შორენა შავერდაშვილი მომიყვა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციამ საზოგადოებას ძეგლის დემონტაჟი შესთავაზა, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს გამოუვიდეს. მისივე თქმით, პრეზიდენტის ხალხმა ეს იდეა ჟურნალისტებს შესთავაზა, მაგრამ ამას არც ჟურნალისტები აიტაცებენ და ბევრი გორში მაცხოვრებელიც ამის წინააღმდეგია. ეს „ზემოდან“ წამოსული

გაგრძელება მე-8 გვერდზე

X-XIII ს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.
დარეკეთ!
მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).
ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# ქართველების უმეტესობა დღესაც რუსულად საუბრობს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

ინიციატივაა და პოპულარობით არ სარგებლობს, — მეუბნება შავერდაშვილი.

„ფაინენშლ ტაიმსის“ ავტორი საქართველოს პრეზიდენტს „მიშად“ მოიხსენიებს და მისი მოღვაწეობის დეტალებზე საუბრობს. — მიშა საქართველოს მესამე პრეზიდენტია 1992 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან. როგორც აქ ამბობენ, 2004 წელს ის პირველი ვადით ტრიუმფალურად აირჩიეს. სააკაშვილის პლატფორმის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი თბილისის კონტროლს ქვეშ მეამბოხე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება გახდა. ეს არ გამოუვიდა, თუმცა, პრეზიდენტმა შეძლო მესამე დაუმორჩილებელი რეგიონის — აჭარის დამორჩილება და აფხაზურ ხელისუფლებასთან გარკვეული დიალოგის დაწყება. 2008 წლის 7 აგვისტოს ქართველებზე მუდმივი თავდასხმებით აღშფოთებულმა სააკაშვილმა თავის, ამერიკელების მიერ გაწვრთნილ არმიას უბრძანა, რომ ცხინვალის რეგიონში საცეცხლე წერტილები დაედუმებინათ. თითქმის მაშინვე რესპუბლიკაში რუსული ჯარებიც შევიდნენ, იქიდან ქართული ნაწილები გამოდევნეს და საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ, მათ შორის გორში; ქალაქი სროლებისგან და დაბომბვებისგან დაზარალდა, თუმცა, სტალინის ძეგლი მთელი დარჩა.

— საქართველოში ყოფნისას რეინტეგრაციის მინისტრს თემურ იაკობაშვილს შევხვდი: მისი ამოცანა მეამბოხე რეგიონების დაბრუნებაა. თემურ იაკობაშვილი ეკუთვნის როგორც თბილისის მრავალრიცხოვან ებრაულ თემს (ქართველები ხშირად ამკიცებენ, რომ მათი ხალხისთვის ანტისემიტიზმი დამახასიათებელი არ არის), ასევე სახელგანთქმულ ქართულ ინტელიგენციასაც. პროფესიით ფიზიკოსი საერთაშორისო ურთიერთობებს სწავლობდა ბირმინგემში, ოქსფორდში, ჰარვარდის, იელის და უპსალის უნივერსიტეტებში. წამყვაში ქართული ანალიტიკური ცენტრი დააარსა. საგარეო უწყების ევროპულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ხშირად აქვეყნებს სატატიებს საერთაშორისო პრობლემებზე. ჩვენ მის კაბინეტში, რუსთაველის პროსპექტზე მახინჯ სამთავრობო შენობაში ვსაუბრობდით. იაკობაშვილი მიყვებოდა, რომ საქართველო რუსებთან, აფხაზებთან და ოსებთან მოლაპარაკებების გამართვას არ აპირებს. რაზე უნდა ვისაუბროთ მათთან? მან რიტორიკული კითხვა დასვა. მისი და მთელი ადმინისტრაციის აზრით, გასული წლის მცირეხნიანი წაგებული ომის შემდეგ, ერთ ასპექტში მაინც სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვალა.

— დღეს ყველაფერი ნათელი გახდა. არანაირი ილუზიები აღარ არის. რუსეთი აგრესორია, ის ორივე რეგიონში მარიონეტულ რეჟიმს მხარს უჭერს, ხოლო სამხრეთ ოსეთში მთავრობასაც აკომპლექტებს, სადაც მინისტრები — ყოფილი სპეცსამსახურების თანამშრომლები არიან კომსკიდან, ანდა პერმიდან; რომლებიც ადრე რესპუბლიკაში არასოდეს ყოფილან, — ამბობს იაკობაშვილი.

ბრიტანული გამოცემის ავტორი იკობაშვილის შემდეგ კახა ბენდუქიძეზე წერს და აცხადებს, რომ „ეს ადამიანი — თავისებური ცოცხალი ლეგენდაა“: — იაკობაშვილისნაირად საუბრობს კახა ბენდუქიძეც. ეს ადამიანი ცოცხალი ლეგენდაა — ბიოქიმიკოსი, რომელიც სწავლობდა თბილისში და მოსკოვში, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის მოლეკულური გენეტიკის ლაბორატორიის გამგე იყო. ეს პოსტი ბენდუქიძემ მაშინ დაიკავა, როდესაც ჯერ 30 წელიც არ შესრულებოდა. 1980-იანების ბოლოს, მას შემდეგ, რაც გორბაჩოვმა ეკონომიკაში ბაზრის ელემენტები შეიტანა, ბენდუქიძე მთელი თავით ბიზნესში გადაეშვა: თავიდან მან ბიოქიმიური ფირმა დააფუძნა, ხოლო ამის შემდეგ უმსხვილესი საბჭოთა მანქანათმშენებელი საწარმოს — „ურალმაში“ საკონტროლო პაკეტი შეიძინა და მისი სხვა ქარხნებთან შეერთებით, რუსეთის მანქანათმშენებელი დარგის უმსხვილესი კორპორაცია ჩამოაყალიბა.

— ბენდუქიძემ თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში დამპატიჟა თუმცა, ხანგრძლივი სადილის დროს ის სულ ბუზღუნებდა — რადგანაც მისი მეუღლე, კულინარიის გენიოსი ქალაქში არ იმყოფება და არ შეუძლია ჩემი სათანადოდ გამასპინძლება. 2004 წელს ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მას ეკონომიკის მინისტრობა შესთავაზა. შემდეგ ის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელი გახდა, ხოლო ამჟამად მრჩევლის მორიდებული პოსტის დაკავებით, ის „რუხი კარდინალის“ როლს თამაშობს. იაკობაშვილის მსგავსად ის თვლის, რომ რუსეთის მიერ შემოტანილმა სხვადასხვანაირმა ემბარგომ, ქართული ეკონომიკისთვის მხოლოდ სასარგებლო როლი ითამაშა. სახელგანთქმულ ქართულ ღვინოებზე მოსკოვის მიერ შემოტანილმა აკრძალვამ ღვინისმწარმოებელი დარგი აიძულა, რომ ახალი გასაღების ბაზრები მოეძებნათ და ახალი ტექნოლოგიები დაენერგათ. რა თქმა უნდა, ომმა ეკონომიკური დაცემა გამოიწვია, მაგრამ იქამდე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები წელიწადში 8 პროცენტს შეადგენდა. ბენდუქიძე ამტკიცებს, რომ მომავალშიც ეს დინამიკა აუცილებლად აღდგება.

ამის შემდეგ რესტორანში ის ხალხი შემოდის, ვინც თავიდან სააკაშვილის მხურვალე მომხრე იყო და დღეს უკვე ვერ იტანენ მას. ეს ადამიანები ბენდუქიძეს მიესალმნენ და სასწრაფოდ საკუთარ კამპანიებს დაუბრუნდნენ. ბრიტანელი ჟურნალისტი შენიშნავს, რომ სიტუაციის უხერხულობა სახეზე იყო.

— გია ყანჩელმა, ისევე როგორც ქართული ინტელიგენციის უმეტესობამ, ახალგაზრდა პრეზიდენტს მხარი დაუჭირა, მაგრამ ამჟამად ის „მდუმარე ოპოზიციაში“ წავიდა. მისი კოლეგების უმრავლესობა, განსაკუთრებით თეატრალური წრეებიდან დღეს უბრალოდ ვერ იტანს სააკაშვილს. ადამიანები პრეზიდენტის გუნდიდან, მათ რიცხვში ბენდუქიძეც, თავის მხრივ მათ საბჭოური ეპოქის „დინოზავრებად“ თვლიან, რომლებიც პრივილეგიებს მიეჩვივნენ და წინ სიარული არ სურთ.

— 41 წლის პრეზიდენტის მთავარი კოზირები მისი შედარებითი ახალგაზრდულობა, ერთმნიშვნელოვანი პროდასავლური ორიენტაცია და დღეს ყველაზე უფრო ცალსახა — ანტირუსული პოზიციაა. უფროსი თაობა ჩივის: მოსკოვთან, ან სოხუმთან ნებისმიერ დიალოგზე უარის თქმა გამოუსადეგარი პოლიტიკაა; ის მთელს მსოფლიოში მქუხარე ქართულ კულტურას უპატივცემულოდ ეპყრობა, ხოლო მისმა „მცოცავმა ავტორიტარიზმმა“ დასავლეთი უნდა ჩააფიქროს. ამ მიდგომაში ქართული „ძველი გვარდია“ მარტო არ არის. რეგიონის პრობლემებში ორივე წამყვანი ბრიტანელი ექსპერტი ტომ დე ვაალი და ჯონათან კოენი სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად არიან განწყობილნი. ჩემს ძველ მეგობართან კოენთან თბილისში შევხვდით, საიდანაც ის აფხაზეთში გაემგზავრა კონსულტაციებისთვის იქაურ ხელისუფლებასთან. ჩემთან საუბრისას მან შენიშნა: — აფხაზეთთან სასაუბრო ნამდვილად არის. მათ იზოლაციიდან გამოძრომა სურთ. ურთიერთობის აწყობა სურთ არა მარტო დასავლეთთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც; ისინი ევროპისკენ ისწრაფვიან, ხოლო სააკაშვილი ასეთ დიალოგს ეწინააღმდეგება.

თუმცა, ჯონ ლოიდი წერს, რომ პრეზიდენტის მისამართით ყველაზე მწვავე კრიტიკა მან მაინც უფროსი თაობის შემოქმედებითი ინტელიგენციისგან მოისმინა.

— იმის მტკიცება, რომ საუბარი ხაზგასმით „შვილების და მამების“ ბრძოლას შეეხება, არ შეიძლება. საქართველოში ყველაზე გავლენიანი ოპოზიციონერი გაეროში ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი ირაკლი ალასანიაა — ეს უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე სააკაშვილი, 35 წლისაა. სოხუმთან დიალოგის განახლების მომხრე ალასანია აქტიურად ცდილობს დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვებას.

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“

## განცხადებები

- სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი
- სილამაზის სალონი „შარმი“ აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.
- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.
- ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.
- იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის“ სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# მორიგი ქართული რეკორდი გინესის წიგნში

ნათია ხურცილავა

მსოფლიო რეკორდის მაფიქსირებელმა კლუბმა „რეკორდმა“ მორიგი რეკორდი დააფიქსირა. თუმცა, ამჯერად სპორტულმა კლუბმა ტრადიციას უღალატა და რეკორდი ხელოვნებაში დააფიქსირა.

კომპოზიტორმა სერგო ჟვანიამ მუსიკალური მარათონი შესთავაზა რეკორდის მესვეურებს.

კომპოზიტორთა კავშირის დარბაზში ორგზის მსოფლიო რეკორდსმენმა მესამე მსოფლიო მუსიკალური რეკორდი დაამყარა.

კომპოზიტორმა სერგო ჟვანიამ სამი დღის განმავლობაში 9 საათიანი მუსიკალური მარათონი, კონცერტი ჩაატარა. მან 1121 ნაწარმოები შეასრულა ზეპირად ნოტების გარეშე როიალზე.

შესრულდა ქართული ხალხური ნაწარმოებები. ასევე ქართველი კომპოზიტორების და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებები. რეკორდსმენმა მოცარტი, ბეთჰოვენი, ვერდი, შოპენი, პუჩინი, ჩაიკოვსკი, ააჟღერა.

74 წლის კომპოზიტორი არაერთი ქართული ფილმის მუსიკის ავტორია. მას ასევე დაწერილი აქვს ოპერები „მედეა“, „დედას ლევანი“ „ეკატერინე ჭავჭავაძე — მაგნოლია“.



სერგო ჟვანიამ პირველი მსოფლიო რეკორდი 2004 წელს დაამყარა. მაშინ მან 8 საათი დაუკრა და 1001 ნაწარმოები შეასრულა.

მეორე მსოფლიო რეკორდი კიევში დაამყარა 2007 წელს, მაშინ რეკორდსმენმა 1111 ნაწარმოები შეასრულა.

კლუბ „რეკორდის“ თავმჯდომარე შოთა ქელდიშვილის განცხადებით, რეკორდების მრავალფეროვნება ძალიან მნიშვნელოვანია და ამ მიმართულებით ის სიახლეებსაც არ გამორიცხავს.

# ფილმების დაარქივება პრიორიტეტული ხდება

ეკა ირემაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ და ამერიკულმა ორგანიზაციამ „ინტერნეიშენალ“, რომელიც ადრე ცნობილი იყო როგორც პროექტი „ჰარმონია“, საქართველოში 2010 წლის საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა დაიწყეს.

2010 წელს საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამის ფარგლებში ფილმების დაარქივების 10-კაციანი ჯგუფი შეირჩევა, რომელიც სტაჟირებას ამერიკის შეერთებულ შტატებში 2010 წლის მარტში გაივლის.

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა ხელს უწყობს სახალხო დიპლომატიის, ეკონომიკური ზრდისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას საქართველოში, რაც ითვალისწინებს პროფესიული გამოცდილების და კულტურული ღირებულებების გაზიარებას პროგრამის ქართველ მონაწილეებს, აშშ-ს მასპინძელ ორგანიზაციებს, ამერიკულ მასპინძელ ოჯახებსა და ადგილობრივ საზოგადოებებს შორის. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამა კი უზრუნველყოფს მონაწილეებს პროფესიული ტრეინინგებით და აცნობს მათ ამერიკის თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურ საქმიანობას, ხელს უწყობს საქართველოში საზოგადოებრივ და კერძო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ამყარებს კავშირებს აშშ-ს შტატებსა და საქართველოს რეგიონებს შორის.

საზოგადოებრივი კავშირების პროფესიული პროგრამა გამიზნულია ერთი რომელიმე სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც საერთო ინტერესი აკავშირებთ. პროფესიული პროგრამის თემები ყოველწლიურად იცვლება და ითვალისწინებს ისეთი პროფესიული ჯგუფების შერჩევას, როგორებიცაა ადგილობრივი თვითმმართველობა, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ხელოვნების მენეჯერები, საშუალო და უმაღლესი განათლების სფეროს წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორის განვითარება, ფერმერები, ბიბლიოთეკარები და სხვა პროფესიონალები საქართველოდან. პროფესიული პროგრამა კი მოიცავს ამერიკის შეერთებულ შტატებში სამკვირიან ჯგუფურ სტაჟირებას, ადგილზე ვიზიტებსა და შეხვედრებს, სემინარებსა და მრგვალ მაგიდებს, კონსულტაციებსა და ჯგუფურ ტრეინინგებს, ამერიკულ მასპინძელ ოჯახებში ცხოვრებას. ხარჯებს, რომელიც მოიცავს მგზავრობის ღირებულებას, დაზღვევას, პროფესიულ და კულტურულ პროგრამებს, საცხოვრებულ და კვებას აშშ-ში, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო დაფარავს.

ფილმების დაარქივების პროფესიული პროგრამის ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ექნებათ ნახონ ამერიკული წამყვანი ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც კონკრეტულად ფილმების არქივის შექმნაზე და მის განვითარებაზე მუშაობენ. ამერიკაში ვიზიტის მონაწილეები შეისწავლიან თუ როგორ ხდება ფილმების დაცვა, აღდგენა და შენახვა, დაამყარებენ კონტაქტებს მათ ამერიკელ კოლეგებთან და გაეცნობიან, თუ რა როლი აქვს სახელმწიფოს ფილმების დაარქივების პროცესში.

ფილმების დაარქივების პროფესიულ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ქართული კინოცენტრის, ეროვნული არქივის, საქართველოს კულტურის სამინისტროს, ქართული ფილმის და ფილმის მუზეუმის წარმომადგენლებს, პროფესიონალებს, მენეჯერებს და ტექნიკურ თანამშრომლებს, რომლებიც მუშაობენ ფილმების არქივის შექმნაზე. ამავე პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ იმ სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს, რომლებიც ხელს უწყობენ ქართული ფილმების არქივის შექმნას და განვითარებას საქართველოში.

სააპლიკაციო ფორმის შევსების შემდეგ პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა იგი საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის ოფისში 21 დეკემბრამდე უნდა წარადგინონ. საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის თანამშრომლები თავად დაუკავშირდებიან პროგრამაში მონაწილეობისათვის შერჩეულ ნახევარფინალისტებს და მიიწვევენ გასაუბრებაზე.

ფილმების დაარქივების პროფესიული პროგრამის მიზნით ამერიკაში სტაჟირებაზე გამგზავრების პროექტის პრეზენტაცია 25 ნოემბერს სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ (კინოსტუდიის) შენობაში გაიმართება.

# ქართულ ხმებს კიდევ ერთი წევრი დააკლდა

ანსამბლ „ქართული ხმების“ ძველ თაობას კიდევ ერთი წევრი გამოაკლდა. ცნობილი მომღერალი ანსამბლის ერთ-ერთი დამაარსებელი გურამ თამაზაშვილი 55 წლის ასაკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სეფსისის ცენტრში გარდაიცვალა.

გურამ თამაზაშვილმა განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ანსამბლის წარმატებაში. ბოლო პერიოდში ხელოვანი ანსამბლ „ალილოს“ მხატვრული ხელმძღვანელი იყო.

გურამ თამაზაშვილის სამოქალაქო პანაშვიდები თბილისში სამების საკათედრო ტაძრის ეზოში არსებული ილია წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესიაში გაიმართება. უკვე გადაწყვეტილია, რომ ხელოვანს სამშაბათს ქობულეთის რაიონის მშობლიურ სოფელ ხუცუბანში გადაასვენებენ და ხუთშაბათს დაკრძალავენ.

ეკა ირემაშვილი

# ხურციძემ ტიტული მეოთხედ დაიცვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ტოიგონბაევი და მისი სამწვრთნელო შტაბი დიდხანს აპროტესტებდა ამ გადაწყვეტილებას, მაყურებელიც მათ მხარეს იყო და ჩხუბის გაგრძელებას მოითხოვდნენ, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილება საბოლოო გამოდგა და ჩვენებურმაც მეოთხედ დაიცვა ინტერკონტინენტალის ქამარი.

ცნობისთვის, ჩხუბის შეწყვეტის მომენტში 2 მსაჯი ქართველს ანიჭებდა უპირატესობას, ერთისთვის კი ჩხუბი თანაბარი იყო.

— ვთვლი, რომ მარცხს არ ვიმსახურებდი. არ ვიცი, რატომ შეწყვიტეს ბრძოლა. სისხლდენა მცირე მქონდა და ჩხუბის გაგრძელება შემეძლო. მოკლედ, მსაჯების გადაწყვეტილება ჩემთვის გაუგებარია, — განაცხადა პრესკონფერენციაზე ტოიგონბაევმა.

უზბეკი სპორტსმენის პრომოუტერი შუხრად ჰაიდაროვი უფრო ენაწყლიანი გამოდგა და ამასთან დარწმუნებული ისიც იყო, რომ მსაჯებმა არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს და ბრძოლა უნდა გაგრძელებულიყო.

— მძიმე ბრძოლისთვის ვემზადებოდით და ველოდით, რომ 12 რაუნდი გაგრძელდებოდა. ყველამ კარგად ნახა, როგორი დაძაბული და საინტერესო ბრძოლა იყო. ვთვლი, რომ შეხვედრა არ უნდა შეჩერებულიყო. კუვანიჩს პირველად არ ჰქონია ბრძოლის დროს სისხლდენა და ვერც ბრძოლის შეჩერების აუცილებლობა დავინახე. მართალია, ძალიან ბევრი დარტყმა გაეპარა, მაგრამ მთლიანობაში ვთვლი, რომ ჩხუბი თანაბარი იყო და რა მოხდებოდა შემდეგ რაუნდებში, არავინ იცის, — განაცხადა ჰაიდაროვმა.

გეტყვით იმასაც, რომ კრივის წესდების თანახმად, თუ მსაჯმა დაინახა, რომ ხურციძემ თავი შეგნებულად ჩაარტყა მეტოქეს და სისხლდენა ამის გამო მოხდა, მაშინ ვალდებული იყო, ბრძოლა შეეწყვიტა, მაგრამ ტოიგონბაევი დამარცხებულად არ უნდა გამოეცხადებინა, მაგრამ ამ შემთხვევაში შეგნებული დარტყმა თავად უზბეკი მოკრივესგან მოდიოდა, ამიტომ ხურციძის გამარჯვება მსაჯების სინდისზე სულაც არ არის.

— კარგი იყო, 12-ვე რაუნდი გვებრძოლა, მაგრამ რაც მოხდა, უკან ველარ დავაბრუნებთ. რა თქმა უნდა, შედეგით კმაყოფილი ვარ. ახლა მთავარი საზრუნავი ფელიქს შტურმთან შეხვედრაა. დანამდვილებით ვიცი, შტურმის დამარცხება უკვე შემიძლია. ჩემს პრომოუტერს ვთხოვე, ამ მატჩის გამართვის თაობაზე იზრუნოს — ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე შევხვდები, — აღნიშნა ქართველმა სპორტსმენმა.

ფელიქს შტურმი ვბა-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონია, ხურციძეს ამავე ვერსიით რეიტინგში მეოთხე პოზიცია უკავია, ხოლო ვბო-ს ვერსიით — მე-7. სულ 23 ჩატარებული ბრძოლიდან ხურციძეს მოგებული აქვს 20 (აქედან 13 ნოკაუტით), ერთი წააგო და ორიც ფრედ დაასრულა.

# ტიერი ანრი ნაკრებიდან წასვლაზე ალაპარაკდა

საფრანგეთის მმართველი პარტიის „სახალხო მოძრაობის კავშირის“ წარმომადგენელი ფრედერიკ ლეფევრი უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინის მოუწოდებს, საფეხბურთო მატჩებისას შემოღებული იქნეს ვიდეოგამეორების სისტემა, რათა აღარ განმეორდეს ისეთი ინციდენტები, როგორიც 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფის მატჩში საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებს შორის მოხდა.

— საკამათო მომენტების ვიდეოგამეორებით ნახვა, სულაც არ არის გამოუვალ მდგომარეობაში თავის ჩაგდება. რატომ უნდა ვთქვათ მსოფლიოში არსებულ პროგრესზე უარი? რაგბისა და ჩოგბურთში გაცილებით ნაკლები შეცდომები მოსდით მსაჯებს, მაგრამ ამ მეთოდს მაინც იყენებენ. წინასწარ ვიცი თქვენი არგუმენტი — პროფესინალური და სამოყვარულო სპორტი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ საბოლოოდ მივდივართ იმ ფაქტამდე, რომ გულშემატკივრები უკვე არანაირ პატივს აღარ სცემენ მსაჯებს. თქვენ უნდა დააფიქსიროთ ის პოზიცია, რომელიც აქამდე გაუგებარია მილიონობით გულშემატკივრისთვის, — მიმართა უეფას ბოსს ლეფევრიმ.

არადა, ამ ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელი რომ ყოფილიყო საფრანგეთისა და ირლანდიის მატჩისას, შესაძლოა, ლეფევრისა და პლატინის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშე დარჩენილიყო.

შეგახსენებთ, რომ მაშინ, როდესაც ირლანდიის ნაკრები სტუმრად 1:0-ს უგებდა ფრანგებს (პირველი მატჩი ამავე ანგარიშით ფრანგებმა მოიგეს), სამფეროვნებმა გამთანაბრებელი გოლი წესების რამდენიმე დარღვევით გაიტანეს — ჯერ საფრანგეთის ნაკრების 2 ფეხბურთელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, შემდეგ კი ტიერი ანრიმ ორჯერ ითამაშა ხელით, სანამ უილიამ გალასს საგოლე პასს გადააწოდებდა.

ვიდეოგამეორების რა მოგახსენოთ, მაგრამ ფიფა ამ ეპიზოდის გამოძიებას აპირებს და თუ ტიერი ანრის მხრიდან არასპორტული საქციელი დაინახა, მისთვის დისკვალიფიკაციის მიცემას აპირებს და არა იმ თამაშებზე, რომელსაც საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატამდე ითამაშებს, არამედ სწორედ სამხრეთ აფრიკაში გასამართი თამაშებისთვის.



ფიფას წარმომადგენლის განცხადებით, ამ ეპიზოდის განხილვა უახლოეს დღეებში მოხდება. გეტყვით იმასაც, რომ ანრიმ თავად აღიარა ხელით თამაში და შეუერთდა ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის თხოვნას მატჩის გადათამაშებასთან დაკავშირებით, რაზეც უეფას მხრიდან უარი ეთქვათ.

თავად ფეხბურთელი კი ამ სკანდალის შემდეგ საერთოდ აპირებს წასვლას საფრანგეთის ნაკრებიდან.

— საფრანგეთის ნაკრებიდან წასვლის ფიქრები არ მასვენებს. ამ თემაზე ადრეც ვფიქრობდი — 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისა და 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, მაგრამ მაშინ ამისთვის საუკეთესო დრო არ იყო. ახლა კი შესაძლოა, ნაკრებიდან წავიდე. დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ვხვდები, რომ იმ მომენტში ხელით არ უნდა მეთამაშა. ჩემს ცხოვრებაში პირველი შემთხვევა იყო, როდესაც თავი მარტოსულად ვიგრძენი, მხოლოდ ბოდიშის მოხდის შემდეგ უფრო მომეშვა, — განაცხადა 32 წლის ფეხბურთელმა.

# მალხაზ ასათიანს სპარტაკი ეიმედება




რუსეთის პრემიერლიგის დასრულებამდე ერთი ტურია დარჩენილი და გასარკვევი მხოლოდ მესამე ადგილოსნის ბედია. ოქროსა და ვერცხლის მედლები კი უკვე ერგოთ ქართველ ფეხბურთელებს. ნაზანის „რუბინის“ შემადგენლობაში ზედიზედ მეორედ ჩემპიონები გახდნენ ლაშა სალუქვაძე, დავით კვირკველია და ნუკრი რევიშვილი. მართალია, კვირკველია-რევიშვილს წვლილი თითქმის არ შეუტანიათ გუნდის გაჩემპიონებაში, მაგრამ ოქროს მედლები მაინც გადაეცათ.

ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი — მოსკოვის „სპარტაკის“ ნახევარმცველი ჯანო ანანიძე. არის შანსი, რომ რუსეთში მოთამაშე ქართულმა ლეგიონმა მკერდი ბრინჯაოს მედლითაც დაიმშვენოს. მალხაზ ასათიანისა და დავით მუჯირის მოსკოვის „ლოკომოტივი“ სადღეისოდ მეოთხე ადგილზეა და მესამეადგილოსან სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ მხოლოდ დამატებითი მაჩვენებლით ჩამორჩება. ბოლო ტურში „ლოკომოტივი“ შინ „ხიმკის“ უმასპინძლებს და ალბათ იოლადაც დაამარცხებს, ხოლო „ზენიტი“ ასევე საკუთარ მოედანზე დაუხვდება უმოტივაციო „სპარტაკს“ და გამარჯვების შემთხვევაში თავად მოიპოვებს ბრინჯაოს მედლებსა და ჩემპიონთა ლიგის საგზურს.

ლოკომოტიველთა ქართველ ფეხბურთელ ასათიანს კი იმედი აქვს, რომ „სპარტაკი“ პრინციპული გუნდია და მოტივაციის გარეშეც შეძლებს, ქულები აართვას „ზენიტს“.

***— რისი იმედი გაქვთ ჩემპიონატის ბოლოს?***

— „სპარტაკი“ პრინციპული გუნდია და მჯერა, რომ იოლად არაფერს დათმობს — სწორედ ამის გვეიმედება მთელ გუნდს.

***— „დინამოსთან“ მატჩის დროს როგორ იგებდით კონკურენტი გუნდების მატჩების შედეგებს?***

— დიქტორიც საკმარისი იყო ამისთვის. საერთოდ, მატჩის დროს უფრო ჩვენს პრობლემებზე ვფიქრობდით და არა სხვა მატჩებზე — შესვენების დროსაც არ გვიკითხავს, რა ხდებოდა სხვაგან.

***— თუ „სპარტაკმა“ მოიგო, ხომ არ აპირებთ რამე აჩუქოთ მათ ფეხბურთელებს?***

— ჯერ არ ვიცი, შესაძლოა, ქართული ღვინო ვაჩუქო, მაგრამ ემბარგოს გამო რუსეთში არ შემოდის. საჩუქრები ყოველთვის ძნელი ასარჩევია.

***— როგორც ლოკომოტიველმა, სათამაშო რკინიგზა რომ აჩუქოთ?***

— შესაძლოა, მაგრამ რად უნდათ? თუ საჩუქარის გაკეთებას დავაპირებ, აუცილებლად შევათანხმებ კლუბის ხელმძღვანელობასთან.

***— ახლა სწორედ ის დროა, გავიხსენოთ გაზაფხულზე ჩატარებული მატჩი, როდესაც „ზენიტმა“ თქვენი გუნდის წინააღმდეგ ზედმეტი ლეგიონერი ათამაშა და მაშინ ტექნიკური მარცხი არ ჩაუთვალეს.***

— გასახდელშიც სწორედ ამ ფაქტს ვიხსენებდით. მაშინ არავინ იცოდა თუ ბოლო ტურის წინ და შესაძლოა, ჩემპიონატის ბოლოსაც ერთნაირი ქულები გვექნებოდა. მაშინ რომ პიტერელები დაესაჯათ, ახლა უპირატესობა ჩვენ გვექნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ — ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა.

# ელკალსიკო ვარსკვლავების გარეშე რჩება

მომავალი უიკენდი ელკლასიკოს მოლოდინშია, მაგრამ გულშემატკივარს სუპერკლასიკოს იმედი არ უნდა ჰქონდეს — შესაძლოა, ორივე გუნდი ვარსკვლვების გარეშე შეხვდეს.

ბოლო ტურში „ბილბაოსთან“ მატჩისას (1:1) კუნთი დაიჭიმა ბარსელონელთა ლიდერმა ლეო მესიმ და შესაცვლელი შეიქნა. პირველი გამოკვლევით მესის კანი აქვს გამსკდარი და თუ ეს მეორე გამოკვლევით დადასტურდა, უკვე იმაზე იქნება დამოკიდებული, რა სიძლიერის იქნება. მეორე გამოკვლევა კი მესის გუშინ გვიან ჩაუტარდებოდა.

ასეა თუ ისე, კატალონიელთა მე-10 ნომერი ჩემპიონთა ლიგის მატჩს „ინტერის“ წინააღმდეგ აუცილებლად გამოტოვებს, რაც დაადასტურა კიდევ „ბარსელონას“ მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ.

„ბილბაოსთან“ მატჩი გამოტოვა კატალონიელთა კიდევ ერთმა ლიდერმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმაც და მისი ელკლასიკოს თამაშიც ეჭვს ქვეშ დგას. „ბარსელონას“ შემადგენლობაში ღორის გრიპის ნიშნებიც არის, რომლებიც იაია ტურესა და ერიკ აბიდალს აღმოაჩნდა, მისი ნიშნები რაფაელ მარკესსაც შეენიშნება. სამივე მათგანი იზოლირებულია და ჯერჯერობით უცნობია, როდის შეუერთდებიან გუნდს.

„ბილბაოსთან“ ფრედ ნათამაშები მატჩის შემდეგ კი „ბარსელონამ“ ესპანეთის ჩემპიონატში ლიდერობა დაკარგა და უმთავრეს კონკურენტ მადრიდის „რეალს“ გადაულოცა, რომელმაც თავის მხრივ შინ 1:0 მოუგო „რასინგს“. თუმცა, გვარდიოლა სულაც არ აპირებს სატურნირო ცხრილში ჩაიხედოს — მისი გუნდი ყველა შემთხვევაში მოსაგებად გავა მოედანზე. ერთადერთი, რაც აღელვებს, ფეხბურთელების ჯანმრთელობაა.

— ჩემი საფიქრალი ახლა ფეხბურთელების ჯანმრთელობაა. სამშაბათს და კვირას უმნიშვნელოვანესი მატჩები გველის. რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, თუ „რეალთან“ მატჩს პირველ ადგილზე შევხვდებოდით, მაგრამ სადღეისო სატურნირო ცხრილი არაფერს წყვეტს. ჩვენ თამაშს თუ გავაგრძელებთ, სეზონის ბოლოს პირველ ადგილზე გვიხილავთ, — აცხადებს გვარდიოლა.

იმის მიუხედავად, რომ „სამეფო კლუბი“ კატალონიას ლიდერის რანგში ეწვევა, „ბარსელონას“ მცველი ხერარდ პიკე ფიქრობს, რომ მისი გუნდი 2 ან 3 ბურთის სხვაობით მოიგებს.

— იმედი მაქვს, ჩვენი გუნდი გოლს არ გაუშვებს და მატჩს 2:0, ან 3:0 მოვიგებთ. „ბარსა“ — „რეალი“ ეს ყოველთვის განსაკუთრებული თამაშია — მასში მეტი ადრენალინი და დაძაბულობაა, — აღნიშნავს პიკე.

ელკლასიკოში მონაწილეობას მიიღებს ტრავმამოშუშებული კრიშტიანო რონალდუ, კატალონიელი მცველი კი მასთან მოფერებას არ აპირებს და ხისტად ითამაშებს.

— კრიშტიანუ ჩემი მეგობარია, მაგრამ როდესაც მასთან კონტაქტში შევალ, შევეცდები, ტრავმა არ მივაყენო, მაგრამ ხისტად კი ვეთამაშები, რადგან მისთვის სივრცეების დათმობა თვითმკვლელობის ტოლფასია. ერთში დარწმუნებული ვარ, რომ მას შემდეგ, რაც „რეალი“ „სამეფო თასიდან“ გამოვარდა და ტრიპლეტის გეგმები ჩაეშალათ, უფრო აგრესიულად ითამაშებენ ჩემპიონატში. თუმცა, მათი აგრესია არ გვაშინებს — სადაც გუნდმა სეგუნდა ბ-ს დივიზიონ „ალკორკონთან“ წააგო, ჩვენთანაც წააგებს. ისე, სიმართლე გითხრათ, ახლაც ვერ წარმომიდგენია, როგორ წააგო „რეალმა“ იმ გუნდთან. შეიძლება ერთ მატჩში დამარცხდე, მაგრამ ორრაუნდიან მატჩში? წარმოუდგენელია, — დასძინა პიკემ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლტონი-ბლექბერნი | 0:2 |
| ტოტენჰემი-უიგანი | 9:1 |
| სტოკი-პორტსმუთი | 1:0 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ლივორნო-ჯენოა | 2:1 |
| მილანი-კალიარი | 4:3 |
| ნაპოლი-ლაციო | 0:0 |
| პალერმო-კატანია | 1:1 |
| რომა-ბარი | 3:1 |
| სამპდორია-კიევო | 2:1 |
| სიენა-ატალანტა | 0:2 |
| იუვენტუსი-უდინეზე | 1:0 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვილეარეალი-ვალიადოლიდი | 3:1 |
| მალიორკა-ალმერია | 3:1 |
| ხერესი-ხიხონი | 0:0 |
| ესპანიოლი-ხეტაფე | 0:2 |
| მალაგა-სარაგოსა | 1:1 |
| ოსასუნა-ვალენსია | 1:3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| სოსიედადი-კართაგენა | 1:0 |
| ნუმნსია-უელვა | 1:1 |
| სალამანკა-ჰერკულესი | 0:0 |
| ელჩე-ბეტისი | 3:0 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ბაიერნი-ლევერკუზენი | 1:1 |
| ჰამბურგი-ბოხუმი | 0:1 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-ზ.პაული | 3:2 |
| ფიურტი-დუისბურგი | 0:1 |
| კობლენცი-აახენი | 1:0 |

**საფრანგეთი. I ლიგა**

| | |
|---|---|
| ნიცა-ტულუზა | 1:0 |
| სენტ ეტიენი-ლორიენი | 0:2 |
| მონპელიე-ლილი | 2:0 |

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფეინოორდი-უტრეხტი | 0:0 |
| აიაქსი-ჰერენვენი | 5:1 |
| ვენლო-სპარტა | 5:0 |

**ტილბურგი-დენ ჰააგი 1:1**

| | |
|---|---|
| პსვ-ჰერაკლესი | 4:0 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| ვარეგემი-მეხელენი | 4:1 |
| კორტრაიკი-გენკი | 2:1 |

**ავსტრია. I ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| რაპიდი-აუსტრია | 4:1 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| დანდი იუნ.-სელტიკი | 2:1 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ირაკლისი-ატრომიტოსი | 2:2 |
| პანათინაიკოსი-ასტერასი | 1;1 |
| პაოკ-არისი | 4:1 |
| პანიონიოსი-პანთრატიკოსი | 3:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ანკარა-სივასი | 0:3 |
| გენჩერბირლიგი-ისტამბული | 3:1 |
| დენიზლი-ანტალია | 1:1 |
| ქაისერი-დიარბაქირი | 2:0 |
| ერჩიესი-ანკარაგიუჯიუ | 0:0 |
| ქაშიმპაშა-ტრაბზონი | 3:1 |
| გალათასარაი-მანისა | 1:1 |

**ჩეხეთი. გამბრინუსლიგა**

| | |
|---|---|
| ბოლესლავი-ბანიკი | 3:1 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასი**

| | |
|---|---|
| ვისლა-კრაკოვია | 0:1 |

**დანია. სასლიგა**

| | |
|---|---|
| სილკებორგი-სონდერიისკე | 1:2 |
| კოპენჰაგენი-რანდერსი | 2:0 |
| ბრონდბიუ-ოდენსე | 1:3 |

**აშშ. მლს**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ლოს ანჯელესი-სოლტ ლეიკი | 1:1(4:5პ) |

### პლაჟის ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**მესამე ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ურუგვაი | 14:7 |

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-შვეიცარია | 10:5 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-ორლანდო | 96:104 |
| ნიუ იორკი-ბოსტონი | 105:107(ოტ) |
| შარლოტი-ინდიანა | 104:88 |
| მაიამი-ნიუ ორლეანი | 102:101 |
| ფინიქსი-დეტროიტი | 117:91 |
| ლეიკერსი-ოკლაჰომა | 101:85 |

### ფრენბურთი

**მსოფლიოს თასი**

| | |
|---|---|
| კუბა-ირანი | 3:1 |
| პოლონეთი-ეგვიპტე | 3:0 |
| ბრაზილია-იაპონია | 3:0 |

### ხელბურთი

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| რუმინეთი-ხორვატია | 28:26 |
| ნორვეგია-რუსეთი | 27:21 |
| გერმანია-დანია | 31:27 |

### ჩოგბურთი

**ატპ. შემაჯამებელი ტურნირი**

| | |
|---|---|
| მიურეი-დელ პოტრო | 6:3;3:6;6:2 |
| ფედერერი-ვერდასკო | 4:6;7:5;6:1 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ტამპა ბეი | 3:4(ოტ) |
| ვანკუვერი-ჩიკაგო | 0:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## ჩარლზ დარვინის იშვიათი გამოცემა ტუალეტში იპოვეს

ცნობილი მეცნიერის, მოგზაურისა და ნატურალისტის, ჩარლზ დარვინის წიგნის „სახეობათა წარმოშობა“ იშვიათი გამოცემის ეგზემპლარი ქრისტის აუქციონზე გაიტანეს და როგორც ვარაუდობენ, მინიმუმ 99 ათას დოლარად შეიძლება გაიყიდოს.

აღსანიშნავია, რომ 1859 წელს გამოცემული ეს წიგნი ინგლისში, ერთ-ერთი სახლის ტუალეტში იპოვეს.

სახლის პატრონებმა თავის დროზე წიგნი ერთ-ერთ ბაზრობაზე რამდენიმე შილინგად შეიძინეს. შემდეგ დარვინის წიგნი 40 წლის განმავლობაში ოქსფორდშირში, კერძო ბიბლიოთეკაში ინახებოდა და ბოლოს და ბოლოს, სტუმრებისათვის განკუთვნილი ტუალეტის თაროზე აღმოჩნდა.

წიგნის რეალური ფასი მისი მფლობელებისათვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც მისი ამჟამინდელი პატრონის გერი შემთხვევით დარვინისადმი მიძღვნილ გამოფენაზე მოხვდა და „სახეობების წარმომავლობა“ ყდის ფოტოსურათით იცნო.

როგორც „ქრისტის“ აუქციონის ხელნაწერებისა და წიგნების განყოფილების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, წიგნის მფლობელები მის ჭეშმარიტ ღირებულებას უბრალოდ ვერ აცნობიერებდნენ.

## სამხრეთკორეელმა სერიულმა მკვლელმა საკანში მოიკლა თავი



სამხრეთ კორეის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე სასტიკმა და გულქვა სერიულმა მკვლელმა ენგ ნამ კიუმ ციხის საკანში თავი მოიკლა და ხელისუფლებს მისი სიკვდილით დასჯის შესაძლებლობა წაართვა.

ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, 40 წლის ენგმა ციხის საკანში მოიკლა თავი. სასიკვდილო განაჩენის აღსრულების მოლოდინში ამ საკანში მან ორი წელი გაატარა. თოკი, რითაც თავი ჩამოიხრჩო, სანაგვე ჩანთისაგან გააკეთა.

პატიმარი საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ იგი ერთი დღე-ღამის შემდეგ გარდაიცვალა.

სასჯელის უმაღლესი ზომა ენგ ნამ კიუს მას შემდეგ მიუსაჯეს, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წელს მან 13 ქალი და ბავშვი მოკლა. გარდა ამისა, მას კიდევ განსაკუთრებული სისასტიკით 20 ადამიანის გაუპატიურების ბრალდებები ჰქონდა წაყენებული.

როგორც ესოშიეიტედ პრესმა აღნიშნა, გარდაცვლილმა ბარათი დატოვა, რომელშიც სიკვდილით დასჯის მიმართ თავისი შიში გამოხატა.

სამხრეთ კორეაში სიკვდილით დასჯის ინსტიტუტი არსებობს, მაგრამ ბოლო 12 წლის განმავლობაში არც ერთი განაჩენი სისრულეში არ მოუყვანიათ.

## მორფინი, სავარაუდოდ, კიბოს გავრცელებას უწყობს ხელს




ამერიკელმა მეცნიერებმა ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე დაასკვნეს, რომ მორფინი, შესაძლოა ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას უწყობს ხელს.

სპეციალისტების თქმით, ოპიატები ხელს უწყობენ ახალი სისხლძარღვების განვითარებას, რაც სიმსივნის ქსოვილს ჟანგბადით და მკვებავი ნივთიერებებით ამარაგებენ.

ბოსტონში კიბოს კვლევათა ამერიკული ასოციაციის კონფერენციის დროს მეცნიერებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც მორფინის ამ მოქმედებას ეწინააღმდეგება.

ბრიტანულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ „ქენსა რესერჩ იუქეიმ“, რომელიც კიბოს კვლევების სფეროში მუშაობს, განაცხადა, რომ მკურნალობის არსებული მეთოდიკების შეცვლის რეკომენდაციების გაცემისათვის დამატებითი კვლევები არის საჭირო.

ჩიკაგოს უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ბოსტონის კონფერენციის დროს განაცხადეს, რომ ლაბორატორიული კვლევების დროს მორფინი გარდა იმისა, რომ სისხლძარღვებს ამაგრებდა, სხვა ქსოვილებში ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედების შეღწევასაც უწყობდა ხელს, რაც თავის მხრივ, სიმსივნის გავრცელებას იწვევს.

მეცნიერებმა იმავდროულად აღნიშნეს, რომ ამ პროცესს წარმატებით ეწინააღმდეგება პრეპარატი მეთილნალტრექსონი. იგი 1980-იან წლებში მორფინის მიღებით გამოწვეული კუჭშეკრულობის მოსახსნელად გამოიყენებოდა, მაგრამ აშშ-ის სამედიცინო პრაქტიკაში მხოლოდ ცოტა ხნის წინ მიიღეს.

ფილტვის კიბოთი ავადმყოფ ლაბორატორიულ ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების დროს მეთილნალტრექსონმა სიმსივნის გავრცელება 90%-ით შეაფერხა.

კლინიკური გამოცდების დროს აღნიშნული შედეგების დადასტურების შემთხვევაში პრეპარატმა სიმსივნური პაციენტების ქირურგიული მკურნალობის დროს ანესთეზიის პროცედურა შეიძლება შეცვალოს.

გამოკვლევის დაწყება მეცნიერებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ანესთეზიოლოგებმა შეამჩნიეს, რომ რამდენიმე პაციენტმა, ვისაც ოპიატების ბლოკატორი მისცეს, სხვებთან შედარებით უფრო დიდხანს იცოცხლეს.

მორფინს დიდი ხანია რაც უკიდურესად ეფექტური ტკივილგამაყუჩებელი საშუალების სახით იყენებენ. გამოკვლევა ადრეულ სტადიაზე იმყოფება და ჯერჯერობით ნაადრევია იმის თქმა, რომ ოპიატები სიმსივნურ უჯრედებზე ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას ახდენენ.

## ბრიტანეთში მედიკამენტებისადმი მდგრადი ღორის გრიპის ვირუსი გამოავლინეს

ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ქვეყანაში პრეპარატ ტამიფლუს მიმართ მდგრადი ღორის გრიპის ვირუსი ვრცელდება.

კარდიფის უნივერსიტეტის საავადმყოფოს ინფექციური დაავადებების განყოფილებაში იმყოფება ხუთი პაციენტი, რომლებიც ახალი ტიპის ვირუსით არიან ინფიცირებული.

ექიმების ვარაუდით, მათგან სამი ვირუსით საავადმყოფოში დაინფიცირდა.

ამ შემთხვევებს ტამიფლუს მიმართ მდგრადი ვირუსის გადაცემის პირველ მაგალითად მიიჩნევენ. ამ პრეპარატს ღორის გრიპის სამკურნალოდ იყენებენ.

ბოლო დროს ტამიფლუს მიმართ ღორის გრიპის მდგრადობის რამდენიმე ათეული შემთხვევა დაფიქსირდა, მაგრამ დღემდე ეს ვირუსი ერთი პაციენტიდან მეორეს არ გადაეცემოდა.




ორი ავადმყოფი უკვე გამოჯანმრთელდა და კლინიკიდან გაეწერა. ერთი ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იმყოფება, ორი პალატებში გადაიყვანეს.

ვირუსოლოგები არ გამორიცხავენ, რომ გარდა ცნობილი „ეიჩ1ენ1“ ტიპისა, ახლო მომავალში ღორის გრიპის ვირუსის სხვა შტამებიც შეიძლება გამომჟღავნდეს.

ექიმების თქმით, ტამიფლუს მიმართ ვირუსის მდგრადობის მიუხედავად ეს პრეპარატი ღორის გრიპის სამკურნალოდ მაინც რეკომენდებული რჩება.

გასულ კვირას ბრიტანეთში ღორის გრიპით ინფიცირების 53 ათასი შემთხვევა დაფიქსირდა. ექიმების თქმით, ტამიფლუს საკმარისი რაოდენობა შეისყიდეს, რასაც სიმპტომების შემსუბუქება და გართულებების რისკის შემცირება შეუძლია.

## აშშ-ის სასამართლომ გრიგალ „კეტრინას“ მიერ ნიუ ორლეანის დატბორვის პასუხისმგებლობა არმიას დააკისრა

აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2005 წელს გრიგალ „კატრინას“ მოსვლასთან შედეგად ნიუ ორლეანის დატბორვა სამხედრო ინჟინრების დაუდევრობამ გამოიწვია.

პროცესის დროს განიხილეს ექვსი კერძო და იურიდიული პირის სარჩელები, რომლებმაც აშშ-ის არმიის საინჟინრო ჯარები სანაოსნო არხის არასათანადო მომსახურებაში დაადანაშაულეს.

თითოეული მომჩივანი, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, კომპენსაციის სახით 620 ათას დოლარს მიიღებს.

აღნიშნული გადაწყვეტილება პირველია, რითაც ამერიკულმა სასამართლომ გრიგალ „კეტრინას“ მიერ მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის პასუხისმგებლობა უშუალოდ ფედერალურ მთავრობას დააკისრა.

მთავრობას აპელაციის წარდგენა შეუძლია.

განაჩენმა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ათასობით მსგავსი სარჩელის წაყენება შეიძლება გამოიწვიოს და ეს პრაქტიკა აშშ-ში ფართოდ არის გავრცელებული.

ოთხი წლის წინ, მას შემდეგ, რაც ლუიზიანას შტატს გრიგალი „კეტრინა“ დაატყდა თავს, ნიუ ორლეანის 80% წყალმა დატბორა. მექსიკის უბის მიმდებარე რაიონებში კი 1800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

არხებისა და დამბების სისტემაზე, რომელსაც ნიუ ორლეანი წყალდიდობისაგან უნდა დაეცვა, ამერიკის საინჟინრო ჯარები აგებდნენ პასუხს.

მთავრობის ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ წყალდიდობის საწინააღმდეგო სისტემებმა სტიქიის დაწოლას ვერ გაუძლეს და დამბის გარღვევის პასუხისმგებლობა მხოლოდ არხების მომსახურე პერსონალს არ უნდა დაკისრებოდა.

მიუხედავად ამისა, საოლქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალაქის ზოგიერთი რაიონის დატბორვა სანაოსნო არხის მომსახურებისადმი პერსონალის დაუდევარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია. ამასთან სასამართლომ მიიჩნია, რომ ნიუ ორლეანის აღმოსავლეთ ნაწილის დატბორვის პასუხისმგებლობა არმიას არ ეკისრება.

ვერდიქტში, რომელმაც 156 გვერდი დაიჭირა, მოსამართლე სტენვუდ დიუვალმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, სამხედრო ინჟინრების მიერ მოვალეობის არაადეკვატურმა შესრულებამ განაპირობა ის, რომ არხში წყლის ოდენობა 2-3-ჯერ გაიზარდა და მან დამბაზე ფრონტალური დაწოლა გაზარდა.

მოამზადა გენადი თვაურმა

## მაიკლ ჯექსონის ხელთათმანი 350 ათასად გაიყიდა

სტრაზებით მოქარგული მარცხენა ხელთათმანი, რომელიც მაიკლ ჯექსონს 1983 წელს, თავისი ცნობილი „მთვარეული გასეირნების“ დემონსტრირების დროს ეცვა, ნიუ იორკის აუქციონზე 350 ათას დოლარად გაიყიდა.

საბოლოო ფასმა ლოტის საწყის ფასს ცხრაჯერ გადააჭარბა. აუქციონის დაწყებისას ხელთათმანს სპეციალისტები 60 ათას დოლარად აფასებდნენ.



რელიქვია ჰონგკონგელმა ბიზნესმენმა ჰოფმან მამ შეიძინა, მაკაოს მსხვილი სასტუმროს წარმომადგენელმა. ამიერიდან ხელთათმანს სასტუმროს ერთ-ერთ ვიტრინაში გამოფენენ.

გადასახადებისა და დამატებითი საკომისიო მოსაკრებელის გათვალისწინებით ხელთათმანი 420 ათასი დოლარი დაჯდა.

სულ ნიუ იორკში, „ჰარდ როქ კაფეს“ აუქციონზე წარსულში მაიკლ ჯექსონის კუთვნილი 70-მდე ნივთი იყო წარმოდგენილი.

ქურთუკი, რომელიც მაიკლ ჯექსონს 1989 წელს ალბომ „ბედ“-ის საგასტროლო ტურნეს დროს ეცვა, 225 ათას დოლარად გაიყიდა, ხოლო ჯექსონის ქუდი ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა 22 ათას დოლარად შეიძინა.

გარდა ამისა, აუქციონზე გამოიტანეს მომღერლის წერილები და მისი კონცერტების აფიშები, გარდა ამისა, ჩარლი ჩაპლინის პორტრეტი, რომელიც მაიკლ ჯექსონმა 9 წლის ასაკში დახატა.

აუქციონზე მაიკლ ჯექსონის თაყვანისმცემლებმა და კოლექციონერებმა მთელი მსოფლიოდან მოიყარეს თავი.

აუქციონის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ჯექსონის ნივთები იმაზე უფრო ძვირად გაიყიდა, ვიდრე წარსულში ელვის პრესლის ან მერილინ მონროს ნივთები იყიდებოდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ჯექსონი უდიდესი შემსრულებელი იყო და ადამიანები მის ცხოვრებასა და შემოქმედებას საკადრის პატივს მიაგებენ.

მაიკლ ჯექსონი მიმდინარე წლის 25 ივნისს 51 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას გული გაუჩერდა. მისი სიკვდილი სასამართლომ ძალადობრივად შეაფასა. გაკვეთამ აჩვენა, რომ მომღერალი ძლიერმოქმედი სამედიცინო პრეპარატების მიღების შედეგად გარდაიცვალა.

მაიკლ ჯექსონი 4 სექტემბერს ფორისთ ლაუნის სასაფლაოზე დაკრძალეს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის, განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. მორებით ნაგები ხის სახლი სამეგრელოში; 16. პროვინცია ირანში; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. ალალბედზე მოქმედება; 22. ვაკე ადგილი მთებს შორის.

**თარაზულად:** 1. თეორიული მექანიკის ნაწილი; 5. საჭმლის საჭმელი იაპონური ხის ჩხირები; 7. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიგა, დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. ქართული მალამო; 17. ისტორიული სასტუმრო პარიზში; 18. გეომეტრიული ფიგურა; 20. ფრანგული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ცხენის ნაშიერი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 6. ტოპაზი; 7. სანიტარი; 8. პიმები; 10. პასკა; 11. ლატიფუნდია; 13. პლანშეტი; 16. გაგატი; 19. პინგვინი; 20. ლიტურგია.

**შვეულად:** 1. კომისია; 2. აზები; 3. მასმედია; 4. ატამანი; 5. ნისტატინი; 9. სონატა; 12. ქარაგმა; 14. ლიმიტი; 15. შოვი; 17. ტვინი; 18. აპია.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კაბა; 2. მიჩიგანი; 3. და; 4. ადა; 5. ატრია; 6. ივ; 7. ბალბა; 8. აბანო; 9. ბაყაყი; 10. მელ; 11. ალანია; 12. იბნ; 13. ფრაუ; 14. კანოე; 15. სიო; 16. არა; 17. კირი; 18. ბინ; 19. კაა; 20. კარელ; 21. კავატინა; 22. იო; 23. გოია; 24. არაყი; 25. ნესვი; 26. აისი; 27. კიმონო; 28. ნიანგი; 29. ლალი; 30. პარაბოლა; 31. რამფისი; 32. ოროლი; 33. არილი.

**სურათებზე:** მერილინ მონრო; ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# ყარაბაღის მოლაპარაკებებზე პროგრესი აღინიშნა

ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით მიუნხენში გამართული მოლაპარაკებების ფრანგმა შუამავალმა ბერნარ ფასიემ განაცხადა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ხელმძღვანელებმა შესამჩნევ პროგრესს მიაღწიეს.

თავად პრეზიდენტებმა, ილჰამ ალიევმა და სერჟ სარქსიანმა შეხვედრის შემდეგ კომენტარებისაგან თავი შეიკავეს. ფასიემ, რომელიც შეხვედრაზე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას წარმოადგენდა, „გარკვეული



სირთულეები" აღნიშნა.

ბერნარ ფასიეს თქმით, ის და სხვა შუამავლები ახალი შეხვედრისათვის ემზადებიან. მას არ დაუზუსტებია, თუ სად და როდის შეიძლება, რომ ეს შეხვედრა გაიმართოს.

მისი თქმით, დისკუსიის დროს პრეზიდენტებმა და შუამავლებმა მონიშნეს ის პრობლემები, რომლებსაც დღემდე ესაჭიროებათ გადაწყვეტა, ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტის ინსტრუქციებიც იქნა მიღებული.

მოლაპარაკებების კიდევ ერთმა შუამავალმა, ამერიკელმა რობერტ ბრადტკემ აღნიშნა, რომ მისი შთაბეჭდილებით, მხარეებმა პრობლემის გადაჭრის ძლიერი ნება გამოამჟღავნეს.

მისი თქმით, ორივე პრეზიდენტი მზად იყო საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემები განეხილა და მასზე, როგორც მოლაპარაკებებში მონაწილეობის არცთუ ხანგრძლივი წინაისტორიის მქონე ადამიანზე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ამ გარემოებამ მოახდინა.

მინსკის ეუთოს ჯგუფში, რომელიც ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაზე ზრუნავს, რუსეთთან ერთად აშშ და საფრანგეთიც შედიან. იგი სპეციალურად აზერბაიჯანი-სომხეთის კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით შეიქმნა.

1988 წელს ყარაბაღის ავტონომიურმა ოლქმა აზერბაიჯანისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ცოტა ხნის წინ, აქ სისხლისმღვრელი ომი დაიწყო, რომელმაც 30 ათასამდე ადამიანი იმსხვერპლა.

საომარი მოქმედებები რეგიონში 10 წლის წინ შეწყდა, მაგრამ ბაქო და ერევანი ამ რეგიონის პოლიტიკური მომავლის შესახებ განსხვავებულ პოზიციებზე დგანან.

მიუნხენის შეხვედრის დაწყებამდე აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა მიანიშნა, რომ მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში ახალ ომს არ გამორიცხავდა. ამ მოლაპარაკებებს მან პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის უკანასკნელი იმედი უწოდა.

მიმომხილველები იმავდროულად აღნიშნავენ, რომ ოფიციალურ ბაქოს ყარაბაღის დაბრუნებაზე ფორმალურად უარი არასდროს უთქვამს და ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სამხედრო ძალის გაძლიერებას მილიარდობით დოლარი დაახარჯა.

მიუნხენის მოლაპარაკება სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდგომ ალიევისა და სარქსიანის პირველ შეხვედრას წარმოადგენს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ჩინეთში მაღაროს აფეთქების მსხვერპლთა რიცხვმა ასს გადააჭარბა

ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ქვანახშირის მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 100 ათასს გადააჭარბა.

ჰეილუნძიანის პროვინციის მაღაროში მეთანის აფეთქება შაბათს, ადგილობრივი დროით დილის სამის ნახევარზე მოხდა.

მაღაროში ამ დროს 528 მაღაროელი იმყოფებოდა. 400-მდე მაღაროელმა მიწის ზედაპირზე დამოუკიდებლად ამოსვლა მოახერხა.

შემთხვევის ადგილისაკენ და ავარიის შემდგომ სამაშველო სამუშაოების ხელმძღვანელობისათვის ჩინეთის ვიცე-პრეზიდენტი გაგზავნეს. მაშველებთან უშუალო კონტაქტი აქვთ ჩინეთის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრს.

მაღაროებში უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე სახელმწიფოს კონტროლის განმტკიცების მიუხედავად, ავარიები კვლავინდებურად ხშირად ხდება.

გასულ წელს ჩინეთის მაღაროებში მომხდარი ინციდენტების შედეგად მთელი ქვეყნის მასშტაბით 3000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ქალაქ ჰეგანის მახლობლად მდებარე მაღარო, სადაც ავარია მოხდა, სახელმწიფო კომპანია ლონგმეი მაინინგს ეკუთვნის.

დაზარალებულთა უმეტესობა ადგილობრივ კლინიკაში მიიყვანეს, სადაც მათ დახმარებას აღმოუჩენენ.

მაშველების თქმით, სა-



მაშველო სამუშაოებს გაზის მაღალი კონცენტრაცია უშლიდა ხელს. მიუხედავად ამისა, მაშველები იმედოვნებენ, რომ მაღაროელების ნაწილის გადარჩენას შეძლებენ.

ხელისუფლები განსაკუთრებით იმით არიან შეშფოთებული, რომ ავარია სახელმწიფო მაღაროში მოხდა. სახელმწიფო მაღაროები კერძოზე უფრო უსაფრთხოდ ითვლება, სადაც ხარჯების შემცირების მცდელობა ხშირად ავარიებს იწვევს.

ხელისუფლები მსგავსი დარღვევების წინააღმდეგ ბრძოლას ცდილობენ, კერძო მაღაროებს ხურავენ. ბოლო დროს ათასამდე სახიფათო მაღარო დაიხურა, რასაც, ხელისუფლების თქმით, უბედური შემთხვევების მკვეთრი შემცირება მოჰყვა.

მიუხედავად ამისა, ჩინეთში კვლავინდებურად დღეში საშუალოდ 6 მაღაროელი იღუპება. ექსპერტების თქმით, უბედური შემთხვევების დიდი ნაწილი არ ხმაურდება, რადგან კომპანიებს ქვანახშირის მოპოვებით მიღებული მოგების დაკარგვა არ სურთ.

# ავღანეთის პრეზიდენტმა მთავრობის შექმნა თავის ოპონენტს შესთავაზა

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ქარზაიმ ინაუგურაციის ცერემონიალის დროს თავის მთავარ ოპონენტს პრეზიდენტის არჩევნებში აბდულა აბდულას ეროვნული ერთიანობის მთავრობის ჩამოყალიბება შესთავაზა.

არჩევნების მეორე ტურის წინ, რომელიც საბოლოო ჯამში არ გაიმართა, აბდულა აბდულამ ქარზაისთან თანამშრომლობის შესაძლებლობა გამორიცხა.

აბდულას თქმით, სამი წლის წინ მან საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ქარზაის მთავრობაში სწორედ იმიტომ დატოვა, რომ არ სურდა ყოფილიყო იმ სტრუქტურის ნაწილი, რომლის დროსაც ქვეყანაში არსებული ვითარება გაუარესდებოდა. მსოფლიო საზოგადოებრიობა ბოლო დროს ავღანეთის პრეზიდენტზე ზეწოლას აძლიერებს და მისგან ქვეანაში გამეფებული კორუფციის ალაგმვას მოითხოვს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ავღანეთში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების შეწყვეტით იმუქრებიან.

ხუთშაბათს ქაბულის ქუჩები პრაქტიკულად ცარიელი იყო. ინაუგურაციის ცერემონიალის წინ სამართალდამცავმა ორგანოებმა გზებზე მრავალრიცხოვანი ბლოკპოსტები გამართეს.

ქარზაის ინაუგურაციის ცერემონიალს ორმოცამდე ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო, მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და პაკისტანის პრეზიდენტი ასიფ ალი ზარდარი. მიმომხილველების თქმით, ცერემონიალზე კლინტონის დასწრება აშშ-ის მიერ ქარზაის ოფიციალურად მხარდაჭერას ნიშნავს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ინაუგურაციის ცრემონიალამდე გამოსვლაში განაცხადა, რომ ავღანეთისათვის „გარდატეხის მომენტი" დგება და რომ ავღანეთის პრეზიდენტს მსოფლიოსათვის თავისი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვის დემონსტრირების შანსი ეძლევა. ქარზაიმ ინაუგურაციის დროს საერთაშორისო დახმარების უშუალოდ ავღანეთის მთავრობისათვის გაწევისაკენ მოუწოდა.

გარდა ამისა, მან მეამბოხე თალიბებს იარაღის დაყრისა და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის დაწყებისკენ მოუწოდა.

მისი თქმით, ასეთ შემთხვევაში ნატოს სამხედრო დახმარებაზე უარის თქმა და ქვეყნიდან საერთაშორისო კონტინგენტის გაყვანა გახდებოდა შესაძლებელი.

# ფილიპინებში გატაცებულ მძევლებს თავები მოჰკვეთეს



ფილიპინების სამხრეთით მდებარე მაგინდანაოს პროვინციაში 21 თავმოკვეთილი გვამი აღმოაჩინეს. მოკლულები, 13 ქალი და 8 მამაკაცი, ცოტა ხნის წინ მძევლად აყვანილი პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების ჯგუფის წევრები არიან.

ფილიპინების არმიის მაღალი რანგის ოფიცრის, ალფრედო კაიტონის თქმით, არმიის სამხედრო მოქმედებებმა მიაღწიეს რაიონს, სადაც მეამბოხეები აფარებენ თავს. ნაპოვნია 21 გვამი და სამხედროები ტერიტორიის შემოწმებას აგრძელებენ.

ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების ჯგუფი შეიარაღებულ პირთა ჯგუფმა საარჩევნო შტაბისაკენ მიმავალ გზაზე გაიტაცა. როგორც ვარაუდობენ, ისინი არჩევნებში მათთვის არასასურველ კანდიდატს უჭერდნენ მხარს.

ქვეყნის ხელისუფლები მძევლების გატაცებაში ერთ-ერთ ოპოზიციურ პოლიტიკოსს ადანაშაულებენ, რომელიც შეურიგებელ რელიგიურ პოზიციებზე დგას.

არჩევნები ფილიპინებში 2010 წლის მაისისთვის არის დანიშნული. კანდიდატების რეგისტრაცია ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყო.

არსებული ცნობების თანახმად, მაგინდანაოს პროვინციაში გატაცებული ერთ-ერთი ქალი არის მეუღლე პოლიტიკოსისა, რომელმაც პროვინციის გუბერნატორის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა.

წინასაარჩევნო კამპანია გასულ კვირას დაიწყო. მაგინდანაოს პროვინციაში არსებული ვითარება მწვავე პოლიტიკური დაპირისპირებით ხასიათდება.

# უზბეკეთმა ყაზახეთთან საზღვარი დახურა

უზბეკეთის ხელისუფლებმა ყაზახეთთან საზღვარი დახურეს და მიზეზად მეზობელ ქვეყანაში ღორის გრიპით დაავადების შემთხვევები დაასახელეს.

ყაზახეთის ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, უზბეკეთი საზღვრებს თითქმის ყოველწლიურად კეტავს და ეს უკვე აღარავის აკვირვებს. შედეგად, უპირველეს ყოვლისა, მოსაზღვრე რაიონების მოსახლეობა ზარალდება.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, ყაზახეთში ღორის გრიპის 15 შემთხვევა დაფიქსირდა და არც ერთი მათგანი ლეტალური შედეგით არ დასრულებულა.

ყაზახეთის სასაზღვრო სამსახურის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ბიბისის ინტერვიუში ანონიმურობის პირობით განაცხადა, რომ მისი აზრით, საზღვარი სრულიად სხვა მიზეზით დაიხურა.

მისი თქმით, უზბეკეთში დაბრუნებულებს ქვეყანაში უშვებენ, მაგრამ ქვეყნის დატოვების უფლებას არ აძლევენ. ეს წესი აეროპორტებს არ ეხება.

სასაზღვრო რაიონებში ტვირთის ტრანსპორტირებით დაკავებული მძღოლების თქმით, უზბეკეთის მხრიდან საზღვარზე ხშირად ასობით ადამიანი იყრის ხოლმე თავს, მაგრამ მათ საზღვარზე არ უშვებენ.

საზღვრის დახურვის მიზეზი ყველთვის უცნობი რჩება, საუბარია კარანტინის შესახებ, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტები არ არსებობს. იმავდროულად, 5000 ათასი ტენგეს (დაახლოებით 40 დოლარი) გადახდის შემდეგ საზღვრის გადაკვეთა შესაძლებელი ხდება. აკრძალვის მიღებამდე საზღვარზე გადასვლა 2000 ტენგე ღირდა.

ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის სასაზღვრო სამსახურების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უზბეკეთთან საზღვარზე ისინი ჩვეული რეჟიმით მუშაობენ და აკრძალვა მხოლოდ უზბეკეთ-ყაზახეთის საზღვარს ეხება. ამასთან უცნობია, თუ როდის გაიხსნება საზღვარი.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ადამიანი — გენერალი



უამრავ რჩეულ, ღირსებით შემკობილ პიროვნებას დაუტოვებია წუთისოფელი, მაგრამ გურამ ქარქაშაძის სიკვდილმა (სიკვდილიც არის და სიკვდილიც) ყველა ერთიანად დაგვამუნჯა. მწუხარება განსაკუთრებული იყო, რადგან ყველას მოულოდნელად ხელიდან გამოგვეცალა კაცი, რომელიც მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით და საქმისადმი თავდადებით კი არ გამოირჩეოდა, არამედ იშვიათი პიროვნული თვისებებითაც. იგი დიდ საქმეთათვის დაბადებული გახლდათ, როგორც ძველ საქართველოში იტყობდნენ: „სრული კაცი", სიკეთით, ზნეობითა და მადლით ცხებული. არც ის იყო შემთხვევითი, რომ პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი იმავდროულად ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორიც იყო, ლიტერატურის დიდი მოყვარულიც და გამორჩეული „ადამიანთმცოდნეც". ალბათ, ყოველივე ამის გამო იყო, რომ მშობლიურ სოფელში, სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი, სკოლას კი მისი სახელი მიანიჭეს!

მახსოვს, როდესაც ბატონ გურამს გენერლობა უბოძეს, ჩემდაუნებურად წამომცდა — ის თავისი ცხოვრების წესით, კაცური ღირსებით, დიდი ხანია ადამიანი-გენერალია-მეთქი. შემდეგაც, მოწიწების ნიშნად „ადამიან-გენერალს" ვეძახდი და მის ზედმეტად თავმდაბალ პროტესტს არ ვემორჩილებოდი.

გურამ ქარქაშაძის მთელი ცხოვრება ცეცხლთან ჭიდილი იყო, ეს კი მხოლოდ მამაცი ბუნებისა და მტკიცე ნებისყოფის ადამიანების ხვედრია.

ხუთი წელი გავიდა გურამ ქარქაშაძის გარდაცვალებიდან. ეს ის დროა, რომელმაც წუთისოფლის ფასი და იმედი კი შეგვირყია, მაგრამ იმქვეყნიური არსებობის რწმენა გაგვიმტკიცა, რადგან იქ ასეთი სულის ადამიანები გვეგულებიან.

მჯერა, მისი მემკვიდრეებიც ისევე ივლიან გურამ ქარქაშაძის ნაკვალევზე, როგორც „ადამიანი-გენერლის" სახელსა და ღირსებას ეკადრება.

**მალხაზ ბა აღუა**

შვილები ზაზა, ხათუნა გოგრიჭიანები, და მარინა მოდებაძე, სიძეები გაიოზ ნოზაძე, კახა რურუა, შვილიშვილები გიორგი, ბექა, ოთარი, ლუკა, რძალი ხათუნა თევზაძე, მძახალი ოთარ რურუა ოჯახით, მაზლი ჯემალ გოგრიჭიანი ოჯახით, დისშვილები პაატა, მამუკა ნოზაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**შაზინა (თეკლა) გერვასის ასული მოდებაძე**

პანაშვიდი: 24, 25 ნოემბერს, 16 საათზე, ზაქარიაძის ქ.8, ბ.24.

გამოსვენება: 26 ნოემბერს, 14 საათზე, წმ. ლაზარეს ეკლესიიდან (კინოსტუდიის ეზო).

ლანგორი ხომერიკისა და ვაჟა სვანიძის ოჯახებით იზიარებენ ღრმა მწუხარებას ბატონი

**დავით იმედაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ავთანდილ სვანიძესა და ლელა იმედაშვილს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 24 ნოემბერი**

08.00 ან. სერიალი „პიტი და კენტროფი„ 08.30 სერიალი „ფილიპის ფილოსოფია„ 09.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ქალაქები„ 10.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 10.10 მხ. ფილმი „სიყვარული სიკვდილამდე„ 12.30 სერიალი „ელიზას ქალიშვილი„ 13.30 დოკ. ფილმი „აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი„ 14.00 მეხსიერება 15.00 სერიალი „პირისპირ„ 17.00 ან. სერიალი „ადამიანი-ობობა„ 18.00 დოკ. ფილმი „სამყარო„ 19.05 „მეხსიერება„ 20.45 „ნანინა„ 21.00 სერიალი „ელიზას ქალიშვილი„ 22.00 დიალოგი 23.00 სერიალი „სულებთან მოჩურჩულე„ (12) 23.40 ჩემპიონთა ლიგა. 01.50 მოამბე 02.10 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

19.00 ან. ფილმი „პიტი და კენტროფი„ 19.25 ნანინა 19.40 სერიალი „ფილიპის ფილოსოფია„ 20.10 მეხსიერება 21.05 სერიალი „პირისპირ„ 22.00 სერიალი „ელიზას ქალიშვილი„ 23.00 სერიალი „სულებთან მოჩურჩულე„ 23.50 მხ. ფილმი „გადაუხადე სხვას„ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი „შურისძიების ცეცხლში„ 11.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40 კურიერი 12.20 სერ. „გზა დიდებისკენ„ 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერიალი „უფრთხილდი ანგელოზს„ 15.25 სერიალი „ჩვენი ოფისი„ 15.50 სერიალი „გულის ძახილი„ 16.50 სერიალი „დონ ხუანი და ლამაზმანი„ 18.30 სერიალი „ჩვენი ოფისი„ 19.00 სერიალი „ჟამი ყვავილობისა„ 19.50 სერიალი „ანხელის საიდუმლო„ 22.00 ვა-ბანკი 22.50 სერიალი „ექიმი ჰაუსი" 23.40 ჩემპიონთა ლიგა. „ფიორენტინა„ — „ლიონი„ 01.40 პატრული

08.00 მულტფილმი „იასამნის ციხესიმაგრე„ 09.00 სერიალი „მარია ემილია„ 09.50 სერიალი "ჩემი შეყვარებული" 10.50 სერიალი „ტყუპები„ 12.00 სერიალი „სი-ეს-აი„ 12.40 მხ. ფილმი 15.00 სერიალი „მარტოხელა მტრედი„ 15.50 მხ. ფილმი 18.00 სერიალი „ტყუპები„ 19.00 სერ. „ჩენტო ვეტრინე„ 20.00 ზღაპარიყო 20.15 ეტალონი 21.25 ვიქტორინა „ქეშ შოუ„ 22.30 სერიალი „ჩემი შეყვარებული„ 23.30 სერიალი „სი-ეს-აი„ 00.30 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. „ორმაგი თამაში„ 11.25, 14.35 ტვ-მარკეტი 11.40 დოკ. ფილმი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე„ 12.00 სერიალი „ვინმე„ 13.00 სერიალი „მარადიული გრძნობა„ 15.00 მხ. ფილმი „დათა თუთაშხია„ მე-3 ს. 16.00 სერიალი „განრისხებული ანგელოზი„ 17.35 დოკ. ფილმი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე„ 18.00 სერიალი „სიყვარულის აჩრდილი„ 19.05 სერიალი „მარადიული გრძნობა„ 21.00 სერიალი „განრისხებული ანგელოზი„ 22.00 სიმართლის დრო 23.00 ქ. სერიალი „კლინიკა„ 00.00 სერიალი „უილ თრეველერის საიდუმლო„ 01.00 მხ. ფილმი 03.05 ქრონიკა 03.20 სერიალი „კლონი„

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 „დრო„ 08.15 მულტფილმი 08.45 მხ. ფილმი „ასტერიქსი და ობელიქსი ცეზარის წინააღმდეგ„ 10.30, 19.30 სერიალი „სამოთხის კუთხეები„ 11.45, 21.00 სერიალი „ცხოვრების ქარცეცხლში„ 12.45 მხ. ფ. „კომპანიონები„ 14.50 პერსონა 15.20 მხ. ფილმი „ფანატი„ 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ნოვოსტი 19.30 სერიალი 23.00 მხ. ფ.„უკან ნუ მიიხედავ„ 00.45 მხ. ფილმი „ბიჭები ქალთა საზოგადოებიდან„

**ერთსულოვნება** 09.30 დილის პროგრამა „განთიადი„ 10.30 სატ. არქივიდან 11.00 დოკ. ფილმი „ჯვრაგი„ 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი "იყო შაშვი მგალობელი" 13.30 კონცერტი 15.10 მულტსერიალი „კეროტის თავგადასავალი„ 15.35 მხ. ფილმი „დღე პირველი, დღე უკანასკნელი„ 17.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 17.30 დედა ეკლესია 18.05 სატ. არქივიდან — ფირსმანი „არსენალის მთა„ 18.40 მიწათმოქმედი 19.15 მხ. ფილმი „გლახის ნაამბობი„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დროის ჩანაწერები 22.00, 00.00 სიახლენი 22.15 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მოკლემ. ფილმი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 24 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 19-14, ღამით — 1-6
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 16-29, ღამით — 19-12
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 6-12, ღამით — -7-2

## ამინდის პროგნოზი 24 ნოემბრისთვის





## ქართული ფლორის საოცრება
# „სალხინო"
## უებარი წამალი



"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა,შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე **www.salkhino.ge** წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ხურციძემ ტიტული მეოთხედ დაიცვა

**ქართველმა პროფესიონალმა მოკრივემ ავთანდილ ხურციძემ, ვბა-ს ვერსიით, ინტერკონტინენტალის ქამარი მეოთხედ დაიცვა. „ტორნადოდ" წოდებულმა ქართველმა უკრაინის ქალაქ ჩერკასში უზბეკი კუვანიჩ ტოიგონბაევი მერვე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ შეხვედრამ მაყურებელი უკმაყოფილო დატოვა.**



პირველი რაუნდი ქართველი მოკრივის უპირატესობით დაიწყო და უზბეკ სპორტსმენს რამდენიმე მძლავრი დარტყმა მიაყენა, მაგრამ მდგომარეობა თანდათან გათანაბრდა და უკვე უზბეკი სპორტსმენიც გააქტიურდა. მიუხედავად იმისა, რომ მცირე უპირატესობას მაინც ქართველი ფლობდა, უზბეკის გააქტიურება მაყურებელს კარგ სანახაობას უქადდა, მაგრამ არ დასცალდათ.

მერვე რაუნდში მეტოქეებმა დარტყმები გაცვალეს, „ტორნადომ" ტოიგონბაევი ბაგირთან მიიმწყვდია, მანაც თავის დაღწევა ჯიქური გამოსვლით სცადა და ამ დროს ქართველ მოკრივეს თავი დაარტყა. შედეგი მისთვისვე აღმოჩნდა სავალალო — უზბეკ მოკრივეს წარბი გაუსკდა. მსაჯმა მცირე სამედიცინო შემოწმების შემდეგ მოკრივეებს ბრძოლის გაგრძელების უფლება მისცა, მაგრამ „ტორნადომ" „სისხლის სუნი" იგრძნო და მტკივნეულ ადგილზე მეტოქეს კიდევ მიაყენა დარტყმა. სისხლდენამ იმატა, მსაჯმა კიდევ ერთხელ შეაჩერა ჩხუბი და ექიმთან მოთათბირების შემდეგ ავთანდილ ხურციძე გამარჯვებულად გამოაცხადა.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ქეთათომ საყვარელი წიგნები დაასახელა



ეკა ირემაშვილი

**წიგნის მაღაზია „ბიბლუსში" შაბათის ტრადიციულ შეხვედრაზე პოეტ დავით მაღრაძის შემდეგ მკითხველი მომღერალ ქეთათოს შეხვდა.**

ირაკლი ჩარკვიანის მეუღლემ შეხვედრაზე წიგნთან დაკავშირებით ვრცლად ისაუბრა. ხელოვანმა თავისი ბავშვობისდროინდელი შთაბეჭდილებები გაიხსენა და ის წიგნები დაასახელა, რომლებიც ძალიან უყვარს. შეხვედრაზე გაირკვა, რომ ქეთათოს აქვს ძალიან საყვარელი წიგნები, ისინი იმ დონემდე უყვარს, რომ წასაკითხად ვერავის ათხოვებს. ქეთათო წიგნებს თავიდან უფრო რუსულ ენაზე კითხულობდა, დღეისთვის კი მისთვის კარგი თარგმანი პრობლემას აღარ წარმოადგენს და ბევრი კარგი მხატვრული ნაწარმოების ქართულად წაკითხვა შეიძლება.

— წიგნი საოცრებაა. მისი კითხვის დროს ადამიანი საკუთარი თავის გადაფასებას ახდენს. ყველა ადამიანს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სამაგიდო წიგნი ან წიგნები და თუკი საყვარელ ნაწარმოებს რამდენჯერმე გადაიკითხავს, ამით არაფერი დაშავდება, — განაცხადა მომღერალმა.

## ასტროპროგნოზი 24 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ნუ გაექცევით პასუხისმგებლობას.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება საჩუქარიც მიიღოთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **ქალწული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **სასწორი** — ახალი ბიზნესი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს არ გადაიღალოთ. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი კარგად იქნება. **თხის რქა** — ზედმეტი აქტიურობა არ გარგებთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეებს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 3. საშობაო სიმღერა; 4. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 5. იაპონელი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 6. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 8. ქართველი პოლიტიკოსი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 14. თოთხმეტტაეპიანი ლექსი; 15. აპრილის თვის ქართული სახელწოდება; 16. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. იაპონიის ჰიმნი; 7. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 9. კვების პროდუქტების შესაფუთად გამოყენებული, ფერადი ლითონების სიფრიფანა ფურცელი; 12. რაიმე ფაქტის ან მოვლენის ერთ-ერთი ახსნა; 13. მაღალმთიანი სოფელი ახმეტის რაიონში; 14. ჟარგონი, არგო ინგლისურ ენაში; 17. კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. რიცხვი, რომელსაც 18 ნოლი აქვს; 19. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი; 20. ბელგიური ავიაკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## იუმორი



* * *

— ადამიანი, ვისაც მძინარის გაღვიძება შეუძლია, ნებისმიერ სიმდაბლეს ჩაიდენს...

* * *

— ახლახან ცოლი მოვიყვანე, როგორც წესი და რიგია, ახალ ბინაში ხელში აყვანილი შემყავს, ის კი მეუბნება, „ხელი ხომ მოვაწერეთ, მოდი, კისერზე შემოგაჯდებიო..."

* * *

— ჩვენში დარჩეს, მაგარი შკაფი ხარ, მაგრამ ანტრესოლი ცარიელი გაქვს...

* * *

— რატომაა თოვლის ბაბუა ყოველთვის ასეთი მხიარული?

— იმიტომ, რომ იცის, ცუდი გოგოები სად ცხოვრობენ...

* * *

— მამა, მე მეგონა, ჩვენს ეზოს ადამიანები სვრიდნენ, სინამდვილეში კი ძაღლები სვრიან, სეირნობის დროს.

— მართალი ხარ შვილო, ადამიანები სვრიან, ოღონდ ძაღლების უკანალით...

* * *

— იცით თუ არა, რომ ველოტრენაჟორზე სატერფულებს უკუღმა თუ დაატრიალებთ, წონაში შეიძლება მოიმატოთ...

* * *

ახსნა-განმარტებითი ბარათიდან: „მიწოდა ის, რითაც მამაჩემმა შემქმნა..."

* * *

— ეს ცელულიტი კი არა, ანტიკრიზისული მარაგია...

* * *

— სიკვდილი ორგანიზმის რეაქციაა ცხოვრების აუტანელ პირობებზე...

გ.თ.

## რას ფიქრობთ საკუთარ თავზე

**ტესტი**



***1. შეგიძლიათ თუ არა საკუთარ თავს შორიდან შეხედოთ?***

ა. დიახ. ბ. ხანდახან. გ. არა.

***2. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ახლობლები თქვენზე ცუდს ფიქრობენ?***

ა. არა. ბ. არ ვიცი. გ. თითქმის ყოველთვის.

***3. ცდილობთ თუ არა აარიდოთ თავი არასასიამოვნო ადამიანებს?***

ა. დიახ. ბ. ხანდახან გ. არა.

***4. ხართ თუ არა ემოციური ადამიანი.***

ა. ძალიან. ბ. არც ისე. გ. ხანდახან.

***5. თუ ხდება ხოლმე, რომ უკმაყოფილო ხართ საკუთარი საქციელით?***

ა. არა. ბ. ხანდახან ხდება. გ. რა თქმა უნდა.

***6. გეშინიათ მარტოობისა?***

ა. ძალიან. ბ. ხანდახან ეს სასარგებლოა. გ. მიყვარს მარტო ყოფნა

***7. დათრგუნულობის შეგრძნება სისუსტის ნიშანია?***

ა. რა თქმა უნდა. ბ. გააჩნია გარემოებებს. გ. არა.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 — ქულა. ბ. 2 — ქულა . გ. 3 — ქულა.**

7-11 ქულა: ეჭვი არ გეპარებათ, რომ თქვენი საქციელი ყოველთვის გამართლებულია და შეცდომას არასდროს უშვებთ. შეიძლება ითქვას, რომ საკუთარ თავს შეუმცდარ ადამიანად მიიჩნევთ.

12-16 ქულა: მუდმივად მერყეობთ, უკმაყოფილო ხართ ცხოვრებით, შეეგუეთ აზრს, რომ იდეალური ადამიანები არ არსებობენ.

17-21 ქულა: თქვენ რაციონალური და ფრთხილი ადამიანი ხართ. ასჯერ გაზომავთ, სანამ გაჭრით. სამწუხაროდ, მოკლებული ხართ ორიგინალობას.

გ.თ.